პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—60 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ნორვეგიაში შესდგა ლიბერალების მთავრობა.
- მუშტი-კრივი რუმინეთის პარლამენტში.
- ამერიკის სენატი კულიჯის კანდიდატურის წინააღმდეგ.
- პოლონეთის ნოტა ლიტვისადმი.
- ამხ. მარტის, რონშენის და როკის გასამართლება.
- მემაღაროების გაფიცვა ბოჰემიაში (ჩეხო-სლოვაკია).
- გრიგალი გერმანიაში და ბელგიაში.
- კომუნისტური მანიფესტაციები საბერძნეთში.
- გარდაიცვალა მონღოლეთის მთავრობის თავმჯდომარე.
- დემონსტრაციები პუანკარეს წინააღმდეგ.

სამშაბათი, 14 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 37 (2080)

ოთხშაბათს, ა. წ. თებერვლის 15, საღამოს 7 საათზე
შეხდგება
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ს. ს. ცაკის მდივანი— მათიკაშვილი

სამშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე
თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში
მოწვეულია
სექციების ბიუროს კონფერენცია
ბიუროს აქტივთან ერთად

დასწრება სექციების ბიუროს ყველა წევრების, აღმასკომის განყოფილებათა გამგეების და სადეპუტატო მაგიდების სტაროსტების სავალდებულოა.

დღის წესრიგი
1. მოხსენება ადგილებიდან.
2. სექციების მომავალი მუშაობის შესახებ.

საბჭოს პრეზიდიუმი

შრომის დაცვის საკითხები

დამთავრდა მოსკოვში შემდგარი სრულიად საკავშირო თათბირი შრომის დაცვის შესახებ. თათბირში მონაწილეობას იღებდენ პროფკავშირთა, შრომის კომისარიატის ორგანოების, მრეწველობის და ტრანსპორტის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელნი, რამაც ხელი შეუწყო შრომის დაცვის საკითხების ყოველ მხრივ გაშუქებას.

რომ მუშების შრომის პირობების მაქსიმალური გაუმჯობესება საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ამოცანას წარმოადგენს, ამას მტკიცება არ ესაჭიროება, გარდა იმისა, რომ მუშათა სახელმწიფოსათვის ესაა მიზანი თავის თავად, შრომის ჯეროვან დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთი მხრივ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის, ხოლო მეორე მხრივ—იმ აუარებელი ხარჯების ასაცილებლად, რომლებსაც იწვევს შრომის ცუდი პირობების მიზეზით დაავადებულ მუშა-ხელის მკურნალობა.

როცა ჩვენ აქ შრომის დაცვაზე ვლაპარაკობთ, უმთავრესად მხედველობაში გვაქვს შესაფერ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების შექმნა წარმოებებში და იმ ტეხნიკურ ზომების მიღების აუცილებლობას, რომელნიც უბედურ შემთხვევებს შეუძლებელს გახდიან ან ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაიყვანენ.

ამ მხრივ, როგორც ხსენებულ თათბირზეც გამოირკვა, ბევრი რამ რიგზე არ არის. დირექტივები შრომის დაცვის დარგში არა ყველგან სრულდება საჭირო სიმტკიცით. კოლექტიურ ხელშეკრულებათა იმ ნაწილს, რომელიც შრომის დაცვას ეხება, ნაკლები ყურადღება ექცევა ზოგიერთ სამეურნეო ორგანოების მხრით.

აქა-იქ წარმოებებში დაცული არ არის საჭირო სისუფთავე, არ არსებობს ნორმალური ტემპერატურა, ჯანსაღი ჰაერი, აუცილებელი სინათლე. ადგილი აქვს სივიწროვეს, მანქანებს აკლიათ უშიშროების უზრუნველმყოფელი მოწყობილობა და სხ.

ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე, ასუსტებს შრომის დისციპლინას, ადიდებს გაცდენილ დღეების რიცხვს, აუარესებს მუშების ჯანმრთელობას.

ბევრი ამ ნაკლის აშორება ადვილად შეიძლება, მცირე ხარჯის გაწევით ან ხარჯის გაუწევლადაც კი, თუ სავსებით იქნება შეგნებული შრომის დაცვის მთელი მნიშვნელობა და თუ წარმოებათა ადმინისტრაცია ამ დარგში მთავარ უნარს და ინიციატივას გამოიჩენს. მაგრამ რომ კიდეც საჭირო შეიქნეს ამ მიზნით მნიშვნელოვან საშუალებათა გაღება; ამას სრულებით არ უნდა დავერიდოთ. აქ ზედმეტი მომჭირნეობის გამოჩენა ყველაზე ნაკლებ გვმართებს, მით უმეტეს, რომ შრომის დაცვის უზრუნველყოფაზე გაღებული თანხები სიჭარბით იქნება ანაზღაურებული შრომის ნაყოფიერების ზრდით, მუშათა დაავადების და უბედურ შემთხვევების შემცირებით.

შრომის დასაცავად ჰიგიენურ და ტეხნიკურ ღონისძიებათა მიღება განსაკუთრებით საჭიროა ახალ სამრეწველო მშენებლობის დროს. ამ მხრივ კი, ჩვენი მშენებლობა უეჭველად მოიკოჭლებს. ის ხშირად არ არის შეთანხმებული შრომის დაცვის ორგანოებთან ახალ საფაბრიკო-საქარხნო დადგმულებას ზოგან აკლია უბედურ შემთხვევათა ამცილებელი მოწყობილობა. არ არის დაცული შრომის დაცვის ზოგიერთი სხვა პირობებიც, რა თქმა უნდა, ყველა ამას მასიურ მოვლენის ხასიათი არა აქვს, არამედ ცალკე ფაქტების. მაგრამ ჩვენს დროში ასეთი შემთხვევები გამონაკლისის სახითაც შეუძლებელი უნდა გახდეს.

ეს ნაკლულოვანებანი აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. ამ მიზნით საჭიროა პროფორგანიზაციების, შრომის კომისარიატის და მრეწველობის ორგანოების გაერთიანებული და შეთანხმებული მუშაობა. კოლხელშეკრულებებში შრომის დაცვის საკითხს ფართე ადგილი უნდა ეთმობოდეს; იქ დაწვრილებით და კონკრეტიულად უნდა იყოს ჩამოთვლილი, თუ სამეურნეო ადმინისტრაციამ რა უნდა გააკეთოს ამ დარგში. პროფკავშირებმა და შრომის დაცვის ორგანოებმა სისტემატიური და ფხიზელი თვალყური უნდა ადევნონ, რომ შრომის დასაცავად გამომუშავებული ღონისძიებანი მტკიცედ სრულდებოდეს. მათ დარღვევაში დამნაშავენი სასტიკად უნდა ისჯებოდენ.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ უბედურ შემთხვევებს წარმოებებში იწვევს არა მარტო სათანადო ტეხნიკურ მოწყობილობის უქონლობა, არამედ ხშირად დაუდევრობა, მანქანებისადმი არა ფრთხილი მოპყრობა და მუშების დაბალი კვალიფიკაცია. ამიტომ აუცილებელია მათი კვალიფიკაციის აწევა, მუშებთან საუბრების გამართვა და სხვა ღონისძიებათა მიღება ტრავმატიზმთან ბრძოლის მიზნით.

შრომის დაცვა ჩვენს წინაშე სდგას, როგორც დიდი სამეურნეო და კულტურული ამოცანა. მისი ჯეროვნად გადაჭრა ერთ ერთი საწინდარია შრომის ნაყოფიერების გადიდების და მუშების კულტურულ ყოფა-ცხოვრების შექმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ეს ამავე დროს არის მუშათა კლასის ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის და დიდძალ თანხების გადარჩენის საკითხი. ამიტომ, ვიმეორებთ, ჩვენი მშენებლობის ამ დარგს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

სამეურნეო სიძნელენი გადალახული იქნება

ის ანალიზი, რომელიც საგეგმო მომწესრიგებელ ორგანოებმა და პრესამ გაუკეთეს სამეურნეო სიტუაციას, უკვე საკმაო შესაძლებლობას გვაძლევს იმისათვის, რომ არა მარტო შევაფასოთ პრაქტიკული მიმდინარე ღონისძიებანი შექმნილ დაბრკოლებათა დასაძლევად, არამედ იმისათვისაც, რომ ზოგადათ დავახასიათოთ ეს სიტუაცია და გამოვიყვანოთ დასკვნები ახლო მომავლისათვის. მიღებულ ღონისძიებათა წყალობით იანვრის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ გარდატეხას პურის დამზადების საქმეში და უკვე დეკემბრიდან დაიწყო სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა სწორედ იმ დარგებში, სადაც ყველაზე უფრო მწვავედ იყო საგრძნობი საქონლის ნაკლებობა. სწარმოებს აგრეთვე ინტენსიური მუშაობა მოსახლეობის მიერ შემონახული თანხების დასაგროვებლად, როგორც ქალაქში, ისე სოფლად. ამრიგად, ორივე მხრიდან ერთმანეთს უახლოვდება მაკრატელის ნაპირები სამრეწველო საქონლის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის და თანდათანობით, თუმცა დიდი სიძნელით, მყარდება ბაზრის დარღვეული წონასწორობა. ამჟამად საჭიროა ენერგიულად მოვკიდოთ ხელი საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების, ნედლი მასალის, უმთავრესად ტყავის, ზეთის, თესლეულის და სხვა საქონლის დამზადების დამთავრებას და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (კვერცხი, ერბო, მატყლი და სხ.) დამზადების საგაზაფხულო კამპანიას.

როგორი ზოგადი დასკვნების გამოყვანა შეგვიძლია მიმდინარე წლის სამეურნეო სიძნელეთა ანალიზიდან!

საჭიროა უდავოდ იქნეს აღიარებული, რომ ადგილი აქვს იმ ერთგვარ წინააღმდეგობათა მხოლოდ დროებით გამწვავებას, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი მეურნეობის განვითარებას და რომელთაც ჩვენ თანდათანობით ვსპობთ. უკანასკნელ სიძნელეთა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა ერთხელ კიდევ სრული სიცხადით აღგვენიშნა სეზონური ცვალებადობა მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთ შორის დამოკიდებულების განვითარებაში. ამ სეზონურ ხასიათს ჩვენ ვამჩნევთ ყოველ წელიწადს, ყოველ შემოდგომაზე მოსავლის რეალიზაციის პერიოდში, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ის ნედლეულის დიდი მოსავლის წლებში, როგორიცაა მიმდინარე წელი. ნედლეულის დიდი მოსავალი, რომელიც გლეხს მოკლე ხანში მნიშვნელოვან თანხას აძლევს (ნედლეულის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი ყოველწლიურად იზრდება გლეხის ბიუჯეტში) აძლიერებს გლეხის მოთხოვნას სამრეწველო საქონელზე. წელს ნედლეულიდან მიღებულ დიდ შემოსავალს მიემატა სოფლის მნიშვნელოვანი შემოსავალიც გარე საშოვარიდან, განსაკუთრებით საამშენებლო მუშაობიდან.

მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დამოკიდებულების გამწვავების სეზონური ხასიათი, მეორე მხრით, დაკავშირებულია მრეწველობის, უმთავრესად მსუბუქი მრეწველობის მუშაობის შეფერხებასთან, რასაც ყოველწლიურად აქვს ადგილი ზაფხულობით— რემონტისა, ნედლეულის თავის დროზე მოუწოდებლობისა, მუშების შვებულებაში წასვლისა და სხვა მიზეზების გამო. ამ გარემოებამ განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი სწორედ განვლილი წლის მეორე ნახევარში და მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ თვეებში.

სამეურნეო მდგომარეობის ხასიათი ისეთია, რომ ის მოწმობს არა წარმოების დაცემას, არა რაიმე განხეთქილებას ქალაქსა და სოფელს შორის, არამედ მხოლოდ იმას, რომ შინაური ბაზრის ზრდამ წინ გაუსწრო სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის 20 პროცენტიან ზრდას. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქისა და სოფლის ფართო მშრომელი მასების მოთხოვნილება, იმ მასების, რომლებიც ყოველ წლობით აუმჯობესებენ თავის მატერიალურ მდგომარეობას და ამის და მიხედვით აფართოვებენ და სცვლიან თავის მოთხოვნილებას. აუცილებელ სამანევრო რეზერვების სიმცირის გამო ჩვენს მეურნეობაში, მიწოდების უკან ჩამორჩენა მოთხოვნისაგან განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს მოსავლის რეალიზაციის პერიოდში. მაგრამ თუ ამ სეზონურ გაბრუნდებას მიწოდება და მოთხოვნის ურთიერთ დამოკიდებულებაში გვერდს აუვლით, თუ ურთიერთ დამოკიდებულებას მიწოდებასა და მოთხოვნას შორის განვიხილავთ უფრო დიდი დროის ფარგლებში და შევუფარდებთ მას შინაური ბაზრის განვითარებას, და თუ განვიხილავთ საქონლის გაცვლას ქალაქსა და სოფელს შორის, —მაშინ რამდენიმე წლის მანძილზე და მათ შორის უკანასკნელი წლისათვისაც ჩვენ გვექნება ჩვენი მეურნეობის ყველა ელემენტების სავსებით საღი და ძლიერი ზრდა.

ყველაზე უფრო სერიოზულ ანალიზმა გამოარკვია, უნდა ჩაითვალოს კაპიტალურ მშენებლობის დარგში არსებული ნაკლი და თესლეულის ბაზისა და სასოფლო სამეურნეო ნედლეულის პროდუქციის განვითარების ერთგვარი შენელება; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ნედლეული ხდება მინიმალურ ფაქტორად, რომელიც შეზღუდულ საიმპორტო შესაძლებლობათა პირობებში განსაზღვრავს ჩვენი მსუბუქი მრეწველობის განვითარებას.

მაგრამ, ამ ორი დარგის უფრო დაკვირვებით შესწავლა გვიჩვენებს, რომ საერთოდ ჩვენ სავსებით სწორ გზაზე ვდგევართ და რომ სიძნელეებს ადგილი აქვს იმ საშუალებების არა საკმაო გეგმაშეწონილ და რაციონალურად გამოყენების გამო, რომელსაც ჩვენ მეურნეობის ამ დარგებში ვაბანდებთ. კაპიტალური მშენებლობის დარგში უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ კაპიტალურ მშენებლობაში ვაბანდებთ იმ მრავალ მილიონებს, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ უფრო სწრაფ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო ბრუნვიდან. ამ დარგებს აქვთ მაქსიმალური წლიური ციკლი და ამ დარგების სავაჭრო ბრუნვიდან მიღებულ თანხებს ჩვენ ვაბანდებთ გაცილებით უფრო ნელ საამშენებლო ბრუნვაში, რომლის ციკლიც განიზომება ორი, სამი და ხუთი წლით, მშენებლობის ხასიათის მიხედვით. აქედან საჭიროა გამოყვანილ იქნეს დასკვნა ბოლშევიკურად: თუ ჩვენი დაგროვების არსებულ ფარგლებში ქვეყნისათვის აუცილებელი კაპიტალური მშენებლობის მასშტაბი იწვევს საბრუნავ საშუალებების ძლიერ დაჭიმვას მთელს სახალხო მეურნეობაში,— მაშინ ჩვენი მუშაობის მასშტაბი კი არ უნდა შევამციროთ, არამედ დავაჩქაროთ მშენებლობის ბრუნვა და გავაიაფოთ თვით მშენებლობა, რათა ამ გზით შევამციროთ იმ ფინანსიურ და მატერიალურ საშუალებების რაოდენობა, რომელთაც ვაცლით ნორმალურ ბრუნვას და ვაბანდებთ ამ ნელ საამშენებლო ბრუნვაში. თუ ჩვენ შევძლებთ საშუალო საამშენებლო ბრუნვის შემცირებას მხოლოდ ნახევარი ან ერთი წლით,—რაც სავსებით შესაძლებელია, —მაშინ მარტო ეს მოგვცემს შესაძლებლობას გავენთავისუფლოთ მილიარდზე მეტი მანეთი მიმდინარე ბრუნვისათვის ისე, რომ ოდნავადაც არ შევამციროთ ჩვენ მიერ დაწყებულ და გაგრძელებულ მშენებლობის ფიზიკური მოცულობა.

საამშენებლო ბრუნვის ასეთი დაჩქარებისა და მშენებლობის გაიაფებისათვის ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ჩვენ ყოველნაირად უნდა გამოვიყენოთ: ეს არის გეგმიანობის გაძლიერება კაპიტალურ მშენებლობაში, აღმოფხვრა იმ პარტიზანულობისა, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ამ დარგში მშენებლობის ტეხნიკურ ვადათა ყოველნაირად შემოკლება, ისე, რომ, თვით მშენებლობა არ გაუარესდეს, მშენებელ მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდება, საამშენებლო მასალის გაიაფება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და მშენებლობაზე გაწეული ზედნადები ხარჯების ყოველნაირად შემცირება. ეს შესაძლებლობანი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ამასთანავე ერთად ყოველგვარი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ რომ კაპიტალური ხარჯების ეფექტიანობა გავაძლიეროთ, რათა ახლად აშენებულმა ფაბრიკებმა და ქარხნებმა მაქსიმალური საწარმოო შედეგი მოგვცენ, როგორც პროდუქციის ხარისხის მხრით, ისე მისი თვითღირებულების შემცირების მხრით. ეს მიღწევა, არსებულ წარმოების რაციონალიზაციასთან ერთად, ერთად ერთი საშუალება, რომელიც აღმოფხვრის ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობას, უზრუნველჰყოფს მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ფასების შეთანხმებას სამრეწველო საქონლის ფასის დაკლების პოლიტიკის საფუძველზე.

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობის, ხორბლეულობისა და ნედლეულობის პროდუქციას, უნდა აღვნიშნოთ მათი ერთმანეთზე დამოკიდებულება და საჭიროდ ვსცნოთ ორივე ბაზისის ყოველნაირად გაძლიერება უახლოეს თესვის კამპანიის დროს, ვინაიდან, როგორც პირველი, ისე მეორე ერთნაირად აუცილებელია მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნედლეულობა მინიმალური ფაქტორია მსუბუქი ინდუსტრიისათვის, რომელსაც შეუძლია შვიდი საათის სამუშაო დღისა და სამცვლიან მუშაობის დროს, ახლანდელი მოწყობილობის პირობებშიაც კი, გაცილებით მეტი პროდუქცია მოგვცეს, მეტადრე, თუ ენერგიულად განვაგრძობთ მის რაციონალიზაციას, ტეხნიკურად გაუმჯობესებას და ნაწილობრივ ხელახალ მოწყობას. საჭიროა დავაჩქაროთ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მისი მანქანიზაცია, დახარისხებული მეთესლეობა, ჯიშიანი საქონლის მოშენება, ირიგაცია და მელიორაცია; ამ მუშაობის დროს, რასაკვირველია, გეზი უნდა დავიჭიროთ მსხვილ განსაზოგადოებულ სასოფლო მეურნეობისაკენ.

საერთო დასკვნა ზემოთქმულიდან: მხნედ და ენერგიულად განვაგრძოთ საამშენებლო მუშაობა, ვეცადოთ, რომ სისტემატიურად, კვალ-და-კვალ განვახორციელოთ სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც მე-14 და მე-15 ყრილობებმა დაგვისახეს. საქმის ბოლოდროინდელმა გამწვავებამ ერთგვარი მუხლუხური წავეკრა' მან გვაიძულა დაგვეძაბა ჩვენი ძალები და გაგვეძლიერებინა სიფხიზლე და მოქნილობა ჩვენს მუშაობაში.

ჩვენ უკვე ვსწავლეთ სიძნელეთა დაძლევა, ჩვენ დავძლევთ მათ სულ მოკლე ხანში.

„პრავდა“. 12 თებერვალი.

დაიწყო გერმანია-საბჭ. მოლაპარაკება ეკონომიური ურთიერთობის შესახებ

ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის ზრდა.--ამერიკის საქმიანი წრეების ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი

გერმანიის მრეწველთა კავშირმა გამოაცხადა ლოკაუტი ლითონის მრეწველობაში

შვეციის მთავრობამ სცნო საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის დიპლომატიური ხელშეუხებლობის უფლებები

გერმანია-საბჭ. კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება

ამხ. ი. ო. შლეიფერი
დელეგაციის თავმჯდომარე

ამხ. კაუფმანი
დელეგაციის წევრი

ბერლინი, 12 თებერვალი. შესდგა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დელეგაციების პირველი შეერთებული სხდომა ეკონომიური ურთიერთობის მოსაგვარებლად გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

მისასალმებელ სიტყვებში ორივე დელეგაციის წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ არსებული სიძნელენი თავიდან იქნეს აცილებული მეგობრული გზით და მოლაპარაკება დამთავრდეს ორთავე მხარესათვის სასურველად. (ადს)

ლოკაუტი გერმანიის ლითონის მრეწველობაში

ბერლინი, 18 თებერვალი. ლითონის მრეწველობის წარმოებათა მეპატრონეების სრულიად გერმანიის კავშირმა დაადგინა გამოაცხადოს 22 თებერვლისათვის საყოველთაო ლოკაუტი ლითონის მრეწველობის წარმოებებში ამ დადგენილების მოტივია მრეწველების სურვილი დაეხმარონ შუა გერმანიის ლითონის მრეწველობას,—სადაც ამჟამად გრძელდება მელითონეთა გაფიცვა.

ლოკაუტში მოჰყვება დაახლოვებით 800 ათასი მუშა, მათ რიცხვში შუა გერმანიის რაიონში ამჟამად გაფიცული 50 ათასი მელითონე (ადს).

„როტე ფანე“-ს მოწოდება

ბერლინი, 12 თებერვალი. შუა-გერმანიის ლითონის მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტისა და რამოდენიმე მილიონი მუშის მომავალი ბრძოლის გამო „როტე ფანე“-მ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც ყველა მშრომელთ მოუწოდებს მწარმოებელთა წინააღმდეგ შეტევისა და ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის დამხობისაკენ.

„მწარმოებლები,— ნათქვამია მოწოდებაში,— სცდილობენ არა მარტო საყოველთაო ლოკაუტის გამოცხადებას ლითონის მრეწველობაში; მათ სურთ დაქსაქსონ მუშათა მოძრაობა, რათა მიეცეთ საშუალება დაუბრკოლებლად განახორციელონ გერმანიის იმპერიალიზმის პროგრამა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

30 აპრილს ვადა უთავდება კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეხება 6 მილიონ მუშას. მასების გამოსვლა მათი საარსებო პირობების გაუარესების წინააღმდეგ ამ შემთხვევაში იქნებოდა საშინელი ლახვარი კაპიტალისტური სტაბილიზაციისა და ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობისათვის. ეკონომიური კონფლიქტი გადაიქცევა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ბრძოლად.

მუშათა კლასი არავის მისცემს ნებას დაქსაქსონ მისი რიგები. იგი მოუღებს ბოლოს პროლეტარული ძალ- [illegible] რეფორმისტულ პოლიტიკას, მწარმოებელთა მუქარის წინაშე კაპიტულიაციას და შემარიგებელი კამერების თვალთმაქცურ მანევრებს. შუა-გერმანიის მელითონეები, რომელთაც წილად ხვდათ ავანგარდობა გერმანიის მუშათა კლასის მომავალ ბრძოლაში, არ უნდა დარჩენ თავისი ძალების ამარად. მთელი მუშათა კლასი უნდა დაირაზმოს ერთსულოვანი პასუხის გასაცემად. ყოველ წარმოებაში ყოველ პროფესიონალურ ორგანიზაციაში დაუყოვნებლივ უნდა იქნას შემუშავებული სათანადო თავდაცვის ღონისძიებანი. მასებმა უნდა აიძულონ ქვედა-საფეხურის პროფესიონალური ორგანიზაციების და პროფესიონალური კავშირების ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელნი, რათა წარმოებებში მოაწყონ საერთო კრებები მწარმოებელთა ზრახვების წინააღმდეგ. აუცილებელია მოეწყოს შემოწირულებათა შეგროვება შეუკავშირებელი უმუშევრების დამხმარე ფონდის სასარგებლოდ, რათა მიეცეს მათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა გაფიცვაში. მუშათა კლასს გამარჯვება შეუძლია მოიპოვოს მხოლოდ მაშინ, თუ იგი გამოვა როგორც ერთი კაცი“. (ადს)

ამერიკა-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის პერსპექტივები

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი. უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების გამოფენაზე ნიუ-იორკში სიტყვით გამოვიდა დნეპროსტროის კონსულტანტი, ამერიკელი ინჟენერი კუპერი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირის სამრეწველო და ტეხნიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია უკეთ, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს.

„რაც უფრო მალე იცნობს მსოფლიო საბჭოთა მთავრობის ზრახვების გულწრფელობას, — სთქვა კუპერმა, —მით უფრო ჩქარა იქნება უზრუნველყოფილი მშვიდობიანობა ერებს შორის. საბჭოთა კავშირში მოსპობილია კორუპცია, სწარმოებს დიდი მუშაობა განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში, მოწესრიგებულია ტრანსპორტი, მტკიცეა ვალიუტა, რომელიც უზრუნველყოფილია ოქროთი. იქ მიღებულია დიდი ღონისძიებანი ბუნებრივი სიმდიდრეთა დასამუშავებლად მთელი მოსახლეობის სასარგებლოთ“.

კუპერის შემდეგ სიტყვით გამოვიდა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი სმიტი, რომელმაც ილაპარაკა იმ პერსპექტივებზე, რომელიც იშლება ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის მხრივ.

კუპერისა და სმიტის სიტყვები რადიო-სადგურებმა გადასცა მთელ მსოფლიოს. (ადს)

ამერიკა- საბჭოთა კავშირის ვაჭრობა იზრდება

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი. საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხს სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ამერიკის პრესა. ამას წინად ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატების ექსპორტი ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა დეკემბრის განმავლობაში, ამავე დროს კი ექსპორტი საბჭოთა კავშირში— გაიზარდა. ვაჭრობის სამინისტროს ოფიციალური ორგანო „კომერს რეპორტს“-ი, ემყარება რა საბჭოთა სტატისტიკის ცნობებს, აქვეყნებს ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის დაწვრილებით ანალიზს.

კონსერვატიული გაზეთი „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტ“-ი თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს იმ თავისი კორესპონდენტის ვრცელ წერილებს, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის დროს ინახულა საბჭოთა კავშირი და რომელიც აღწერს საბჭ. კავშირის ცხოვრების პირობებს. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი სმიტი განაგრძობს გამოსვლას საქმიანი ორგანიზაციების კრებებზე მოხსენებებით საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ. პრესა სმიტის გამოსვლებს დადებითად აფასებს. (ადს)

შეთანხმება შვეციასთან სავაჭრო წარმომადგენლობის შესახებ

სტოკჰოლმი, 12 თებერვალი. შვეციის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა წინადადება შვეცია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც აწესრიგებს საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის მდგომარეობას შვეციაში. ეს შეთანხმება გულისხმობს, რომ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა წარმოადგენს ნაწილს საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობისას სტოკჰოლმში და სავაჭრო წარმომადგენლობის თავმჯდომარე და მისი მოადგილე სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობის უფლებებით (ადს).

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის გარშემო

პოლონეთის საპასუხო ნოტა ლიტვისადმი

ვარშავა, 12 თებერვალი. გამოქვეყნებულია პოლონეთის მთავრობის საპასუხო ნოტა ლიტვის მთავრობისადმი. ნოტას ხელს აწერს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი.

ნოტა მეტად მკაცრი ტონით აღნიშნავს, რომ ლიტვის მთავრობამ მრავალი სიყალბე დაუშვა იმ რეზოლიუციის ახსნა-განმარტებაში, რომელიც ერთა ლიგის საბჭომ მიიღო პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ; ნოტა თავდება ულტიმატიური მოთხოვნილებით, რომ „აცნობოს პოლონეთის მთავრობას აშკარად და გარკვეულად, თანახმაა თუ არა ლიტვის მთავრობა დაიცვას ერთა ლიგის საბჭოს რეზოლიუცია როგორც შინაარსის, ისე აზრის მხრივ და მზადაა თუ არა ლიტვის მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგეს მოლაპარაკებას ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის პოლონეთისა და ლიტვას შორის?“

ინგლის-სპარსეთის ურთიერთობა მწვავდება

ქაბული, 12 თებერვალი. ბახრეინის კუნძულების (ეს კუნძულები სპარსეთის ყურეში მდებარეობს და ფაქტიურად ინგლისის ხელშია) საკითხის გამო აღმოცენებულ ინგლის-სპარსეთის კონფლიქტის შესახებ „ხაბლი ოლ მატინი“ სწერს: „ეს დიდი შეცდომა, რომელიც ჩემბერლენმა ჩაიდინა ბახრეინის კუნძულების საკითხში, შეიძლება სპარსეთისა და ინგლისის ურთიერთობის ჩაშლით გათავდეს. არ შეიძლება სპარსეთის უფლებების ასე ტლანქად შებღალვა მაშინ, როდესაც იგი მეგობრულ ურთიერთობას აძლიერებს რუსეთთან, ოსმალეთთან და ავღანისტანთან. სპარსეთი წინანდებურად ფეხქვეშ აღარავის გაათელვინებს თავის უფლებებს. ასეთი კონფლიქტები შეიძლება ისე გართულდეს, რომ თვით უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეებიც კი ველარ მოახერხებენ მათ გადაწყვეტას“ (ადს).

გერმანიის ბურჟუაზიული ბლოკის კრიზისი

უთანხმოება სასკოლო კანონის შესახებ

ბერლინი, 12 თებერვალი. ვინაიდან გამწვავდა ურთიერთობა ცენტრის პარტიასა და სახალხო პარტიას შორის, რაც გამოიწვია უთანხმოებამ სასკოლო კანონის გარშემო, ცენტრის პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მოითხოვა, რომ სახალხო პარტიამ გაიწვიოს თავისი მინისტრები კოალიციიდან. ამ მოთხოვნილებას ცენტრის პარტია იმით ასაბუთებს, რომ სახალხო პარტიამ დაარღვია ის დირექტივები, რომლებიც საფუძვლად დაედვა ეხლანდელი მთავრობის შექმნას. სახალხო პარტიამ უარყო ეს მოთხოვნილება, რისთვისაც მოიმიზეზა ჰინდენბურგის მიერ გამოთქმული სურვილი, რომ გადაუდებელი საკანონმდებლო ამოცანები უნდა შესრულებულ იქნას არსებულ კოალიციის დაშლამდე (ადს).

როდის შესდგება რეიხსტაგის არჩევნები

ბერლინი, 12 თებერვალი. საკითხი რეიხსტაგის ახალი არჩევნების ვადის შესახებ ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

სოციალ-დემოკრატებს და დემოკრატებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ არჩევნები დაინიშნოს რაც შეიძლება მალე. სახალხო პარტიის ნაწილი შტრეზემანის მეთაურობით მხარს უჭერს იმას, რომ არჩევნები დაინიშნოს მაისში, ვინაიდან ივნისში ბრიანსა და შტრეზემანს შორის ჟენევაში უნდა მოხდეს ახალი მოლაპარაკება რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ, და, შტრეზემანის აზრით, სასურველია, რომ იმ დროისათვის გამოირკვეს რეიხსტაგის ახალი შემადგენლობა. პირიქით, ნაციონალისტები, ცენტრის პარტიის უმრავლესობა და სახალხო პარტიის უმრავლესობა სცდილობენ გააჭიანურონ ახალ არჩევნების დანიშვნა, ვინაიდან ფიქრობენ, რომ მიმდინარე მომენტი ხელსაყრელი არ არის ბურჟუაზიულ პარტიების შენიშნებისათვის. პრეზიდენტმა ჰინდენბურგმაც გამოსთქვა სურვილი, რომ რეიხსტაგის ეხლანდელმა შემადგენლობამ შეინარჩუნოს თავისი რწმუნებები, სანამ მიღებული არ იქნება ყველა ის კანონპროექტები, რომლებიც შეტანილია მთავრობის მიერ.

ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ წრეებში ხაზს უსვამენ, რომ თუ რეიხსტაგმა საბოლოოდ უარჰყო თუნდაც სასკოლო კანონპროექტი, ამით გაღრმავდება განხეთქილება მთავრობის კოალიციაში და რეიხსტაგი დათხოვნილი არ იქნება ბიუჯეტის საბოლოოდ მიღებამდე. მაგრამ არჩევნების დანიშვნა შესაძლებელია ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს სექტემბრისა.

კომპარტიამ უკვე დიდი ხანია წამოაყენა რეიხსტაგის დათხოვნის და ახალ არჩევნების დანიშვნის ლოზუნგი.

სახალხო პარტია პოზიციას არ სთმობს

ბერლინი, 12 თებერვალი. სახალხო პარტიის სასკოლო კომისიის სხდომაზე ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ პარტია ვერაფერს დაუთმობს ცენტრსა და ნაციონალისტებს. კომისიამ ერთხმად მოიწონა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის პოზიცია რეიხსტაგში ახალი სასკოლო კომისიის განხილვის დროს. (ადს).

შეტევა მემაღაროების წინააღმდეგ გრძელდება

ლონდონი, 12 თებერვალი. დერჰემის ქვანახშირის რაიონის მუშათა სამუშაო ხელფასის მომწესრიგებელი საოლქო ბიურომ „ნეიტრალურმა“ თავმჯდომარემ, რომელსაც განსახილველად გადაეცა კონფლიქტი მაღაროს მეპატრონეებსა და მემაღაროებს შორის, გამოიტანა გადაწყვეტილება მაღაროს მეპატრონეთა სასარგებლოდ. მისი გადაწყვეტილების თანახმად, მემაღაროეთა სამუშაო ხელფასის ძირითადი განაკვეთის საპროცენტო დამატების მინიმუმი შემცირებულ იქნება 89-დან 65 პროცენტამდე, ხოლო საცხოვრებელი მინიმუმის ძირითადი განაკვეთი შემცირდება 2 პენსით დღეში. როგორც უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობა, „ნეიტრალურმა“ თავმჯდომარემ ამ დღეებში ნორტუმბერლენდშიაც გამოიტანა გადაწყვეტილება მაღაროს მეპატრონეთა სასარგებლოდ; ამ გადაწყვეტილების მიხედვით სამუშაო ხელფასი ფაქტიურად არ აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც უმუშევრებს ეძლევა დახმარების სახით. ლონდონში შესდგა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ბოლდუინს გააცნონ „სერიოზული მდგომარეობა ქვა-ნახშირის რაიონებში“. აღმასკომმა გამოიტანა აგრეთვე რეზოლიუცია, რომელიც „გაოცებას გამოსთქვამს ნორტუმბერლენდში და დერჰემში მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო და აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილებანი ძირს უთხრის რწმენას კონსტიტუციონური მოქმედებისადმი“. მემაღაროეთა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომს პროტესტი განუცხადეს გენერალურ საბჭოს მოქმედების წინააღმდეგ. ამ პროტესტებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გენერალურ საბჭოს წარმომადგენელნი მონდის ჯგუფთან აწარმოებენ მოლაპარაკებას მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ, მაშინ, როდესაც მემაღაროებს ყოველგვარი საშუალებით სდევნიან (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა გუანდუნში

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი. „ასოშიეტედ პრესის“ კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუანდუნის პროვინციის სხვადასხვა რაიონებში იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რევოლიუციონურ მოძრაობას მიემხრო ერთ მილიონზე მეტი გლეხი და მეთევზეები.

„რევოლიუციონერებმა,—სწერს კორესპონდენტი,—მოაწყვეს კომუნები და კონფისკაცია უყვეს კერძო ქონებას. რევოლიუციონური მოძრაობა ფართოვდება. მოკლულია ბევრი მემამულე და ვაჭარი. მთელ რიგ სოფლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სიკვდილით დასაჯეს“.

კორესპოდენტი დასძენს, რომ გუანდუნის პროვინციის მთავრობა მიმართავს სასტიკ ტერორს რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

შეტაკება ამერიკელებთან

შანხაი, 12 თებერვალი. ამოეში (ფუცზიანის პროვინციის ნავთსადგურია) შეტაკება მოხდა მტვირთავ მუშებსა და ამერიკული გემის „ედმორის“ კომანდას შორის. შეტაკება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ადმინისტრა-

სიკვდილით დასჯა

პეკინი, 12 თებერვალი. გაზეთ „მანჯურია დეილი ნიუზ“-ის ცნობით, ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს რვა კომუნისტი.

კანტონში სიკვდილით დასაჯეს ნაციონალური მთავრობის საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი ლი-ცზე-ლუნი (ადს).

„კომუნისტებისადმი თანაგრძნობისათვის“

შანხაი, 12 თებერვალი. როგორც იუწყებიან, სიკვდილით დასაჯეს კანტონის საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის უფროსი, რომელსაც დასწამეს „კომუნისტებისადმი თანაგრძნობა“ (ადს).

იანსენის დივიზიებში

შანხაი, 12 თებერვალი. გაზ. „შუნ ბაოს“ ხანკოუდან ატყობინებენ, რომ სიჩუანელი გენერლის იან-სენის ხუთი დივიზია ხუბეიელების ჯარს დანებდა (ადს).

საეჭვო პირთა გაძევება

შანხაი, 12 თებერვალი. ხანკოუში იაპონიის კონცესიის ადმინისტრაციამ წინადადება მისცა კომუნისტურ მოღვაწეობაში შემჩნეულ პირებს ხუთი საათის განმავლობაში დასტოვონ კონცესიის ტერიტორია. (ადს).

კომუნისტების მოძრაობა კანტონის მახლობლად

შანხაი, 12 თებერვალი. გაზ. „შუნ ბაოს“ ცნობით კომუნისტების რაზმები გამოჩნდნენ დაიჩინეს რაიონში, 140 კილომეტრის მანძილზე კანტონიდან ჩრდილოეთით. დაიჩინეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სთხოვა კანტონს, რომ დასახმარებლად ჯარი გაუგზავნოს (ადს).

„არჩევნების“ თავისუფლება პოლონეთში

ვარშავა, 12 თებერვალი. ტარნოპოლის ოლქში (აღმოსავლეთი გალიცია) დააპატიმრეს უკრაინის ნაციონალურ-დემოკრატიული გაერთიანებისით წამოყენებული კანდიდატი იავორსკი. კატოვიცაში დააპატიმრეს გერმანელთა ეროვნული უმცირესობის კანდიდატი ფიშკე. კოველის ოლქში დააპატიმრეს მემარცხენე სელრობის რწმუნებული, რის გამოც მემარცხენე სელრობამ ვერ მოასწრო თავისი სიის რეგისტრაციაში გატარება. დომბროვის ქვანახშირის რაიონში მუშურ-გლეხური ბლოკის სიის პოპულიარობა იზრდება იმდენად, რომ პეპესოველები (პოლონეთის სოციალისტური პარტია) ვერ ბედავენ თავისი მიტინგების მოწვევას ამ რაიონში. ადგილობრივი ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ მუშურ-გლეხური ბლოკის სია დომბროვის რაიონში მიიღებს ყველა მანდატების ნახევარს (ადს).

მუშურ - გლეხური მთლიანობის სია გაუქმებულია

ვარშავა, 12 თებერვალი. ვარშავაპრიგოროდის საარჩევნო ოლქში კომისიამ გააუქმა მუშურ-გლეხური მთლიანობის სია, რომელიც სენატში იყო წარდგენილი (ადს).

პილსუდსკის საარჩევნო ბრძოლის მეთოდები

ვარშავა, 12 თებერვალი. ვარშავის ახლოს ოხოტაში მძიმედ დასჭრეს დანით მუშა ზბროგინსკი, რომელიც აგიტაციას ეწეოდა მუშურ-გლეხური სიის სასარგებლოდ.

ვარშავა, 12 თებერვალი. პილსუდსკის რაზმელები ცდილობდნენ ჩაეშალათ მიტინგი ვარშავაში. პოლიციამ გაფანტა მიტინგი. დაჭრილია 16 კაცი, დაპატიმრებულია 30.

გაზ. „პორანა ვარშავსკა“ იუწყება, რომ დაპატიმრებული არიან მხოლოდ მიტინგის მონაწილენი. გაზეთის ნომერს, რომელშიაც ეს ცნობაა მოთავსებული, კონფისკაცია უყვეს.

ვარშავა. 12 თებერვალი. რეფორმისტულ პროფკავშირთა გაერთიანების ც. კ.—ი პროფკავშირებისადმი მიმართულ ცირკულიარში წინადადებას აძლევს მათ მხარი დაუჭირონ პოლონეთის სოციალისტური პარტიის სიას.

მარტის, რონშენისა და როკის საქმე

პარიზი, 12 თებერვალი. ტულონის სასამართლომ განიხილა კომუნისტ მარტის, რონშენისა და როკის საქმე. მათ ბრალდებოდა სამხედრო მოსამსახურეების წაქეზება ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ. მარტის მიესაჯა ორი წლით დაპატიმრება, რონშენს—ერთი წლით და 900 ფრანკი ჯარიმა, როკს—კომპარტიის ხმელთაშუაზღვის რაიონის ორგანიზაციების მდივანს—6 თვით დაპატიმრება და 300 ფრანკი ჯარიმა.

საქმის გარჩევის დროს მარტიმ წარმოსთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა

გაფიცულ მემაღაროეთა ცოლშვილის ჟლეტა

ვაშინგტონი, 12 თებერვალი. სენატის კომისიამ ჩვენების ჩამოსართმევად გამოიწვია მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე მარრეი, რომელმაც პენსილვანიის შტატის ხელისუფლებას, ქვანახშირის წარმოებათა ადმინისტრაციას, ფინანსთა მინისტრ მელონსა და პენსილვანიის შტატის რკინის გზის ადმინისტრაციას წაუყენა ბრალდება იმაში, რომ გაფიცულ მემაღაროეთა წინააღმდეგ მიმართავენ ტერორს. მარრეიმ განაცხადა, რომ მაღაროების პატრონების მიერ დაქირავებული შტრეიკბრეხერები თავს ესხმიან არა მარტო გაფიცულ მუშებს, არამედ მათ ცოლებსა და ბავშვებსაც. სკოლის მემაღაროეთა უბანში დაუშინეს ტყვიისმფრქვეველები. უკანასკნელ თვეების განმავლობაში მაღაროების ეგრედ წოდებულ დამცველთა მიერ მოკლულია 85 მემაღაროე. გაფიცულთა 20.000-მდე ოჯახი დარჩენილია უსახლკაროდ.

მარრეის ჩვენებას არავინ არ უარყოფს. კომისიამ დაადგინა გამოიძიოს მარრეის მიერ მოყვანილი ფაქტები (ადს).

უკანასკნელი ცნობები

შორეული აღმოსავლეთის ბანკის განყოფილება ისევ გაიხსნა

შანხაი, 12 თებერვალი. ხელისუფლებამ ნება დართო შორეულ აღმოსავლეთის ბანკის განყოფილებას განაახლოს ოპერაციები, ნებართვა მოჰყვა ჩარევას ჩინელ ჩაის მოვაჭრეებისას, რომლებმაც მოითხოვეს ბანკის მუშაობის განახლება. უცხოელთა ჩარევით კამათი დაშლილია.

საბჭოთა ფოსტის შემოწმება ხარბინში

ხარბინი, 12 თებერვალი. ხარბინის პოლიციის სამმართველომ ხარბინის საფოსტო კანტორაში მოავლინა რამოდენიმე აგენტი საბჭოთა კავშირიდან მიღებულ ნაბეჭდ გამოცემათა შესამოწმებლად. კანტორაში მუდამ მორიგეობს ორი აგენტი. „საეჭვო" წიგნებს და გაზეთებს კონფისკაციას უკეთებენ (ადს).

კოალიციური მთავრობა სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 13 თებერვალი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, ვინაიდან პერიჩის ცდა შეედგინა კონცენტრაციული მთავრობა უნაყოფოდ დასრულდა. მეფემ ვუკიჩევიჩს დაავალა შეადგინოს კოალიციური მთავრობა, რაც შეიძლება, ფართო საფუძველზე (ადს).

კომუნისტური დემონსტრაცია ათინაში

პარიზი, 13 თებერვალი. ათინაში შესდგა კომუნისტური დემონსტრაცია. მანიფესტანტები გარეკა პოლიციამ.

14 მემაღაროეს დაღუპვა

ლონდონი, 13 თებერვალი. კანადიდან მიღებული ცნობებით, ამოღებულია გვამი 14 მემაღაროესი, რომლებიც დაიღუპენ ტიმინსის (კანადა) მაღაროში მომხდარ კატასტროფის დროს. 24 კაცი ჯერ კიდევ მიწის ქვეშ იმყოფება. ამ რიცხვიდან, 10 კაცი ალბათ დაღუპულია; საეჭვოა, რომ დანარჩენები გადარჩენ დაღუპვას.

კომუნისტური პროპაგანდისათვის

ვენა, 12 თებერვალი. სამხედრო სასამართლომ იშტიპში (სამხრეთ-სლავია) 4 წლით დაპატიმრება მიუსაჯა ხუთ მაკედონელს, რომელთაც ბრალი ედებათ კომუნისტურ პროპაგანდაში (ადს).

იაპონელ კომუნისტების პროცესი

ტოკიო, 13 თებერვალი. სეულში დამთავრდა 96-ის პროცესი, რომლებსაც ბრალად ედება კომუნისტურ მოძრაობაში მონაწილეობა. 64 ბრალდებულს მიესაჯა საკატორღო ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით 8 თვიდან—6 წლამდე.

დანარჩენი 12 გამართლებულია.

მემაღაროეთა გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 12 თებერვალი. უკანასკნელი ცდა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის შუამავლობით მიეღწიათ შეთანხმებას მწარმოებლებსა და მემაღაროეებს შორის ჩრდილო-დასავლეთ ბოჰემიის ქვანახშირის რაიონში, უშედეგოდ დამთავრდა, რადგან მრეწველები არ წავიდნენ დათმობაზე. მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას 20 პროცენტით, მწარმოებლები კი თანახმა არიან მოუმატონ მხოლოდ 8 პროცენტით, მაგრამ იმ პირობით, თუ სამუშაო კვირა 46 საათიდან გადიდებული იქნება 50—51 საათამდე. სამთამადნო მუშების ორგანიზაციებმა ერთხმოვნად დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა 18 თებერვალს.

გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებს 30.000 კაცი, ხოლო გაფიცულთა ოჯახებთან ერთად 100.000 კაცზე მეტი. მემაღაროეთა ორგანიზაციები მოუწოდებენ მუშებს დაიცვან სასტიკი დისციპლინა და სოლიდარობა.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო" სწერს, რომ მემაღაროეთა ბრძოლა წარმოადგენს ბრძოლას მთელ მუშათა კლასისას, რომელმაც უნდა მოაწყოს გაფიცულთა დახმარება.

ოსტრავაში გაიმართა მემაღაროეთა მთელი რიგი კრებები და კონფერენციები, რომლებზედაც გამოტანილია ჩრდილო-დასავლეთ ბოჰემიის მემაღაროეებისადმი თანაგრძნობის რეზოლიუციები.

შვეციის მეზღვაურთა გაფიცვა

სტოკჰოლმი, 13 თებერვალი. შეწყდა მოლაპარაკება შვეციის ფლოტის მუშათა ხელფასის მინიმუმის შესახებ, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნულ შუამავლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. კარლსკრუნის გემთსაამშენებლო სახელოსნოებში გამოცხადებულია გაფიცვა, რომელშიდაც მონაწილეობს 900 მუშა. საერთო კონფლიქტი გავრცელდება 2.300 მეზღვაურზე.

მონღოლეთის სახალხო მთავრობის თავმჯდომარის გარდაცვალება

ულან-ბატორი, 13 თებერვალი. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დღეს გარდაიცვალა მონღოლეთის სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ცერენ დორჯი,—დაბადებიდან 61 წლისა. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ოხოტინმა საბჭოთა მთავრობის და საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელით მონღოლეთის მთავრობას გადასცა სამძიმარი.

სახალხო სახლში შესდგა სამგლოვიარო სხდომა, რომელსაც დაესწრო 2000 კაცზე მეტი. ორატორები წარმოთქმულ სიტყვებში აღნიშნავდნენ, რომ ცერენ დორჯი იყო უდიდესი მეგობარი მონღოლეთის ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის. მონღოლეთში გამოცხადებულია გლოვა 3 დღით. საბჭ. კავშირის შენობაზე დროშა დახრილია.

ლიბერალების მთავრობა ნორვეგიაში

ოსლო, 12 თებერვალი. შესდგა მთავრობა ლიბერალური პარტიის წევრებისაგან. პრემიერად და გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ლიბერალური პარტიის ლიდერი მოვინკელი

—:—

კატასტროფა სად. ავჭალაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გუშინ, ღამის 11 საათზე, როცა ბათომიდან მომავალი საფოსტო მატარებელი № 3 ავჭალის სადგურში შემოდიოდა, ლიანდაგს ასცდა ოთხი უკანა ვაგონი.

ლიანდაგიდან გადახტომილმა ვაგონებმა გაიარეს 70 საჟენზე მეტი მანძილი. მგზავრები პანიკამ შეიპყრო.

საბედნიეროდ, არც ერთი გადავარდნილი ვაგონი არ გადაბრუნებულა და მგზავრები უვნებლად გადარჩნენ.

იმ მანძილზე, რომელიც გაიარა აცდენილმა ვაგონებმა, სულ ჩალეწილია შპალები.

თბილისიდან სასწრაფოდ გამოწვეულ იქნა დამხმარე მატარებელი.

მიმოსვლა შეწყდა. თბილისიდან წამოსული სამგზავრო მატარებელი № 14 სდგას ავჭალის სადგურში, გზის გასწორებას მოუნდება დაახლოვებით 7 საათი.

კატასტროფის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ფიქრობენ, რომ კატასტროფა ლიანდაგის გაფართოების ბრალია. დაწვრილებით მიზეზებს გამოიკვლევს სპეციალურად დანიშნული კომისია.

ხიქსი კმაყოფილია სიტრინით

„სუფთა ხელების" მოტრფიალე

ლონდონი, 12 თებერვალი. ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯოინსონ ხიქსი, გამოვიდა სიტყვით კინგსტონში და შეეხო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხს. ხიქსმა განაცხადა, რომ ის „დათანხმდებოდა მეგობრული დამოკიდებულების დამყარებაზე რუსეთთან, რომ მას სუფთა ხელები ჰქონდეს".

ხიქსმა მოიხსენია აგრეთვე გენერალურ საბჭოს მდივნის—სიტრინის წერილები ყოველკვირეულ გაზეთ „ლეიბორ მაგაზინ"-ში და სთქვა:

„ამ წერილების დაწერა შემეძლო მეც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასე კარგად ვერ დავსწერდი. სიტრინი ხედავს ამჟამად, თუ როგორ ახლოს იყო მუშათა პარტია მოსკოვის აგენტების მიერ აფეთქების საფრთხესთან. ყოველივე იმას, რასაც მე ვამბობდი, არ ჰქონია ისეთი მკაცრი ხასიათი, როგორიც აქვს იმას, რასაც ახლა სიტრინი სწერს" (ადს).

მუშტი-კრივი რუმინეთის პარლამენტში

ვენა, 12 თებერვალი. რუმინეთის პარლამენტში ძლიერი შეტაკება მოხდა მთავრობის პარტიის (ლიბერალების) და ოპოზიციის შორის, ამასთანავე საქმე მივიდა ხელჩართულ ბრძოლამდე. შეტაკება გამოიწვია ეროვნულ-გლეხთა პარტიის შეკითხვამ, რომელიც შეეხებოდა ორი გლეხის მოკვლას ჟანდარმების მიერ. ეროვნულ-გლეხთა პარტიის ორატორები სასტიკად აკრიტიკებენ მთავრობას იმის გამო, რომ იგი ხელს უწყობს ჟანდარმერიისა და ოხრანკის დანიშნულებრივ მოქმედებას. პარლამენტის დისციპლინარულმა სასამართლომ პასუხისგებაში მისცა ეროვნულ-გლეხთა პარტიის დეპუტატი, ამასთანავე ორ მათგანს გამოუცხადა სასტიკი გაფრთხილება და სამი გამორიცხა სხვადასხვა ვადით (ადს).

უმუშევართა დემონსტრაცია

ვენა, 12 თებერვალი. უმუშევრობის ძლიერი ზრდის გამო სემიგრადიასა, არადსა, ტარგუმურეშსა და ზიგეტულში, უკანასკნელ დროს ხელახლა გაიმართა უმუშევართა დემონსტრაციები ლოზუნგით: „მოგვეცით პური". უმუშევართა კომიტეტებმა პრეფექტებს მოსთხოვეს, რომ სახელმწიფომ დაუყოვნებლივ დახმარება აღმოუჩინოს უმუშევრებს და მიუჩინოს სამუშაო. (ადს)

საბჭოთა კავშირში

როგორ მიემგზავრებოდა ტროცკი

ფრუნზე, 13 თებერვალი. სადგურ ფრუნზეში ჩამოვიდა ტროცკი ოჯახობით, სპეციალური რბილ ვაგონში. სადგურზე მყოფი ხალხი გაოცებული იყო იმ ბარგის სიმრავლით (70 ადგილი), რომელიც თან მოჰქონდა ტროცკის. განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ მოსკოვიდან გადასახლებულ ტროცკიმ ჩამოიყვანა სანადირო ძაღლი და თან ჩამოიტანა მრავალი სანადირო იარაღები.

„ვინ არის ეს ბატონი?"—კითხულობდენ სადგურზე. (ადს).

თათბირი შრომის დაცვის შესახებ

მოსკოვი, 13 თებერვალი. დაიხურა საკავშირო თათბირი შრომის დაცვის შესახებ.

უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილების გამგის ამხ. კარავაევის მოხსენება 7 საათის სამუშაო დღის შესახებ.

საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. ძელტოვმა სხდომის დახურვის დროს აღნიშნა, რომ თათბირის მუშაობამ და გადაწყვეტილებებმა შრომის დაცვის დარგში მომუშავეებს მისცა უდიდესი მასალა მუშათა კლასის შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის (ადს).

შრომის გმირი

მოსკოვი, 13 თებერვალი. ფეიქართა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა დაჯილდოვებულ იქნეს შრომის გმირის სახელწოდებით და შრომის დროშის ორდენით ამხ. ზვორიკინი, რომელიც 35 წლის განმავლობაში მუშაობდა სელის მრეწველობაში და რომელმაც თავისი გამოგონებებით ხელი შეუწყო მრეწველობის აღდგენას ომის შემდგომ წლებში. ამხ. ზვორიკინის მიერ გამოგონებული სელის მანქანა აუმჯობესებს პროდუქციის ღირსებას და ადიდებს ნაყოფიერებას თითქმის ასი პროცენტით (ადს).

განაჩენი კოციოს მოკვლის საქმეზე

ოდესა, 13 თებერვალი. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი იტალიის ვიცე-კონსულის კოციოს მოკვლის საქმეზე.

მკვლელ დობროვოლსკის მიუსაჯეს დახვრეტა, გუკოვიჩს სამი წლის პატიმრობა, უფლებების აღკვეცა 5 წლის ვადით, ქონების კონფისკაცია და უკრაინიდან გაძევება 5 წლით.

საშუალება სისხლიანი შარდის წინააღმდეგ

ლენინგრადი, 13 თებერვალი. პროფესორმა იაკიმოვმა გამოარკვია რქოსანი საქონლის ავადმყოფობის—„სისხლიანი შარდის" გამომწვევი მიზეზები. აღნიშნული ავადმყოფობა მრავალ ათას სულ საქონელს ანადგურებს ყოველწლიურად საბჭოთა კავშირში. პროფ. იაკიმოვმა შესძლო ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ რადიკალური საშუალების აღმოჩენა (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 13 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახ. კომისარიატმა პურის დამზადების გაძლიერების გამო მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პურის გადაზიდვის დაჩქარება ერთი რაიონიდან მეორე რაიონში. პურის გადაზიდვა საგრძნობლად გაძლიერდა ჩრდილო-კავკასიის, უკრაინის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და ციმბირის გზებზე.

მიღებულია აგრეთვე ზომები იმისათვის, რომ გაძლიერდეს მანუფაქტურისა, ტყავეულის საქონლის, ლითონის ნაწარმოების და სხ. შეზიდვა პურის დამამზადებელ რაიონებში (ადს).

მეთვალყურეობა პურის დამზადების საქმეში

მოსკოვი, 13 თებერვალი. ცენტრალურმა საბჭომ ყველა კოოპერატიულ საბჭოებს მისცა წინადადება, რათა გააძლიერონ კოოპერაციის მიერ თვალყურის დევნება პურის დამზადებაზე. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ კოოპერაციის მიერ დამზადებული პურის მარცვალი დაუყოვნებლივ იქნას გადაზიდული. კოოპერატიული აქტივი ჩაბმულ უნდა იქნას კულაკურ-სპეკულიანტურ ელემენტებთან ბრძოლაში (ადს).

რუტჩენკოვის მაღაროში მომხდარ აფეთქების გამო

ხარკოვი, 13 თებერვალი. რუტჩენკოვის მაღაროში მომხდარ აფეთქების გამო უკრაინის ცაკის და სახ. კომ. საბჭოს მიერ გამოცემულია განკარგულება, რომელიც სათანადო ორგანოებს ავალებს უბედურ შემთხვევის მიზეზების გამორკვევას, დაღუპულთა ოჯახების უზრუნველყოფას და ამავე დროს მოუწოდებს უკრაინის მუშებს ყურადღებით მოეკიდონ ინსტრუქციების და სავალდებულო დადგენილებათა შესრულებას, რომელთა გვერდის ახვევა იწვევს უბედურებასა და დიდ ზარალს.

ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან სასამართლოში

თათბირი პროფსაბჭოში

გუშინ, 13 თებერვალს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში შესდგა თათბირი სასამართლოებში საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ შრომის კონფლიქტების გარჩევის დროს. თათბირს დაესწრო შრომის ორგანოების, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, შრომის სასამართლოების, სამეურნეო ორგანიზაციების და პროფკავშირების წარმომადგენელნი. თათბირის მოწვევის საბაბს წარმოადგენდა ამხ. ლარინის წერილი საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „პრავდა"-ში 8 იანვრის ნომერში. ამხ. ლარინი ზემოხსენებულ წერილში აღნიშნავს, რომ აქამდე მოქმედ მეთოდებს საქმის გაჭიანურების შესანელებლად არ მოაქვს სათანადო შედეგები, რადგან იგი სპობს გაჭიანურების მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებს და ისიც არა ყოველთვის. ამხ. ლარინი იძლევა წინადადებას, რომ საჭიროა შეიცვალოს გადაწყვეტილებათა სისტემა, რათა მოისპოს თვით საბაბი საქმის გაჭიანურებისა სასამართლოებში. საჭიროა შეიცვალოს თვით კანონი, საჭიროა აიკრძალოს სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება ყველა იმ შემთხვევებში, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს დადგენილება მუშის ან მოსამსახურის სასარგებლოდ. სასამართლოს განაჩენი მუშის სასარგებლოდ უნდა იქნეს საბოლოო და არ უნდა ხდებოდეს მისი გასაჩივრება არც ფორმალური მოსაზრებით, არც არსებითად და არც სააპელაციო წესით. მუშას და მოსამსახურეს რჩებათ უფლება გაასაჩივრონ განაჩენი, თუ კი სასამართლო არ დააკმაყოფილებს მათ საჩივარს ადმინისტრაციის მიმართ. მაგრამ ადმინისტრაციასა და ყველა დამქირავებელთ უნდა ჩამოერთვას უფლება გასაჩივრებისა და გაჭიანურებისა, რაკი პირველი ინსტანციის სასამართლო (სახალხო სასამართლო ან შრომის სესია) გადასწყვეტს საქმეს მუშის სასარგებლოდ.

თათბირის მონაწილენი შეეხნენ ამხ. ლარინის ამ ძირითად დებულებას. მიზანშეწონილი იქნება თუ არა გასაჩივრების აღკრძალვა? მთელი რიგი ორატორები უარყოფენ ამხ. ლარინის წინადადებას. მეორე ინსტანცია, მათი აზრით არ ქმნის საქმის გაჭიანურებას. საქმის გარჩევას მეორე ინსტანციაში ანდომება არა უმეტეს სამი კვირისა. მეორე მხრით გასაჩივრების მოსპობა შეასუსტებს პირველ ინსტანციის სასამართლოების ყურადღებას და სერიოზულ მოპყრობას გასარჩევ საქმეებისადმი, ცუდად იმოქმედებს სამეურნეო ორგანიზაციების ინტერესებზე და რაც მთავარია, შექმნის გაუგებრობას იმ მხრივ, რომ მაზრებს, სადაც სასამართლოს მუშაკნი ნაკლებ კვალიფიკაციის არიან და ვერ ერკვევიან შრომის საქმეებში, მოაკლდება ზედამხედველობა საკასაციო ინსტანციის მხრით.

მეორე რიგი ორატორებისა მხარს უჭერდა საკასაციო ინსტანციის გაუქმებას. იმ მოსაზრებით რომ საკასაციო ინსტანციას ხანდახან უფრო მეტი არევ-დარევა შეაქვს საქმის გარჩევაში, რის გამოც პროკურატურას ხშირად უხდება შუამდგომლობა პლენუმის წინაშე საკასაციო ინსტანციის დადგენილების გაუქმებისა და შრომის სესიის დადგენილების დამტკიცების შესახებ. საკასაციო ინსტანციას უფრო ხშირად მიმართავენ სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები არა იმიტომ, რომ გამოასწორონ შრომის სასამართლოს დადგენილება, არამედ უფრო იმიტომ, რომ ან გააჭიანურონ საქმე, ან მოიხსნან პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების გამო. საქმე იმაში კი არ არის, დიდხანს უნდება თუ არა საკასაციო ინსტანცია საქმის გარჩევას, არამედ იმაში, რომ საქმის გარჩევა ისევ ხელახლა იწყება პირველ ინსტანციაში და დაუსრულებლივ გრძელდება.

ორატორები აღნიშნავენ, რომ საქმის გაჭიანურებას იმდენად საჩივრების სხვადასხვა ინსტანციაში გავლის დროს არა აქვს ადგილი, რამდენადაც სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაში. შრომის საქმეების გაჭიანურება არ მიეწერება მარტო საკასაციო წესს. საკასაციო წესის გაუქმებასთან ერთად უნდა გაუმჯობესდეს შრომის სესიების მუშაობის პირობები, გადიდდეს კანცელარიის შტატი, მიეცეს საშუალება მოსამართლეებს გაეცნონ მოსარჩლეთა განცხადებებს და მათ მასალებს და სხვა. მიზანშეწონილი იქნება აგრეთვე ბათომის მაგალითის მსგავსად სასამართლოებში შემოღებულ იქნეს მორიგეობა შრომის ორგანოების წარმომადგენლებისა, რომელნიც სათანადო ახსნა-განმარტებას მისცემენ განცხადების შემტან მუშა-მოსამსახურეებს, გაეცნობიან მათ საქმეებს, მისცემენ დარიგებას, თუ რა მასალითა და საბუთებით წარსდგენ სასამართლოს წინაშე და სხვა. ასეთი ღონისძიება შეამცირებს საქმეების გარჩევის გადადების შემთხვევებს. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს საქმის შესწავლას მხარეების მიერ. ხშირად სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები სასამართლოში ცხადდებიან საქმის გაუცნობლად და იმ მიზეზით, რომ ისინი საქმეს არ იცნობენ, სასამართლოები იძულებული ხდებიან გადასდონ მისი გარჩევა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელების მიერ შრომის კანონმდებლობის სისტემატიურ და უხეშ დარღვევას, რაც ამრავლებს შრომის კონფლიქტებს. ასეთი პირების წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული და მოეწყოს მათი რამოდენიმე საჩვენებელი გასამართლება.

თათბირს საბოლოო დასკვნები და გადაწყვეტილება არ გამოუტანია. თათბირმა გამოსთქვა სურვილი ამ უახლოეს დღეებში მოწვეულ იქნეს უფრო ფართო კრება ამ საკითხის უფრო დაწვრილებით განსახილველად.

თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ

კამათი ამხ. შოგირაძის მოხსენების გარშემო

13 თებერვლის დილის სხდომა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის თათბირზე სოფლად მუშაობის შესახებ გუშინ გრძელდებოდა კამათი ამხ. შოგირაძის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ: ენგიბარიანი, ტაგიევი, ტერ-ოგანიანი და ხანბარიანი.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საკითხი მოჯამაგირეთა შორის მუშაობის განვითარების შესახებ, არის მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალური საკითხი, რომელიც წარმოადგენს ამიერ-კავკასიის სოფლის კულაკურ ელემენტებზე შეტევის განვითარების პირობას. აუცილებლად უნდა ვეცადოთ, რომ 100 პროცენტით ჩავაბათ მოჯამაგირენი კავშირებში გავაძლიეროთ მათი მიზიდვა პარტიაში და აგრეთვე დავაწინაუროთ მოჯამაგირეთა აქტივი სამეურნეო და ადმინისტრატიულ მუშაობაში.

მე-15 პარტყრილობის დირექტივები კულტურულ რევოლიუციის შესახებ უნდა გატარდეს კულტმუშაობის სათანადოდ გაძლიერებით ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკების მოჯამაგირეთა შორის. სასამართლოს ორგანოებმა აუცილებლად უნდა დააჩქარონ მოჯამაგირეთა საქმეების განხილვა. საჭიროა სასტიკი თვალყურის დევნება იმ კანონების შესრულებაზე, რომლებიც მიმართულია მოჯამაგირეთა შრომის დაცვისაკენ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. შოგირაძის მოხსენება სოფლის პარტუჯრედების მუშაობის შესახებ. მოხსენების თანახმად 1927 წლის 1 იელისისათვის ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ითვლებოდა 1.432 უჯრედი და 225 საკანდიდატო ჯგუფი, რომლებიც აერთიანებენ პარტიის 21.226 წევრს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბევრ სოფლის უჯრედებს ესაჭიროება განმტკიცება და გაძლიერება. მოჯამაგირეთა პარტიაში მიზიდვის მხრივ სოფლის უჯრედებს ძლიერ ცოტა აქვთ გაკეთებული.

ბევრ ისეთ რაიონებში, სადაც თავმოყრილია მოჯამაგირეობა, პარტიის გავლენა ვერ არის ძლიერი. სოფლის უჯრედები სუსტად იზიდავენ პარტიაში ქალებს, მაღალია მოსამსახურეთა პროცენტი.

პარტმუშაობის დარგში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობა სუსტადაა დაკავშირებული სოფლის კულტურულ და ყოფა-ცხოვრებითი გადაკეთების საკითხებში. ბევრი სოფლის უჯრედი თავის დროზე და დამაკმაყოფილებლად ვერ ამუშავებს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს. აგრეთვე საკმაო ყურადღება არ ექცევა ბიუროკრატიზმთან ბრძოლას.

გასულ სამოსწავლო წელში ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მუშაობდა 272 პოლიტსკოლა, რომლებშიაც გაიარა 10.269 კაცმა, მათ შორის 4.525 პარტიულმა და 3.870 კომკავშირელმა. ამრიგად, ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა, მაგრამ ეს მიღწევები შემდეგში არ მტკიცდება შესაფერი თვითგანვითარებით მუშაობის საშუალებით. სოფლის პარტიულთა კულტურის დონის აწევა წარმოადგენს სოფლის უჯრედების ერთ-ერთ [illegible] ამოცანას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მუშაობას ღარიბ გლეხობის შორის და აღნიშნა, რომ ღარიბ გლეხობის თათბირების და ჯგუფურ კრებების მოწვევა შევიდა ადგილობრივ პარტორგანიზაციების პრაქტიკაში. რაც შეეხება მუშაობას ღარიბ გლეხობის ჯგუფებს შორის, ამ მუშაობის შინაარსი ჯერ კიდევ არ არის შეთვისებული. ადგილებმა სწორად ვერ გაიგეს ლოზუნგი „შეტევა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე", პარტორგანიზაციებმა ადგილებზე სისტემატიური მუშაობა უნდა აწარმოონ სოფლის, განსაკუთრებით ღარიბ გლეხობის, ეკონომიურ და კულტურულ დონის ასაწევად. სოფლის უჯრედებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც თამაშობს სოფლად კომკავშირი კოლექტიურ მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, უნდა გააძლიერონ პარტხელმძღვანელობა, განამტკიცონ მიმაგრებულთა ინსტიტუტი და ცხოვრებაში გაატარონ ა. კ. საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებები ამ საკითხის შესახებ. აგრეთვე საჭიროა გაძლიერდეს ქალთა პარტიის წევრთა შემადგენლობა კომკავშირში, თუმცა პარტიაში კომკავშირიდან მიღებულთა პროცენტი აღწევს 30-მდე. სოფლის უჯრედებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე ქალთა აქტივის მუშაობას, განსაკუთრებით საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებში სადაც მუშაობის ეს დარგი სუსტია.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ციტატა ამხ. სტალინის მიერ 1925 წელში სოფლად მუშაობის თათბირზე წარმოთქმულ სიტყვიდან და აყენებს წინადადებას გაძლიერებულ იქნას მუშაობა სოფლის უპარტიო აქტივთან და, სადაც ასეთი არ არის, შეიქმნას იგი პარტიის რეზერვის მოსამზადებლად.

ა. კ. ორგანიზაციებმა ამოცანად უნდა დაისახონ სოფლის კულტურულად გადაკეთება კოლექტიურ და კოოპერატიულად შეკავშირებულ მეურნეობის ნიადაგზე, სოფლის კულტურულ დონის აწევა, საყოველთაო დაწყებითი სწავლის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და ანტირელიგიურ პროპაგანდის გაცხოველების ნიადაგზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. ტერ-ოგანესიანი, ჩაბანოვი და გურგენაძე, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს სოფლის ორგანიზაციების სოციალურ შემადგენლობის მოწესრიგებას და სოფლის პარტგანათლების დაყენებას, რისთვისაც საჭიროა გადასვლა სხვადასხვა ფორმების პოლიტსკოლებიდან სოფლის ერთიან პარტსკოლაზე. საჭიროა სოფლის უზრუნველყოფა სათანადო ლიტერატურით, განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში, და აგრეთვე გაძლიერებულ უნდა იქნას ანტირელიგიური პროპაგანდა. კამათში ამასთანავე აღინიშნა, რომ საჭიროა დაჩქარებულ იქნას მიწადმოწყობის გატარება ამიერ-კავკასიაში, ვინაიდან გლეხთა მიწების მოუწყობლობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ერთ-ერთ დაბრკოლებას. იმ ცალკე ორგანიზაციების გამოცდილების მიხედვით, რომლებიც იწვევდნენ ღარიბ გლეხობის თათბირებს სათემო და სამაზრო პარტორგანიზაციებთან, საჭიროა ასეთ თათბირებისა და კონფერენციების მოწვევა რესპუბლიკანურ და ა.-კ. მასშტაბით. დასასრულ, კამათში აღინიშნა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში კოლექტიურ მეურნეობათა მექანიზაციის გაძლიერების საჭიროება.

საღამოს სხდომა

13 თებერვალს თათბირის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. შოგირაძის მოხსენების გამო; კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ტაგიევმა, გუმედინმა, ალიევმა, ავაქიანმა, ვართანიანმა, ჩეურკოვმა, მრავიანმა ენგიბაზიანმა, ალექსეროვმა, ბაბიკმა და ლისოვსკიმ.

ორატორებმა აღნიშნეს ქალთა შორის მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობა უჯრედების ორგანიზატორებისა და სარაიონო კომიტეტების მხრივ და საჭიროდ სცნეს უჯრედების ორგანიზატორთა თათბირების მოწვევა და ინსტრუქტაჟის გაუმჯობესება.

რადგან მეტყავეთა შორის მუშაობა სუსტია, კამათში მონაწილენი წინადადებას იძლეოდნენ, რომ დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული ამ მუშაობისათვის სერიოზული მზადება. ადგილობრივი პარტიული უჯრედების დირექტივების შეუთანხმებლობა ახალგაზრდობის საჭიროებასთან მოითხოვს პარტიულ ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას ადგილობრივ; ეს გაუმჯობესება უნდა მოხდეს ადგილობრივ პირობების მიხედვით პარტიის იმ მთავარ დადგენილებათა კონკრეტიზაციის საფუძველზე, რომლებიც შეეხება სოფლად მუშაობას. საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციების სოციალურ შემადგენლობას; მათ რიგებში, პირველ ყოვლისა, ჩაბმულ უნდა იქნას ღარიბი და მოჯამაგირე ახალგაზრდობა. რადგან ნაკრები უჯრედები ჩვეულებრივ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ, საჭიროა გაძლიერდეს და გაფართოვდეს სასოფლო ორგანიზატორების ინსტიტუტი. ხანგადასულ კომკავშირელთა საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება, რათა მთლიანად გამოვიყვანოთ ისინი საზოგადოებრივ, პროფკავშირულ, კოოპერატიულ და სხ. სამუშაოებზე.

შემდეგ ორატორებმა აღნიშნეს პარტიული გლეხების ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის საჭიროება უპარტიო გლეხთა მასის მეურნეობასთან შედარებით მათი მეურნეობის განვითარების სტატისტიკისა და დინამიკის თვალსაზრისით, პარტიული გლეხების მონაწილეობის საჭიროება კოლექტიურ მეურნეობაში და სხვ. კამათის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიულ სოფლელების კულტურული დონის ამაღლებას (მოკლევადიანი სპეციალური კურსები, თათბირები და სხვ.). საჭიროა სოფლის უჯრედების მონაწილეობა ეკონომიურ კამპანიებში, პურის დამზადებაში და სხვ.

ამხ. შოგირაძის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. შოგირაძემ ჯამი გაუკეთა ადგილობრივი ამხანაგების პრაქტიკულ წინადადებებს და აღნიშნა სამაზრო და სათემო კომიტეტების გაძლიერების საჭიროება, რათა უკეთესი ხელმძღვანელობა გაეწიოს სოფლის უჯრედებს.

მომხსენებელი შეეხო მიწადმოწყობას და საჭიროდ სცნო ამ საკითხის ყურადღებით შესწავლა, მისი დაკავშირება სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციასთან.

საჭიროა პარტიის მორიგი დადგენილებათა კონკრეტიზაცია მოხდეს სასოფ.-მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში და ამასთანავე არ შევასუსტოთ სოფლის უჯრედების მუშაობის ტემპი.

თათბირის რეზოლიუციის პროექტში საჭიროა შეტანილ იქნას სოფლის უჯრედების ამოცანები ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა საექსპორტო შესაძლებლობანი, პურის დამზადება და სხვა.

თბილისის საბჭოს ახალი თავმჯდომარე

ამხ. ვანო ბოლქვაძის არჩევა თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ვ. ბოლქვაძე

თბილისის საბჭოს გუშინდელმა პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. ლადო სუხიშვილის განცხადება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნად არჩევის გამო მისი განთავისუფლების შესახებ თბილისის საბჭოს თავმჯდომარეობის მოვალეობიდან და დააკმაყოფილა ეს განცხადება. ამხ. ლადო სუხიშვილის მაგივრად თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა ერთხმად აირჩია თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ვანო ბოლქვაძე.

ამხ. ვანო ბოლქვაძე დაიბადა 1879 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ სამხთოში. მიღებული აქვს შინაური განათლება. 1895 წელს შედის შეგირდათ ბათომის ერთ-ერთ სტამბაში.

1899 წელს ჩამოდის თბილისში და იწყებს მუშაობას ლიბერმანის სტამბაში, 1901 წლის ბოლოს პარტიის დადგენილებით, — მიემგზავრება ბაქოში არალეგალური სტამბაში სამუშაოდ, სადაც მუშაობს 1905 წლამდე. 1905 წლის მანიფესტის შემდეგ მიემგზავრება ლენინგრადში და მუშაობს ბოლშევიკების არალეგალურ სტამბა „დელო"-ში. ამ სტამბის ჩავარდნის შემდეგ პარტია ამხ. ვანოს აგზავნის ფინეთში — ქალ. ვიბორგში, სადაც განაგრძობს მუშაობას ბოლშევიკურ გაზეთებზე. 1908 წლამდე ამხ. ვანოს ვიბორგში უხდება მუშაობა. აქედან იმავე წელს ჩამოდის პეტერბურგში და იქ მუშაობს სხვადასხვა ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. 1908 წლის დამლევს მოემგზავრება თბილისში, სადაც იგი სხვადასხვა სტამბაში მუშაობს. თებერვლის რევოლიუციამ ამხ. ვანოს თბილისში მოუსწრო, 1919 წელს მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა და წელიწადნახევარი ჰყავდა ციხეში, ციხიდან განთავისუფლებულ იქნა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომელმაც ამხ. ვანოს ბათომის ციხეში მოუსწრო. გასაბჭოების შემდეგ ამხ. ვანო ბოლქვაძე ხელმძღვანელობდა პოლიგრაფიულ წარმოებას და ამავე დროს მუშაობდა მუშკოოპში, სადაც სავსებით გადავიდა 1924 წლიდან. კომ. პარტიაში ამხ. ვანო ირიცხება 1900 წლიდან. ამჟამად იგი საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პრეზიდიუმის, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის და თბილისის მეორე რაიკომის პრეზიდიუმის წევრია.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს ამხ. ლადო სუხიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო საორგანიზაციო საკითხები და თბილისის ადმინისტრატიულ განყოფილების მოხსენება.

ადმინისტრატიული განყოფილების მუშაობა

(მომხსენ. ამხ. ხმალაძე)

მომხსენებელი, რომელიც ვრცელ მიმოხილვას უკეთებს ადმინისტრატიულ განყოფილების მუშაობას, აღნიშნავს, რომ 1926 წელს ჩატარებულმა განყოფილების რეორგანიზაციამ განყოფილების აპარატში შეიტანა რაციონალიზაცია და საქმის წარმოების გამარტივება. შემდეგ მომხსენებელი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ყოველწლიურად ხდება მილიციის შემცირება, როცა მისი მუშაობის ჯამი თანდათან იზრდება: არ რჩება არც ერთი ორგანო სახელმწიფოში, რომელიც თავის მუშაობას არ ატარებდეს მილიციის დახმარებით. მილიციის დიდძალი საქმეებით დატვირთვა და ამავე დროს მისი შტატის მნიშვნელოვანმა შემცირებამ აუცილებელი გახადა მილიციის მუშაკთა კვალიფიკაციის აწევა, მათი შესაფერი ცოდნით აღჭურვა. სწორედ ამ მიმართულებით წარმართა თავისი მუშაობა ადმინისტრატიულმა განყოფილებამ, რომელმაც მილიციის მუშაკთა მოსამზადებლად 1925 წელში გახსნა მუდმივი მილიციელთა მოსამზადებელი კურსები, რომელმაც დღემდე გამოუშვა 345 კაცი. ამჟამად კურსებს აქვს საკმაო პრაქტიკა და გამოცდილება და ჰყავს დახელოვნებული ხელმძღვანელები. გარდა ამ კურსებისა, მოქმედებენ წრეები, სადაც მილიციელებს საშუალება ეძლეოდათ გაეცნობოდენ ყველა იმ უფლებებს და სპეციალურ საკითხებს, რომელთაც კავშირი აქვთ მათ მუშაობასთან. არა ნაკლები ყურადღება ექცეოდა მილიციელთა პოლიტიკურ აღზრდას და გათვითცნობიერებას. განყოფილების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა მილიციის მთელი შემადგენლობის გასამხედროება. ამ მიზნით მილიციას ასწავლიდენ ყველა იმ საგნებს, რაც სავალდებულოა წითელ არმიელთათვის. გაუმჯობესდა აგრეთვე მილიციის ტექნიკურ მოწყობილობის საქმე. შეძენილია 42 ველოსიპედი, მოწყობილია მაძებარ ძაღლების საჯიშე და სხვა. ადმინისტრატიულ განყოფილების მიერ მიღებულმა ზემოდასახელებულმა ღონისძიებებმა გამოიღეს სათანადო ნაყოფი. მილიცია ყოველმხრივ ამაღლდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მილიციის მატერიალური მდგომარეობაც, ახალი დებულების შემოღების შემდეგ აიწია ხელფასმა, სამუშაო დრო განისაზღვრება 8 საათით, დაწესდა გამოსასვლელი დღე, შემოღებული იქნა მილიციელთა სახელმწიფო დაზღვევა და სხვა. მილიციის შემადგენლობა ასი პროცენტით მუშურ-გლეხურია. უფრო შემადგენლობის 40 პროცენტს წარმოადგენენ დაზგის მუშები. მილიცია თანდათან ივსება დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიელებით. მილიციის თანამშრომელთა ასეთმა სოციალურმა შერჩევამ სრულიად გარდაქმნა მისი მორალური ღირებულება. იშვიათია მილიციელის მხრივ ისეთი ბოროტმოქმედების ჩადენა, რომელიც ჩირქს სცხებდეს მ. გ. მილიციის პრესტიჟს. არა ნაკლები მიღწევები აქვს მილიციას თავის პირდაპირი მოვალეობის შესრულების დარგში—ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში. 1927 წელს აღრიცხული იყო 6.177 ბოროტმოქმედება, აქედან მილიციის მიერ ახსნილია 4.663. საშუალოდ მილიციის მიერ გახსნილი ბოროტმოქმედება ქალაქში 60—70 პროცენტს აღწევს, ხოლო მაზრაში 80—90 პროცენტს. წარმატებით აწარმოებს იგი ბრძოლას აგრეთვე ხულიგნობასთან, რომელიც მილიციის გეგმიან და მტკიცე მუშაობის წყალობით დღით-დღე მცირდება, რასაც შემდეგი ციფრები ამტკიცებს: პირველ კვარტალში ხულიგნობის შემთხვევა იყო 451, ხოლო მეოთხე კვარტალში 216.

კამათი

ამხ. ხმალაძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ამხ. აზრუმელაშვილი საჭიროდ სცნობს აღმასკომმა ყურადღება მიაქციოს მილიციელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მათი ხელფასი ჩამოურჩება სხვა ჯგუფებს, მათი მოვალეობა კი ძნელი და პასუხისაგებია. დანარჩენი ამხანაგები საჭიროდ სცნობენ აგრეთვე ბრძოლის გაძლიერებას ხულიგნობასთან განსაკუთრებით განაპირა რაიონებში. ამ მიზნით მათ საჭიროდ მიაჩნია გამრავლდეს საგუშაგოების რიცხვი, რომელიც ამჟამად სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა—თუმანიანმა, სტეფანოვმა და გაზოვმა.

რეზოლიუცია

დასასრულ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ადმინისტრატიულ განყოფილების მუშაობას და აღნიშნავს შემდეგ მიღწევებს: მილიციის შემადგენლობის გაუმჯობესებას, დისციპლინის განმტკიცებას, კულტურულ მუშაობის წარმატებას და სხვა. ამავე დროს რეზოლიუცია საჭიროდ სცნობს დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, მილიციელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მილიციის შემადგენლობის შევსებას ყოფილ წითელ არმიელებით, მოძრაობის მოწესრიგებას თბილისის ქუჩებში და სხვა. პლენუმმა პრეზიდიუმს მიანდო აგრეთვე განიხილოს საკითხი თბილისის საბჭოსთან სასამართლო-ადმინისტრატიულ სექციის მოწყობის შესახებ.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. კოპავის ცნობა საუკეთესო სექციაზე კონკურსის მოწყობის შესახებ.

საკურორტო ყრილობა

სრულიად საქართველოს პირველი საორგანიზაციო-სამეცნიერო საკურორტო ყრილობა გაიხსნება 20 თებერვალს დილით. 19 თებერვალს საღამოთი შესდგება ყრილობის დელეგატთა ამხანაგური შეხვედრა. 18 თებერვალს სამუშაო საათებში და 19-ს მთელი დღე საღამოს 7 საათამდე კურორტთა მთავარ სამმართველოს ბინაზე (ძნელაძის ქ. № 30) იწარმოებს დელეგატთა და სტუმართა რეგისტრაცია, საჭირო ცნობებისა და სათანადო ბილეთების გაცემა. ყრილობის მიზანია გაუკეთოს ჯამი კურორტთა მთავარ სამმართველოს ექვსი წლის ნამუშევარს და შეიმუშაოს მომავალი მუშაობის გეგმა.

როგორ მუშაობდა ოპოზიცია

ყოფ. ოპოზიციონერის ამხ. მამედლინსკის ჩვენება აზერბეიჯანის კომპარტიის საკონტროლო კომისიაში.—ბ. მდივანის და მ. ოკუჯავას გასტროლები ბაქოში

ამხ. ა. მამედლინსკიმ, რომელიც ჩამოშორდა ოპოზიციას და დაუბრუნდა საერთო პარტიულ ხაზს, აზერბეიჯანის კომპარტიის საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას 1 თებერვლის სხდომაზე მოუთხრო დაწვრილებითი ცნობები ტროცკისტულ ოპოზიციის ფრაქციულ არალეგალურ მუშაობის შესახებ ბაქოს ორგანიზაციაში.

სარქისი აწყობს ორგანიზაციულ ცენტრს ბაქოში

„ტროცკისტულ ოპოზიციის ცენტრი ბაქოში მოეწყო 1927 წლის გაზაფხულზე. მანამდე ჩვენს ორგანიზაციაში იყვნენ ცალკე ოპოზიციონერები, რომელთაც არ ჰქონდათ კავშირი ურთიერთ შორის. 1927 წლის გაზაფხულზე ბაქოში ჩამოვიდა სარქისი, რომელიც თავის მშობლებზე ზრუნვის საბაბით ხშირად ჩამოდიოდა ბაქოში.

ერთხელ სარქისის უკანასკნელ ჩამოსვლის გამო, — ამბობს ამხ. მამედლინსკი,—ჩემს ბინაზე შევიკრიბეთ გირშიკი, საფაროვი, შებარშოვი და მე. მაშინ ჩვენ შეთანხმებული ვიყავით (სარქისი მუშაობდა როსტოვში) გვეწარმოებია მიწერ-მოწერა ურთიერთ შორის და გვქონოდა კავშირი.

სარქისის გამგზავრების შემდეგ ჩვენ შევიკრიბეთ გირშიკის ინიციატივით. შევიკრიბეთ 9—10 თანამოაზრენი. ჩემს გარდა იყვნენ გირშიკი, კრილოვი, პოპოვი, ტიტოვი, შებარშოვი, და სხვ. აქ ჩვენ გამოვყავით „საინიციატივო ბიურო", რომელშიაც შევიდნენ გირშიკი, შებარშოვი, კრილოვი, ტიტოვი და მე. ეს მოხდა დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სარქისის გამგზავრებიდან. და აი ეს ხუთეული შეუდგა მუშაობას. საინტერესოა ისტორია, რომელიც შეემთხვა ტიტოვს. გირშიკმა ეჭვი აიღო, რომ ის მოგზავნილია აპარატიდან. ამის შემდეგ ის ჩვენ თავიდან მოვიშორეთ და დავრჩით ოთხნი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ტიტოვს უწოდებენ „მშვიდობიან" ოპოზიციონერს, რომელიც თითქმის არ აწარმოებდა ფრაქციულ მუშაობას".

44-ის განცხადების ისტორია

„ერთხელ, სწორად არ მახსოვს როგორ იყო,—განაგრძობს ამხ. მამედლინსკი—სარქისისაგან მოგვივიდა დეპეშა თუ თვით გირშიკმა მიიღო თავის-თავზე ინიციატივა, მაგრამ გირშიკი გაემგზავრა როსტოვში. გამგზავრების მიზანი იყო როსტოვის ოპოზიციასთან კავშირის განმტკიცება. ფიქრობდენ, რომ შეიძლება ის გაემგზავროს მოსკოვში, რათა კავშირი გააბას მოსკოველებთან და მიიღოს პრაქტიკული ინსტრუქციები. გირშიკი დაბრუნდა დამზადებული განცხადებით, რომელსაც შემდეგ უწოდებდენ 44-ის განცხადებას. განცხადება დაწერილი იყო როსტოვში სარქისის მიერ. ჩვენ მივიღეთ დირექტივა შეგვეგროვებია რაც შეიძლება მეტი ხელმოწერა განცხადებაზე. ხელმოწერის შეგროვებას ჩვენ არ ვუყურებდით სერიოზულად. ეს სჩანს იქედან, რომ ბევრი ხსნიდა თავის ხელმოწერას. თვით სარქისმაც კი დაადასტურა, რომ ხელმოწერის შეგროვებას არ ვეპყრობოდით სერიოზულად, განსაკუთრებით ბაილოვის რაიონში. მაგრამ ამაში არ იყო მიზეზი. მიზეზი იყო ის, რომ ოპოზიციას ნიადაგი არ ჰქონდა ბაქოში: მოდიოდენ და მიდიოდენ. საერთოდ მოვაგროვეთ 44 ხელმოწერა".

გირშიკი და ოგანეზოვი ტროცკისთან და ზინოვიევთან

„რომ ჩაგვეტანა ხელმოწერები მოსკოვში ხოლო ეს იყო ცოტა ხნით ადრე ცეკას აგვისტოს პლენუმამდე, რომელზედაც დასმული იყო საკითხი ტროცკის და ზინოვიევის ცეკადან გამორიცხვის შესახებ,—ოგანეზოვი (რომელიც შემოვიდა ჩვენს ოპოზიციონურ ცენტრში) ჰაეროპლანით გაფრინდა მოსკოვში. ოგანეზოვის შემდეგ გაფრინდა გირშიკი (ყველა ეს გადაფრენები და მგზავრობა ხდებოდა საბჭოთა დაწესებულებების ხარჯზე, სამსახურის საქმეებზე გამგზავრების საბაბით).

მოსკოვში მათ, რასაკვირველია, ინახულეს „ბელადები" და ბაქოში დაბრუნდნენ წერილით „ამხანაგების მიმართ, რომელთაც გამოგზავნეს განცხადება ბაქოს ორგანიზაციისაგან". წერილს ხელს აწერდნენ ტროცკი და ზინოვიევი. მასში ნათქვამი იყო, რომ ბაქოს ორგანიზაციაზე ამყარებდენ დიდ იმედს, რომ ის ყოველთვის იყო წინა რიგებში, ყოველთვის მხარს უჭერდა პროლეტარულ ხაზს. ორგანიზაციას ურჩევდენ ამ შემთხვევაშიაც მხარი დაეჭირა პროლეტარულ ხაზისათვის, ე. ი. ოპოზიციის ხაზისათვის. წაკითხვის შემდეგ წერილი უნდა დაგვეწვა.

წერილის გარდა „ბელადებმა" ბაქოს ორგანიზაციას გამოუგზავნა სიტყვიერი დირექტივები. დირექტივები იყო იმის შესახებ, რომ გაგვეფართოებია ხელმოწერის შეგროვება, კავშირი გაგვება იმათთან, ვინც ადგილობრივ ორგანიზაციის მიმართ ოპოზიციონურად იყო განწყობილი. იყო კონკრეტული მითითებები იმის შესახებ, რომ, როგორც ზინოვიევმა სთქვა, ჩვენ „კავშირი გაგვება ნაციონალებთან". აქ მხედველობაში ჰყავდათ დაახლოებით ისეთივე ჯგუფი, როგორიცაა ქართველი უკლონისტები. ამ დირექტივების შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ხელმოწერების დამატებითი შეგროვება. შევაგროვეთ კიდევ 38 ხელმოწერა".

კავშირი აზერბეიჯანელ უკლონისტებთან

(მოლაპარაკება ე. და მ. ხანბუდაგოვებთან)

აზერბეიჯანელ უკლონისტებთან კავშირის გაბმის ცდის შესახებ ამხ. მამედლინსკი ამბობს:

„ერთხელ ჩვენმა ცენტრმა (გირშიკის გამგზავრების შემდეგ) დაგვავალა მე და არსენ ოგანეზოვს (საერთოდ ოგანეზოვების მთელი ოჯახი—4 ძმა: 2 კომკავშირელი და 2 პარტიული—ოპოზიციონური იყო) გვეწარმოებია მოლაპარაკება ხანბუდაგოვთან. ჩვენ მივედით ეიუბის და მახმუდის ბინაზე. ვლაპარაკობდით ჩვენ იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე და პრინციპებზე შეიძლება მიღწეულ იქნეს შეთანხმება. ჩვენი მოლაპარაკებიდან შეიძლება და დასკვნის გამოტანა, რომ ჩვენ ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას, იმიტომ, რომ მათთან ლაპარაკში მე პირდაპირ დავაყენე საკითხი, რომ ნაციონალურ მომენტზე სპეკულიაცია დაუშვებელია. მათ დიდის ამბით გამოაცხადეს, რომ „მოიფიქრებენ".

განზრახული იყო კიდევ შეხვედრა, მაგრამ გამოითქვა ასეთი სურვილი, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ეიუბი გაემგზავრება მოსკოვში, ინახულებს „ბელადებს" და დაწვრილებით მოილაპარაკებს იქ. როგორც ვიცით, ამან ბოლოს არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, თუმცა მახმუდი ძმაზე უფრო „გაბედული" იყო და შემდეგ შეუერთდა ოპოზიციას.

მახმუდს უკვე დიდი ხანია ემჩნეოდა ოპოზიციონური განწყობილება, მაგრამ რატომღაც ის ვერ ახერხებდა საქმისათვის ხელის მოკიდებას. ოპოზიციას ის ორგანიზაციულად დაუკავშირდა ჩემი საშუალებით, სარქისის უკანასკნელი ჩამოსვლის (1927 წლის შემოდგომა) შემდეგ. სხვათაშორის, ოპოზიციონური რეზოლიუცია, რომელიც ბაქოს კონფერენციაზე ხანბუდაგოვმა წაიკითხა, თითქმის თავის ხელით, დაწერილია სარქისის ხელით.

ოპოზიციონური ტექნიკა, კონსპირაცია, საწევრო გადასახადი

„ოპოზიციონურ ტექნიკას განაგებდენ სხვადასხვა ამხანაგები, რომლებიც ხშირად იცვლებოდენ. ოპოზიციონურ ლიტერატურის ბეჭდვისა და გავრცელებისათვის არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებას. სარქისმა ჩამოიტანა ფიშელევის მიერ გაბეჭდილი პლატფორმის 15 ეკზემპლიარი. რკინისგზით მე მივიღე 500 ეკზემპლიარი პლატფორმა.

მოსკოვთან და თბილისთან კავშირი კარგად იყო დაყენებული. ვუგზავნიდით ერთი-მეორეს შიფრიან დეპეშებს. ჩვენ გვქონდა თავისი შიფრი. მაგალითად, როცა მე მივიღებდი პლატფორმას, ვალდებული ვიყავი არტავაზდ ოგანეზოვისათვის გამეგზავნა პირობითი დეპეშა, რომ მივიღე 500 მანეთი, ე. ი. 500 პლატფორმა. გარდა ამისა გვქონდა პაროლი და „იავკა". მაგალითად, გრაჩიკოვსკის პაროლი და იავკა იყო ასეთი: ბლოკნოტის ფურცელზე ხელმოწერა—სერგეი; ფურცელს ჭრიდენ ორად, ხელმოწერის ერთი ნახევარი რჩებოდა ფურცლის ერთ ნახევარზე, ხოლო მეორე მეორეზე. ადგილზე მისვლის შემდეგ ორ ნახევარს ადარებდენ. იგივე იყო თბილისში ვირაბთან, ოკუჯავასთან და სხვ. ერთის სიტყვით, დაცული იყო არალეგალური მუშაობის ყველა წესები.

როგორც ვიცით, სერებრიაკოვი იყო გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. ყველა ოპოზიციონერები, რომლებიც მიემგზავრებოდენ მოსკოვში და ბრუნდებოდენ უკან, უფასო ერთდროული ბილეთებით სარგებლობდენ. მე პირადათ მოსკოვში წავედი ჩემს ხარჯზე, ხოლო დავბრუნდი უფასო ერთდროული ბილეთით. ბაქოს ოპოზიციონურ ცენტრს ჰქონდა რკ. გზის მუდმივი ბილეთი.

მტკიცედ განსაზღვრული საწევრო გადასახადი არ ყოფილა. მაგრამ ფულის შეგროვება ხდებოდა პროპორციულად „კულაკებისაგან", „ღარიბებისაგან" და სხვ. ღარიბებს ათავისუფლებდენ, ბევრს, ხარჯავდენ ზედა ფენები. მიმართავდენ ისეთ ზომებს, რომ ცალკე პარტიულებს გზავნიდენ ურთიერთდამხმარე სალაროში. როცა ბაქოში მივიღეთ შაპიროგრაფზე დაბეჭდილი პლატფორმა, საჭირო იყო მისი გამრავლება, რაც სათანადო საშუალებებს მოითხოვდა. მე და არსენ ოგანეზოვმა მივმართეთ ბუდუ მდივანს და მან შემოგვწირა 40 მანეთი. ცენტრში—მოსკოვში—იყო ოპოზიციის ცენტრალური სალარო, მაგრამ იქიდან ჩვენ ერთი კაპეიკიც არ მიგვიღია.

კრებები იწყობოდა კონსპირაციის ყველა წესების დაცვით.

ჩემს შესახებ მე უნდა განვაცხადო, რომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად არც ერთი კრება მე თავის ბინაზე არ გამიმართავს და სახლში არავის არ ვაჩერებდი. პლატფორმის გავანაწილეთ ცენტრის ცალკე წევრებსა და აქტივისტებს შორის. მახსოვს სიმონიანი, დორონოვი და სხვ. სხვათა შორის, ერთ-ერთ მათგანს მიბარებული ჰქონდა ჩვენი ორგანიზაციის არქივი. ოპოზიციონური ლიტერატურა ბლომად გვქონდა".

ოპოზიციის გაერთიანება ამიერ-კავკასიაში

„იმ დროს, როცა მე ვიმყოფებოდი მოსკოვში—განაგრძობს ამხ. მამედლინსკი—მე გავიგე, რომ ამიერ-კავკასიაში იმყოფება ტერი, რომელსაც აქვს სპეციალური დავალება ოპოზიციის გაერთიანების შესახებ ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ბაქოში ჩამოსვლის შემდეგ მე გავიგე, რომ ამიერ-კავკასიის ოპოზიციის გაერთიანება უკვე ჩამოყალიბებულია და ბაქოდან მასში შედიან გირშიკი, მამედლინსკი და შებარშოვი. რომლებიც ჩვენგანი იყო კანდიდატი. შემდეგში გაიმართა ამიერ-კავკასიის ოპოზიციის თათბირიც, რომელსაც ბაქოდან დაესწრო არსენ ოგანეზოვი. ამიერ-კავკასიის ოპოზიციონურ ცენტრთან კავშირის გასაბმელად თბილისში ხშირად მიდიოდენ გირშიკი და სკუბლინსკი. ჩამოდიოდენ აგრეთვე თბილისიდანაც. ცენტრიდან ჩვენ გვქონდა დირექტივა თბილისთან კავშირის გაბმის შესახებ. სხვათა შორის, ბაქოში ჩამოვიდა მიშა ოკუჯავა. მისი ჩამოსვლის გამო გაიმართა ოპოზიციის კრება. ვარკვევდით ტექნიკის და ტაქტიკის საკითხებს. ოკუჯავა დარჩა 2—3 დღეს, მოგვაწოდა ინფორმაცია ოპოზიციის მდგომარეობის შესახებ საქართველოში და ამიერ-კავკასიაში. ტრაბახობდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკა სასტიკად დამარცხდაო.

ბუდუ მდივანისთან მოვაწყვეთ ორი არალეგალური კრება. ერთი—„ვიწრო ცენტრის" კრება, მეორე უფრო ფართე კრება, რომელსაც დაესწრო 20 კაცი. ბუდუმ გააკეთა მოხსენება, ილაპარაკა საგარეო პოლიტიკაზე, საშინაო საქმეებზე, საფრანგეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაზე, ვალებზე და სხვ.

სარქისი და ტერ-ვაგანიანი ჩამოვიდნენ ჩვენი მოთხოვნით. ჩვენი პარტიიდან გამორიცხვის შემდეგ საჭირო იყო ხალხი, რომელიც გამოვიდოდა პარტიულ კრებაზე, ვინაიდან ჩვენ ვემზადებოდით დისკუსიისათვის. „ბელადებს" განზრახული ჰქონდათ ნიადაგის მოსინჯვა დისკუსიის დროს ბაქოს ორგანიზაციაში, რისთვისაც უნდა გამოეგზავნათ სარქისი და ტერი, ხოლო შემდეგ ჩამოვიდოდა ვინმე უფრო მოწოდებული, მაგალითად რაკოვსკი.

მამედლინსკი და შებარშოვი ბელადებთან

„იმის საბაბით, რომ პროტესტი განმეცხადებინა ჩემი გამორიცხვის გამო პარტიის სადგურის გადაღმა რაიკომიდან—განაგრძობს ამხ. მამედლინსკი—მე გავემგზავრე მოსკოვში. მოსკოვში მივედი სარქისთან, მაგრამ ვეღარ მივუსწარი, ვინაიდან ის იყო ლენინგრადში ფრაქციულ მუშაობის საწარმოებლად.

„სერიოზულად და დიდი ხნით" შეკოწიწებულ ოპოზიციას, მიუხედავად თავისი „შეკავშირებისა", მოსკოვში ჰქონდა ცალკე ცენტრები ზინოვიევის მიმდევრებისა და ტროცკისტების. მრაჩკოვსკისთან თავს იყრიდენ ტროცკისტები, გერტიკთან—ზინოვიევის მიმდევრები. მრაჩკოვსკის მე ვერ მივუსწარი. ვიყავი გერტიკთან, რამოდენიმე დღის შემდეგ კი ჩამოვიდა სარქისი. გადასწყვიტეს ჩემი წარდგენა „ბელადებისათვის". წავედით ზინოვიევთან მე და სარქისი. ზინოვიევთან ორჯერ ვიყავი. ზინოვიევი დიდძალ ხალხს ღებულობდა. მასთან მოდიოდენ ნოვოსიბირსკიდან, ლენინაკანიდან, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან. როდესაც მე წარმადგინეს ზინოვიევთან, მასთან იყო დიდძალი ხალხი. იქ იყვნენ ევდოკიმოვი, საფაროვი, რადეკი, ი. ნ. სმირნოვი და სხვები.

ზინოვიევი მეკითხებოდა ბაქოში არსებულ განწყობილების შესახებ ჩვენი ოპოზიციონური ცენტრის მუშაობის შესახებ. მე მოვუყევი მდგომარეობის შეულამაზებლად. ზინოვიევი მირჩევდა „ნაციონალების გამოყენება"-ს, ის მირჩევდა გვეწარმოებია მუშაობა პარალელურად როგორც ბაქოს ორგანიზაციის რუსულ ნაწილში, ისე თურქულ ნაწილში და უმთავრესად გვეწარმოებია მზადება დისკუსიისათვის. ზინოვიევს აგრეთვე საჭიროდ მიაჩნდა, რომ მაგვეხრო ორგანიზაციის რომელიმე ხელმძღვანელთაგანი.

როდესაც მე ვიყავი მოსკოვში, ოპოზიცია კომისიების საშუალებით ამუშავებდა პლატფორმას (ეს იყო ჯერ კიდევ ცეკას აგვისტოს პლენუმამდე). პირადად მე წავიკითხე პლატფორმის ზოგიერთი საბოლოოდ დამუშავებული ნაწილი. პლატფორმის დამუშავება ხდებოდა ადგილობრივად ჩამოსულ ოპოზიციონერების მონაწილეობით.

მეორედ მე ვიყავი ზინოვიევთან აგვისტოს პლენუმის დამთავრების შემდეგ. იმ გარემოებას, რომ ტროცკი და ზინოვიევი გამორიცხული არ იქნენ ცეკას შემადგენლობიდან, ოპოზიცია აფასებდა, როგორც „სტალინის ფრაქციის" უკან დახევას.

დამახასიათებელია, რომ აგვისტოს პლენუმის შემდეგ, რომელზედაც, როგორც ვიცით, ოპოზიციამ აღუთქვა პარტიას ფრაქციულ მუშაობის შეწყვეტა, არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა ფრაქციულ მუშაობის შესაწყვეტად.

როდესაც მე და სარქისი გამოვდიოდით ზინოვიევის ბინიდან, სარქისი მეუბნებოდა, რომ მან ხმა მისცა ზინოვიევისა და ტროცკის გამოსვლის წინააღმდეგ მოსკოვის აქტივზე. ზინოვიევისა და ტროცკის ეს გამოსვლა, როგორც ვიცით, არ მოხდა, მაგრამ ეს საუბარი სარქისთან დამახასიათებელია, როგორც იმის მაჩვენებელი, რომ მეორე დღესვე აგვისტოს პლენუმის შემდეგ ფრაქციული ცენტრი კიდევ არსებობდა და სარქისი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მასში.

მოსკოვში ჩამოვიდა აგრეთვე შებარშოვიც, ისიც წაიყვანეს „ბელადებთან", როდესაც მე მეორედ ვიყავი ზინოვიევთან, ის ამბობდა, რომ „შებარშოვი ჭკვიანი მუშაა".

სხვათა შორის, გირშიკის სპარსეთში გამგზავრების გამო, მოსკოვში სარქისმა და ხარიტონოვმა სანქცია მისცეს იმას, რომ მე სათავეში ჩავდგომოდი ბაქოს ოპოზიციონურ ორგანიზაციას.

შებარშოვი ჩემზე ადრე წამოვიდა მოსკოვიდან. ორივე დავბრუნდით ბაქოში, დატვირთული დირექტივებით და ლიტერატურით.

აღვნიშნავ აგრეთვე „ბელადების" დამოკიდებულებას მუშათა ოპოზიციისადმი. ისინი ამბობდენ, რომ საჭირო არ არის მათთან ორგანიზაციულად დაკავშირება, მაგრამ საპრონოვის და შლიაპნიკოვის მიმდევრები უფრო პროლეტარული რევოლიუციონერები არიან, ვიდრე [illegible], და მათ შესახებ [illegible]".

ტროცკი და ზინოვიევი ბაქოს ორგანიზაციის ოპოზიციის პერსპექტივების შესახებ

ოპოზიცია უდიდეს იმედებს ამყარებდა ბაქოს ორგანიზაციაზე. „ბელადები" ფიქრობდენ, რომ „აიღებდენ" ბაქოს ორგანიზაციას.

ამხ. მამედლინსკი შემდეგს ლაპარაკობს ამის შესახებ:

„როდესაც გირშიკი იყო ტროცკისა და ზინოვიევთან, მან ისეთი სურათი დაუხატა მათ, რომ მიიღეს შთაბეჭდილება, რომ მათ დარჩენოდა მხოლოდ მოსულიყვნენ, დაენახათ და დაეპყროთ ბაქოს ორგანიზაცია ოპოზიციისათვის, ოპოზიციონურად გაეხადათ ბაქოს ორგანიზაცია.

როდესაც მე და სარქისი მივდიოდით კრემლში, მე მას მოუდგომლად დავუსურათე ბაქოში არსებული განწყობილება. მე მას ვეუბნებოდი, რომ მუშებს შორის ადგილი აქვს სხვადასხვა ცალკე უკმაყოფილებას, კერძოდ საბინაო საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ მე არ ვალამაზებდი მდგომარეობას.

მაშინ სარქისმა მითხრა, რომ როდესაც გირშიკი იყო „ბელადებთან", მათ ისეთი შთაბეჭდილება მიიღეს, რომ შეიძლება ბაქოს „აღება".

აგრეთვე მიშა ოკუჯავა, ბუდუ მდივანი დიდ იმედებს ამყარებდენ ოპოზიციონურ მუშაობის წარმატებაზე ბაქოში.

როგორც ვიცით, ეს იმედები არ გამართლდა".

პლატფორმა ბაქოში

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ბაქოში პლატფორმა მამედლინსკიმ მიიღო რკინისგზით. აგრეთვე ცალკე ოპოზიციონერებსაც ჩამოჰქონდათ პლატფორმის რამოდენიმე ეკზემპლიარი. სხვათა შორის, ოგანეზოვის უმცროსმა ძმამ ჩამოიტანა პლატფორმის 100 ეკზემპლიარი.

„დავიწყეთ პლატფორმის გადათარგმნა თურქულ ენაზე. სთარგმნიდა ერთი უმაღლეს სასწავლებლის მოწაფე, მაგრამ საერთოდ თარგმნის საქმე კარგად ვერ მიდიოდა. ერთხანს მე ვთარგმნიდი, რამდენადაც შემეძლო. სთარგმნიდა აგრეთვე ბაგირ-ზადე სადგურის გადაღმა რაიონიდან. ჩემი გამგზავრების წინ (1927 წლის ოქტომბრის ბოლოს) სულ გადათარგმნილი იყო თურქულ ენაზე პლატფორმის რამოდენიმე თავი. მიუხედავად ამისა, თურქი ოპოზიციონერები ხელს აწერდენ პლატფორმაზე, პლატფორმის წაუკითხავად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ეხება ბაქოს ოპოზიციონურ აქტივსაც, რომელმაც ისე მოაწერა ხელი პლატფორმას, რომ არ წაუკითხავს იგი. თავის დროზე ბაქოში ავრცელებდენ ხმებს, თითქოს სარქისმა შეკრიბა 800 ხელმოწერა. ეს მართალი არ არის. 29 ოქტომბრისათვის შეკრებილი იყო სულ 120 ხელმოწერა. ცენტრიდანაც დავალება იყო მიცემული, რომ სულ შეკრებილიყო 600 ხელმოწერა, შესაძლებელია რომ 120-ზე მეტი შეკრიბეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ციფრი 800—ფანტასტიურია".

ორგანიზაციის სქემა

„ოპოზიციონურ ორგანიზაციას ბაქოში მეთაურობდა ეგრედ წოდებული „ვიწრო ცენტრი", რომელსაც ირჩევდა ოპოზიციის აქტივი. ასე, მაგალითად, ერთხელ გირშიკის ბინაზე შესდგა აქტივის კრება 15 კაცის მონაწილეობით. ამ აქტივმა აირჩია ცენტრი 5 კაცის შემადგენლობით. ამ ცენტრის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა. ცენტრის ერთ შემადგენლობას მეთაურობდა გირშიკი, მეორეს—მე, მესამეს—კრილოვი. ეხლა არ ვიცი ვინ მეთაურობს. ან ბაგდასაროვი, ან ხანბუდაგოვი. მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ცენტრი ეხლაც არის. შეუცვლელად იყვნენ ცენტრში მუდამ მამედლინსკი, შებარშოვი და კრილოვი. შედიოდა სკუბლინსკიც*)

რაიონული რწმუნებულები დანიშნული გვყავდა ბაქოს ორგანიზაციის ყველა რაიონებში. იყო რაიონული სამეულებიც. სადგურის გადაღმა რაიონში რწმუნებულად ვიყავი მე, ბალახნის რაიონში — შებარშოვი, შავ ქალაქში — მედვედიევი და სხვ. ვცადეთ აგრეთვე დავკავშირებოდით არმიისა და ფლოტის პარტიულ ორგანიზაციებს, ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდება — არმიაში და ფლოტში საოცრად მტკიცე ხალხია. „ვიწრო ცენტრის" შიგნით შრომა გარკვეულად იყო განაწილებული. ერთი ამხანაგი განაგებდა ტექნიკას, მეორე საორგანიზაციო მუშაობას, მესამე — საგიტაციოს და სხვ.

კრებები იწყობოდა მცირე ჯგუფებად 3, 5, 10, 15 კაცის მონაწილეობით. თვითეულ უჯრედში ჩვენ ვაყალიბებდით ჩვენს ჯგუფს, რა თქმა უნდა იქ, სადაც ვახერხებდით გვქონდა საერთო რაიონული კრებებიც. საერთოდ არალეგალური ფრაქციული კრებები იმართებოდა და ურიცხვი. დისკუსიის დაწყების წინ, ჩვენ ყველა რაიონებში გვყავდა ჩვენი ხალხი, ისეთ რაიონშიაც კი, როგორიც არის კალა-მაშტაგის. საერთოდ თითქმის თვითეულ აქტიურ ოპოზიციონერ მუშაკს უხდებოდა ყოფნა ან რომელიმე რაიონის მეთაურად, ან რწმუნებულად უჯრედებში. კომკავშირში მუშაობა დაკისრებული ჰქონდა შებარშოვს. ჩვენ სპეციალური პლატფორმაც კი მივიღეთ კომკავშირისათვის, მაგრამ არ იყო ხალხი, რომელშიაც შეიძლებოდა ამ პლატფორმის გავრცელება, და არც გვეცალა ამისთვის.

ბაქოში ხშირად ჩამოდიოდენ ოპოზიციის აგენტები მოსკოვიდან. სხვათაშორის, ჩამოვიდა ერთი ლენინგრადელი მუშაკი გურვიჩი, რომლისთვისაც ჩემი მისამართი მიეცა ხარიტონოვს, ჩამოვიდა აგრეთვე რამოდენიმე სხვა აქტივისტიც (მინაევი, გერტიკი). მოველოდით ივანე ნიკიტის ძე სმირნოვს".

ტაქტიკა

„საერთოდ ტაქტიკაში ჩვენ ვბაძავდით ცენტრის ოპოზიციას. როდესაც ბაქოდან „ასახლებდნენ" გირშიკს და შტაბინსკის, ვფიქრობდით მოგვეწყო მათთვის გაცილება, სმილგას გაცილების მაგვარად. გაცილებით კი გავაცილეთ, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე კაცმა. ფართო გაცილება ვერ მოხერხდა.

როდესაც სადმე იწყობოდა დიდი პარტიული კრებები, ჩვენ იქ თავს ვუყრიდით ჩვენს მომხრეებს ყველა რაიონებიდან დიდი ხმაურობის ასატეხად. ეს საერთოდ მიღებული წესი იყო.

ჩვენი ტაქტიკის დამახასიათებელი თვისება იყო სპეკულიაცია სიძნელეებით. ჩვენი მომხრეები განსაკუთრებით უნდა დასწოლოდნენ საკითხებს სამუშაო ხელფასის, საბინაო მშენებლობის და ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების შეფარდების შესახებ. ჩვენ სპეკულიაციას ვეწეოდით ფასების დაკლების, რაციონალიზაციის, მომჭირნეობის რეჟიმის საკითხებით. საერთოდ ჩვენი ტაქტიკა იმას ემყარებოდა, რომ ბრძოლაში ყველა საშუალებები კარგია. ზოგიერთები იმის წინადადებასაც კი იძლეოდენ, რომ ეგრედ წოდებული სავილიევას საქმე გამოგვეყენებია ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ, მე ამას არ ვეთანხმებოდი და ამისათვის ისეთი ხალხი, როგორც სარქისი, მე საყვედურს მიცხადებდა და ამას შეცდომად მითვლიდა.

მოცემული გვქონდა დირექტივა—არ გაგვეშვა შესაძლებელ გამოსვლის არც ერთი შემთხვევა და გამოგვეყენებია, სადაც კი მოვახერხებდით. ჩვეულებრივად ჩვენ ვინაწილებდით ერთმანეთში თემებს. ერთი ლაპარაკობდა [illegible] კომიტეტის შესახებ, მეორე ჩინეთის შესახებ და სხვ. არ ვერიდებოდით პარტიის წინააღმდეგ გამოსვლას უპარტიო კრებებზედაც. ჩვენს ტაქტიკაში შედიოდა ორგანიზაციის ცალკე ხელმძღვანელების სახელის გატეხა. ამავე დროს კი თითონ ჩვენ სრულებით არ ვუწევდით ანგარიშს ჩვენს თანამოაზრეთა წარსულს და აწმყოს: ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ამა თუ იმ კაცს ჰქონდა პარტიული ბილეთი და თუნდაც მცირეოდენი სტაჟი".

—:—

ასეთია საერთოდ ოპოზიციის მუშაობა ბაქოს ორგანიზაციაში, როგორც მოგვითხრობს ამას ამხ. მამედლინსკი.

---

*) სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინად, სწორედ ამ სკუბლინსკიმ, რომელიც, როგორც ვიცით, თავს ასაღებდა პარტიის პოლიტიკის მეტისმეტად „მემარცხენე" კრიტიკოსად, განცხადება შეიტანა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში. ამ განცხადებაში ის იუწყება, რომ იცის რაღაც „საიდუმლოება" და მოითხოვს სათანადო სამუშაოს მიცემას იმისათვის, რომ შეეძლოს გამოიყენოს საქმისათვის თავისი ვითომდა გამოგონება.

უნებურად იბადება კითხვა, სად იყო სკუბლინსკის „საიდუმლოება", როდესაც ის სათავეში უდგა მთელ რიგ ფარმაცევტიულ წარმოებებს? რატომ მაშინ არ გამოიყენა ეს საიდუმლოება?

სკუბლინსკი აშკარა შანტაჟს უწყობს მუშ. და გლეხ. ინსპექციის სახალხო კომისარიატს, რათა მიიღოს ხელსაყრელი სამუშაო. ასეთია ამ „მემარცხენე კრიტიკოსის" ფიზიონომია. მართლაც, ოპოზიცია სრულებით არ აქცევდა ყურადღებას თავის თანამოაზრეთა შერჩევას.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სოფლის საბჭოების საანგარიშო კამპანია

ოზურგეთი, 12 თებერვალი. სოფლის საბჭოების არჩევნების შემოდგომაზე გადატანის გამო 15 თებერვლიდან დაიწყება საანგარიშო კამპანიის ჩატარება. კამპანია დამთავრდება 15 მარტს. (ადს).

ამინდი

ახალსენაკი, 12 თებერვალი. თოვა შეწყდა. დაიწყო წვიმები. (ადს).

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

ახალსენაკი, 12 თებერვალი. წითელი არმიის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად შედგენილია სპეციალური სამაზრო კომისია. (ადს).

გრიგალი ოჩამჩირე-ზუგდიდის რაიონში

სოხუმი, 13 თებერვალი. 10 თებერვალს ღამით ოჩამჩირე-ზუგდიდის რაიონში ამოვარდა ძლიერი გრიგალი, რომელმაც ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები დააზიანა ექვსი ვერსის მანძილზე, რის გამოც შესწყდა უშუალო კავშირი თბილისთან და ბათომთან.

ზუგდიდში დიდმა თოვლმა ერთი დღით შეაჩერა ავტომობილების მიმოსვლა ზუგდიდსა და სოხუმს შორის.

12 თებერვალს ღამით აღდგენილ იქნა ტელეგრაფის მავთულები. სწარმოებს მუშაობა სატელეფონო ურთიერთობის აღსადგენად. (ადს).

წერილები

უფრო გაბედულად ვამხილოთ

საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთნაირის სისასტიკით ებრძვის ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, სულ ერთია ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის. ვინც სოციალისტურ აღმშენებლობას ხელს შეუშლის, ზიანს მიაყენებს მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს და მით მშრომელთა ფართე ფენების თვალში ხელს შეუწყობს ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემას, დაუსჯელი არავინ დარჩება.

ჩვენ არა ერთი მაგალითი ვიცით ზემოთქმულის დასადასტურებლად და ამჟამად ზედმეტად მიგვაჩნია მათი თვითეულად დასახელება.

ბოროტმოქმედებათა და დაუდევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლების ორგანოებს განსაკუთრებულ დახმარებას უწევს პრესა თავისი უამრავი მუშა და გლეხ კორესპონდენტებით. ესენია ის მშრომელთა არმია, რომლებიც ქვეყნის ყველა კუთხეში გაფანტულნი თვალყურს ადევნებენ ჩვენი წარმოება დაწესებულებების საქმიანობას და უშიშრად ამხელენ, როგორც მიღწევებს, ისე შემჩნეულ ნაკლულოვანებებსა და ბოროტმოქმედებებს.

ამ მხრივ მათ მუშაობას უსათუოდ დიდი სარგებლობა მოაქვს საერთო საქმის ინტერესებისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველთვის როდი ხდება შესაძლებელი უმსხვერპლოდ ამ მუშაობის წარმოება.

ხშირად დაწესებულება-წარმოების ხელმძღვანელი, თუ კერძო პირი, რომლის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას ან დაუდევრობას ამხელს მუშა-გლეხკორი, ნაცვლად დანაშაულის აღიარებისა, ცდილობს გაიგოს დამწერის ვინაობა, რომ შემდეგში შური იძიოს მასზე.

ხელისუფლება სათანადოთ იცავს მუშა და გლეხ კორესპონდენტებს დევნისაგან და სასტიკად სჯის დამნაშავეთ. მართალია ჩვენში იშვიათი შემთხვევაა მუშა და გლეხკორესპონდენტთა დევნა, მაგრამ გამონაკლისის სახით მაინც შეხვდებით ასეთ მაგალითებს.

ერთ-ერთ გლეხკორისგან რედაქციამ კორესპონდენციასთან ერთად მიიღო შემდეგი წერილი: „გთხოვთ ძლიერ საიდუმლოდ შეინახოთ ჩემი სახელი და გვარი. თუ როგორმე გაიგეს ჩემი ვინაობა, ცოცხალს არ გამიშვებენ როგორც გლეხკორს დევნას დამიწყებენ“.

ეს ამონაწერი საკმაოდ დამახასიათებელია იმის დასადასტურებლად, თუ ჯერ კიდევ რამდენად სახიფათოა გლეხკორის მიერ ბოროტმოქმედების მზის სინათლეზე გამოტანა. მაგრამ გარემოებამ სრულიადაც არ უნდა დააშინოს მუშ-გლეხკორები. ისინი დარწმუნებული უნდა იყვენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არავის მისცემს ნებას მუშა და გლეხკორესპონდენტების დევნისას, რომლებიც ეხმარება ხელისუფლებას ბოროტმოქმედების აღმოჩენაში.

გლეხკორი.

ფიზკულტურა სოფლად

სიბნელემ და უვიცობამ, რომელიც მეფობდა მშრომელს მასებს შორის, მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა და მისმა შედეგებმა—გაღატაკებამ, ყველაზე მეტად მუშები და გლეხები დააზიანა. დასუსტა და გამოფიტა მათი ორგანიზმი და მისცა ფართე გასაქანი სხვადასხვა პროფესიონალურ ავადმყოფობას.

დღეს—კი, როცა საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელნი, ძველს ნანგრევებზე აშენებენ ახალ სახელმწიფოს, საჭიროა დიდი ენერგიის გამოჩენა, და ცხადია, რომ დასუსტებული-დაავადებული ორგანიზმით ჩვენ ვერ მივიღებთ საჭირო მონაწილეობას აღმშენებლობით საქმიანობაში.

ამიტომ არის, რომ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების საკმაო ყურადღება მიქცეულია ფიზიკურ-კულტურისაკენ, ე. ი. ადამიანის სხეულის გამაგრება-გაჯანსაღების მეთოდებისაკენ.

თუ გადავხედავთ საბჭოთა რესპუბლიკებს მთელ რიგ ქალაქებს და ბევრგან სოფლებსაც, თითქმის ყველგან დაარსებულია ფიზკულტურის საბჭოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ადგილობრივ ფიზკულტურის მუშაობის ყოველ დარგს.

ასევე ითქმის საბჭოთა საქართველოს ყველა ქალაქებზე, მუშაობა ამ მხრივ ყველგან მიმდინარეობს და ადგ. ხელისუფლების მიერაც ეძლევათ სათანადო ნივთიერი დახმარებები.

როგორიღაა ფიზკულტურის მდგომარეობა სოფლად? აი საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, როგორც საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსი, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

მართალია, დღეს სოფლად დიდი ლაპარაკია ფიზკულტურაზე, ბევრგან შეიძლება ფიზკულტურის საბჭოებიც არსებობდენ, ბევრი დადგენილებებიც გამოტანონდეთ, მაგრამ საქმე ამით არ ამოიწურება. საჭიროა მტკიცე კავშირი ქალაქისა და სოფლის ფიზკულტურის საბჭოებისა, ხელმძღვანელობის გაწევა როგორც იდეური, ისე მატერიალური პირველისა-უკანასკნელებზე.

გარდა ამისა აუცილებლად საჭიროა ფიზკულტურის წრეებისათვის ჯამაგირიანი ინსტრუქტორების დანიშვნა თემებში და ფიზკულტურის ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინება ადგ. თემის ბიუჯეტით.

აი, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვიქონიოთ იმედი, რომ სოფლად ფიზკულტურის დარგში მუშაობა თავის სიმაღლეზე დადგება, თორემ როგორც დღემდე გამოცდილებიდან დავინახეთ—აღნიშნულის გარეშე არა კეთდება რა.

ალ. ბედიაშვილი.

წერილებიდან

ცუდ გავლენას ახდენს

წითელი-ხევის თემი, ქუთ. მაზრა

ჩვენს თემში სკოლა და ეკლესია ერთ ეზოშია მოთავსებული. ახალგაზრდა თაობა იძულებულია ყოველდღე ისმინოს ღვდელ-დიაკვნების წირვა-ლოცვა და ზარების ზრიალი, რაც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მოწაფეებზე. ამასთან ერთად ამ თემში კულტმუშაობაც ძალზე მიძინებულია.

საჭიროა სკოლის ეკლესიის ეზოდან ჩამოცილება და კულტმუშაობის გაცხოველება.

მნახველი.

ყველაფერს იღებს, ვერაფერს აკეთებს

ქვაციხის თემი, შორაპნის მაზრა

ჩვენი თემის კოხ-სამკითხველოს გამგე ამხ. პ. ფირცხაძე ყველა ადგილობრივ ორგანიზ. ითვლება პასუხისმგებელ მდივნად, მაგრამ ვერც ერთში დიდს ვერაფერს აკეთებს. მასვე აქვს დაკისრებული რადიოს ხელმძღვანელობაც, მაგრამ რვა თვის განმავლობაში სამხელ ძლივს ამუშავდა.

თემამასკომმა უნდა გამოსძებნოს ისეთი პირი, რომელიც შესძლებს რადიოს ამუშავებას.

ნ. ჟ—ი.

მუშათა ცხოვრება

ოთხშაბათს, 15 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება გაზ „კომუნისტი“-ს მუშკორთა კრება. ყველა მუშკორების დასწრება სავალდებულოა.

მეტი ყურადღება კოლხელშეკრულებების შესრულებას

კოლექტიური ხელშეკრულებების გადასინჯვა და მათი განახლება, ერთი მთავარი საშუალებათაგანია სამუშაო პირობებისა და მუშების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კოლექტიური ხელშეკრულებების განხილვის დროს ჯამი უკეთდება მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლის მიხედვითაც იდება ახალი კოლექტიური ხელშეკრულებები ახალი მუხლებით და ახალი მიღწევებით.

მაგრამ არ კმარა მარტო ხელშეკრულებების გადასინჯვა და მათი განახლება. საჭიროა ამ ხელშეკრულებების მთელი ასი პროცენტით ცხოვრებაში გატარება და ასეთი საშუალებით პროფორგანოების ავტორიტეტის უფრო გაძლიერება პროფკავშირის წევრებში. კოლხელშეკრულებების შეუსრულებლობა გარდა იმისა, რომ იწვევს მუშების მდგომარეობის და სამუშაო პირობების გაუმჯობესების შეფერხებას, რაზედაც დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ზრდაც, პროფკავშირის ორგანოებსაც უკარგავს ნდობას მუშებში.

ამით ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ თითქოს კოლხელშეკრულებები არ ტარდებოდეს ცხოვრებაში, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ კოლხელშეკრულებების შესრულებაში არავითარი ნაკლი არ არსებობდეს. ძველ ხელშეკრულებებს, რომ დავანებოთ თავი, ახალ კოლხელშეკრულებებშიც გვაქვს აუარებელი მაგალითები ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლების დარღვევისა. ეს არ არის მოულოდნელი ამბავი. ასეთ შემთხვევების აუცილებლობას ჯერ კიდევ კოლხელშეკრულებების გადასინჯვის დამთავრებამდი უდიოდა სუნი.

საქმე იმაშია, რომ ჩვენმა პროფორგანოებმა შედარებით წინანდელთან წელს უფრო გააძლიერეს და გამკაცრეს თავიანთი მოთხოვნილებები მუშების საკეთილდღეოთ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება უმთავრესად წარმოების საქმიანობაზეა დამოკიდებული. წინად წარმოებას არ შეეძლო იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებიც წამოაყენეს წელს პროფკავშირებმა. ამიტომ არც აყენებდენ ამ მოთხოვნილებებს.

სულ სხვაა ჩვენი წარმოების დღევანდელი მდგომარეობა. იგი დღე და დღე უმჯობესდება და იზრდება. ამასთან დაკავშირებით კავშირებმა წამოაყენეს მთელი რიგი ახალი მუხლებისა მუშების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მუხლების უმრავლესობა შეტანილი იქნა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში, მაგრამ მათი ცხოვრებაში გატარება კი დამოკიდებულია ცალკე წარმოებების ხელმძღვანელებზე. ჯერ-ჯერობით გვაქვს შემთხვევები ჯამაგირების თავის დროზე დაურიგებლობისა, რაც კოლხელშეკრულებების თანახმად დაუშვებელია. განსაკუთრებით პროვინციებში ზოგიერთი წარმოების მუშებს უკვე კარგა ხანია არ მიუღიათ ხელფასი.

შემდეგში ალბად გამრავლდება ასეთი შემთხვევები. ამიტომ ადგილობრივ პროფორგანოებს მეტი სიფრთხილე მართებთ ამ მხრივ. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოლხელშეკრულებების შესრულებას და უნდა მიიღონ ზომები, რათა კოლხელშეკრულების ყველა მუხლი უცვლელად ტარდებოდეს ცხოვრებაში.

პროლეტარი.

ავლაბრის კლუბში

ავლაბრის მუშათა კლუბში არსებული სამკითხველო და თვით კლუბიც წესრიგის მხრივ წყალწაღებულია. კლუბში ხშირად ხდება—ჩხუბი და აყალ-მაყალი. ლანძღვა-გინება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.

კლუბის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს წესრიგის დაცვას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან კლუბის ადმინისტრაცია თუ დაიჭერს ვინმეს და გადაგზავნის კომისარიატში, ნახევარ საათის შემდეგ გადაგზავნილი ავარები ისევ კლუბში ბრუნდებიან და უფრო უშიშრათ განაგრძობენ წესრიგის დარღვევას.

კომისარიატში ავარებს მხოლოდ ხელს აწერიებენ, ან აჯარიმებენ ერთი მანეთით და უშვებენ. ეს არ არის საკმარისი. მეშვიდე კომისარიატის უფროსმა სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ავარების წინააღმდეგ.

ხშირად თვით სამკითხველოს გამგეც არღვევს წესრიგს. მას მოუდის თავისი ნაცნობები ქალ-ვაჟები, რომლებიც მკითხველებს არ აძლევენ საშუალებას ჟურნალ-გაზეთების კითხვისას. კლუბის გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამას.

უსამშობლო.

როდის მოგვარდება

ახალი სვლიგეზები და სალიანდაგო სამატარებლო დღიურები მუშაობაში დიდ დაბრკოლებებს იწვევს—ხაზზე ეს დოკუმენტები ვერ ივსება სათანადო ცნობებით ან და თუ ივსება, ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. სამმართველოში მოსული სვლა-გეზი და სალიანდაგო მატარებლის დღიური, ისე დამახინჯებულია, რომ მისი გამოყენება ყოვლად შეუძლებელია.

ამ საქმის მოუგვარებლობას დიდი ზარალი მოაქვს რკ. გზისთვის, მუშაობა ფერხდება, საქმის წარმოება ჩერდება. ამას მოყვება ის, რომ სწორი ცნობების მიღება ბოლოს და ბოლოს შეუძლებელი შეიქნება, ამ საქმეს სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო ხაზებზე სათანადო ინსტრუქტორების გაგზავნით. არის შემთხვევა, რომ ხაზის ინსტრუქტორები, რომლებსაც მინდობილი აქვთ ეს საქმე, სამმართველოში სხედან და ჯერაც ვერ გარკვეულან მასში.

წყარო.

მუშკორთა წერილებიდან

სიცივეში ვმუშაობთ. სად. ხავთლურის ტეხნიკური კანტორის თანამშრომლებს აუტანელ სიცივეში უხდებათ მუშაობა. კანტორა სრულიად არ თბება. ეს კი ცოტა არ იყოს აფერხებს თანამშრომლების ნაყოფიერ მუშაობას. სადგურის უფროსმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ჩიჩოურელი.

დაგვინიშნეთ ექიმი. თბილისის სტადიონის სამუშაოებზე მუშაობს დაახლოებით 100 მუშა. მუშებს არ ჰყავთ ექიმი, რომ უბედური შემთხვევების დროს მიმართონ დახმარების აღმოსაჩენად. თბ. ჯანმრთელობის განყოფილებავ, დაგვინიშნე ერთი ექიმი.

მუშა.

თვალყური ადევნეთ. აღმასკომის მიერ გასული წლის მიწურულში ქუჩებში დადგმულ ნამწვავების ჩასაყრელ კასრებს არავინ თვალყურს არ ადევნებს. ამის გამო, ქუჩის ბიჭები ხშირად წამოჰკრავენ ხოლმე ფეხს და ამტვრევენ. მილიციამ და მეეზოვეებმა თვალყური უნდა ადევნოს მათ.

მირელი.

სამკითხველოში არ გვიშვებენ. ცენტრალურ მუშათა კლუბის წიგნთ-საცავ სამკითხველოში, კლუბში წარმოდგენის დროს არ უშვებენ მკითხველებს თუ მას არ აღმოაჩნდა კლუბის საწევრო წიგნაკი. ამიტომ მკითხველი იძულებული ხდება მეორე დღეს მიიტანოს სამკითხველოდან წაღებული წიგნი, რის გამო სამკითხველოს გამგე აჯარიმებს ამას. კლუბის გამგეობავ, მოაგვარე ეს საქმე.

მკითხველი.

სამუშაოზე აგვიანებს. მთავარ სახელოსნოს საშხეფლო საამქროს უფროსი მუშა პ. კარკუსაშვილი ძალიან ხშირად იგვიანებს სამუშაოზე. 27 იანვარს სამუშაოზე გამოცხადდა თერთმეტ საათზე, მაგრამ ტაბელში აღნიშნული აქვს მთელი დღე. ასეთი შემთხვევები კი ხშირია. ადმინისტრაციავ, გამოარკვიე ეს საქმე.

თკ. იჭაური.

ჩვენს მუშკორებს

გიორგი კაჭარავას. შემოიარეთ რედაქციაში დღესვე.

ამხ. ილ. დეკანოსიძეს. დაუყოვნებლივ შემოიარეთ რედაქციაში მუშათა ცხოვრების განყოფილების გამგესთან.

ა.-კ. ცაკის მესამე სესია

ამიერ-კავკასიის მეოთხე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია ა. კ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ დანიშნულია 10 მარტისათვის ქ. ბაქოში.

სესიის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ბაქოს საბჭოს მოხსენება, მოხსენება მეურნეობის საკითხზე (მებამბეობაზე), ამიერ-კავკასიის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დებულება ა. კ. ს. ფ. ს. რ. და ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ, სესიიდან სესიამდე მიღებულ დეკრეტების და დადგენილებების დამტკიცება.

მომხსენებლებად გამოყოფილი არიან: ბაქოს საბჭოდან—ამხ. კონუშკინი, მებამბეობაზე—ამხ. ბუნიატ-ზადე, მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტზე—ამხ. გუსეინოვი, დებულება ა. კ. ს. ფ. ს. რ. და ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ—ამხ. ელიავა, დეკრეტების და დადგენილებების დამტკიცების შესახებ—ამხ. შავერდოვი.

საქ. სახკომსაბჭოში

7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ

7-საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხის პრაქტიკულად დასამუშავებლად საქართველოს სახკომსაბჭომ დაადგინა მოეწყოს რესპუბლიკანური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ საქართველოს შრომის სახ. კომისარი ამხ. თოდრია, ხოლო წევრებად—პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყურულაშვილი და სმუს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჰიჰინაძე.

ელექტრო-ხაზის მოწყობა სენაკის მაზრაში

გამწესრიგებელმა სხდომამ დაადასტურა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ქართველიშვილის განკარგულება. რომლითაც სენაკის სამაზრო აღმასკომს ნება მიეცა ელექტრო-ხაზის მოსაწყობად სესხად აიღოს თბილისის ქალაქის ბანკიდან 59.444 მან.

ამხ. ლუნკევიჩის დანიშვნა

გამწესრიგებელმა სხდომამ სახკომსაბჭოს უფროს იურისკონსულტად და სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიულო განყოფილების გამგეთ დაამტკიცა ამხ. ვ. ლუნკევიჩი.

საგეგმო კომისიაში

აგრიკულტურულ ღონისძიებების გასაძლიერებლად

ა.-კ. საგეგმო კომისიამ შესაძლებლად სცნო დაწესებული იქნეს გადასამუშავებელ ნედლეულზე ანარიცხები სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობისა და აგრიკულტურულ ღონისძიებებისათვის, ბამბაზე, ნედლ აბრეშუმზე, ზეთის სახდელ ნედლეულზე და ყურძენზე ანარიცხები დაწესებულია 1 პროც. რაოდენობით, თამბაქოზე, მატყლზე და ნედლ ტყავეულობაზე კი—1,5 პროც.

ყველა ანარიცხება, რომლებიც აკრეფილი იქნება როგორც ადგილობრივ, რესპუბლიკანურ და საკავშირო მნიშვნელობის წარმოებებიდან (რომლებიც ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებიან), ისე ადგილობრივ და რესპუბლიკანურ დამამზადებელ ორგანიზაციებიდან, გადარიცხული იქნება მთლიან ფონდში, რომელსაც განაგებს ა.-კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

უკანასკნელი ფონდის თანხებს ანაწილებს სამეცნიერო საგამოკვლევო მუშაობისა და აგრიკულტურულ ღონისძიებებისათვის.

ახალი კალენდარული სტილის ათი წელიწადი

დღეს—14 თებერვალს შესრულდა ათი წლისთავი მას შემდეგ, რაც საბჭოთა რესპუბლიკებში შემოღებულ იქნა ახალი სტილი. კალენდარის რეფორმას რუსეთში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს. კონკრეტულად კალენდარის რეფორმის საკითხი დასვა ნიკოლოზ პირველის დროს. ერთ-ერთი დეპარტამენტის მოხელე პოტრემკოვი მეფის წინაშე წარსდგა შუამდგომლობითი მოხსენებით ახალი სტილის შემოღების შესახებ. ნიკოლოზ პირველმა მოხსენება განსახილველად გადასცა სამეცნიერო აკადემიის, რომელიც პოტრემკოვის თაოსნობას თანაგრძნობით შეხვდა. მაგრამ ახალი სტილის შემოღებას წინ აღუდგა მაშინდელი განათლების მინისტრი ლივენი, რომელიც ახალ სტილს მიუღებლად სცნობდა საეკლესიო თვალსაზრისით. ლივენს დაეთანხმა ნიკოლოზ პირველი და ამგვარად ახალი სტილის შემოღება პრინციპიალურად უარყოფილ იქნა. ნახევარი საუკუნის შემდეგ—დაახლოებით ოთხმოცდაათიან წლებში, კვლავ აღიძრა საკითხი ახალი სტილის შემოღების შესახებ, 1899 წელს სამეცნიერო აკადემიასთან მოეწყო ახალი სტილის შემოღების საკითხის დასამუშავებლად სპეციალური კომისია, მთელ რიგ აკადემიკოსების და ასტრონომიულ საზოგადოებათა წარმომადგენლების მონაწილეობით. მაგრამ აქაც საკითხის დადებითად გადაჭრას წინ აღუდგა ყოვლად ძლიერი პობედონოსცევი და კალენდარის რეფორმის საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.

თებერვლის რევოლუციამ კვლავ წამოაყენა ეს საკითხი, მაგრამ დროებითმა მთავრობამ, რომელიც თითქოს თანაუგრძნობდა ამ რეფორმას „ვერ მოიცალა“ პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა ახალი სტილის შემოსაღებად.

დეკრეტი ახალი სტილის შესახებ გამოქვეყნებული იქნა ოქტომბრის გადატრიალებიდან სწორედ 3 თვის შემდეგ, 1918 წლის 25 იანვარს (7 თებერვალს) სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტებით განხორციელდა კალენდარის რეფორმა, დეკრეტთან ერთად გამოქვეყნებულ იქნა განმარტებითი ბარათი, სადაც, სხვათაშორის ეწერა შემდეგი: „სარგებლობა, რომელიც მოჰყვება იულიანური კალენდრის მთელ მსოფლიოში შემოღებულ გრიგორიანული კალენდრით შეცვლას, საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით იმდენად დიდია და მრავალმხრივია და ამავე დროს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ახალი კალენდარის შემოღების მიზანშეწონილობის დასაბუთებას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გრიგორიანული კალენდარი უკვე წინანდელი რეჟიმის დროს შემოღებული იყო სამხედრო კომერციულ ფლოტში და ზოგიერთ შემთხვევებში ახალ სტილს მისდევდენ წინანდელი საგარეო საქმეთა, საშინაო საქმეთა, ფინანსთა და გზათა მიმოსვლის სამინისტროები, ხოლო ასტრონომიული და მეტეოროლოგიური დაკვირვების დროს ყოველთვის იხმარებოდა ახალი სტილი.

ასტრონომიული თვალსაზრისით, შეიძლება საკითხი დასმულიყო, როგორც ეს მოხდა სამეცნიერო აკადემიის კომისიასა და ასტრონომიულ საზოგადოებაში, არა გრიგორიანული კალენდრის, არამედ მეცნიერული თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი კალენდრის შემოღების შესახებ. მაგრამ სავსებით აშკარაა, რომ რუსეთისთვის აუცილებელია გადასვლა კულტურულ კაცობრიობის მიერ მიღებულ სტილზე, მეცნიერული თვალსაზრისით უფრო სწორი და ზუსტი კალენდრის დამუშავება კი უნდა დაეკისროს, თუ საჭირო შეიქნა, მომავალ სპეციალისტების ინტერნაციონალურ კონგრესს, რომელიც გამოიმუშავებს და ყველა ქვეყნებს შემოსაღებად წარუდგენს ახალი სისტემის კალენდარს. დღევანდელ საბჭოთა მთავრობისათვის კი არსებითი არის ის იურიდიული და ეკონომიური შედეგები, რომელიც მოჰყვება ახალი სტილის შემოღებას მოსახლეობის ფართო ფენებისათვის“.

ახალი სტილი შემოღებულ იქნა 1918 წელს. თებერვლის პირველი ციფრის მაგივრად კალენდარზე აღნიშნული იქნა ციფრი 14.

სამზადისი ქალთა საერთაშორისო დღისათვის

დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

ამიერ-კავკასიის ცაკმა გამოიმუშავა ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩატარების გეგმა.

ა. კ. ცაკის რესპუბლიკ. ცაკებისადმი მიმართულ ცირკულიარულ წერილში აღნიშნავს, რომ ქალთა საერთაშორისო დღის მოწყობა წინა წლებში ხდებოდა მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა გატარებით. მიუხედავათ ამისა, ქალთა შორის მუშაობა დღემდე მაინც მოისუსტებს.

დღემდე საბჭოების მუშაობაში არ არის ჩაბმული ქალთა საკმაო რაოდენობა. მომავალში მიღებული უნდა იქნეს სათანადო ზომები მუშა და გლეხ ქალების საბჭოების მუშაობაში ჩასაბმელად, მათთვის ხელმძღვანელობის გასაწევად, ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მათი მონაწილეობის გასაძლიერებლად სოციალისტურ მშენებლობის ყოველ დარგში.

გამონახულ უნდა იქნეს საშუალებები უმუშევარ ქალებისათვის სამუშაოების აღმოსაჩენად, მათში კულტურული მუშაობის გასაცხოველებლად და სხ.

8 მარტს ამიერ-კავკასიაში, ა.-კ. ცაკის წინადადებით, გაიხსნება ახალი საბავშო ბაგები, ბაღები, კონსულტაციები, მოეწყობა ღარიბ ქალთა კოოპერაციის წევრებათ ჩაწერა სახელმწიფოს ხარჯზედ და იწარმოებს მათი ჩარიცხვა სამანქანო ამხანაგობებში, შინამრეწველთა ორგანიზაციებში და სხ.

ა.-კ. ცაკის დადგენილებით, 8 მარტის ბრწყინვალეთ ჩასატარებლად რესპუბლიკანურ ცაკების პრეზიდიუმებთან და სამაზრო აღმასკომებთან დაარსებული იქნება ქალთა საერთაშორისო დღის ჩამტარებელი კომისიები, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

რესპუბლიკანურ და ადგილობრივ აღმასკომებს ევალებათ, უახლოეს სხდომებზე განიხილონ მშრომელ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გასული წლის 8 მარტს დასახული ღონისძიებები და მიიღონ გადაწყვეტილებები მათი ცხოვრებაში გატარების შესახებ.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმის შემოწმებას, თუ რა ზომებია მიღებული ქალთა შორის უმუშევრობის შესანელებლად, ქალთა დასაწინაურებლად, დედათა და ბავშვთა დასაცავად, კოოპერაციაში ქალთა მონაწილეობის გასაფართოებლად და ქალთა შორის პროფტექნიკურ განათლების გასავრცელებლად.

დღესასწაულის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიების სხდომებზე მოსმენილ უნდა იქნეს სახ. კომისარიატების და ცენტრალურ უწყებების მოხსენებები მათ მიერ ქალთა ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლად გატარებულ ღონისძიებების შესახებ.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

ნაწილებიდან მოსული ცნობების თანახმად, წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულისათვის ნაწილებში არ იქნება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელი არმიელი.

ძველ წითელ-არმიელებს კარგად აქვთ შესწავლილი წერა-კითხვა, ანგარიში და სხვა საერთო საგანმანათლებლო საგნები.

რაც შეეხება იმ წითელ არმიელებს, რომელნიც წითელ ჯარში გაწვეულნი იქნენ გასული წლის შემოდგომაზე, მათ შეისწავლეს წერა-კითხვა, შეუძლიათ ხელის მოწერა და წერილის შედგენა.

ლიტერატურა წითელი არმიის ათი წლის თავისათვის.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის სამხედრო გამომცემლობა უშვებს კრებულს სახელწოდებით „წითელი არმია მხატვრულ ლიტერატურაში“.

გამოშვებულ იქნება აგრეთვე პლაკატების სერია „სამოქალაქო ომი“ და „სამოქალაქო ომის კალენდარი“. ამ უკანასკნელში მოცემული იქნება სამოქალაქო ომის მთავარი ამბების ქრონიკა.

წითელი ჯარის ნაწილებში.

წითელი ჯარის ნაწილები გაცხოველებით ემზადებიან წითელი არმიის ათი წლის თავისათვის. პოლიტმეცადინეობაზე მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ახალწვეულ წითელ არმიელთა გაცნობას წითელი არმიის ისტორიასთან.

ლენინის ყოველ კუთხეში გამოკრულია სარეკომენდაციო სია იმ წიგნებისა, რომლებიც ეხება წითელი არმიის ისტორიას, სამოქალაქო ომებს და წითელი არმიის დღევანდელ მდგომარეობას. მოწყობილია აგრეთვე ამ ლიტერატურის გამოფენა.

საკლუბო წრეები ამზადებენ ინსცენიროვკებს და პიესებს.

სარედაქციო კოლეგიები ამზადებენ მასალებს კედლის გაზეთების საიუბილეო ნომრებისათვის.

ახალი სამხედრო კუთხეები.

წითელი არმიის 10 წლის თავზე საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში გაიხსნება ახალი სამხედრო კუთხეები. კუთხეების მოწყობაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ ჯარის ერთეულები, რომლებმაც ამ მიზნით უკვე გაიღეს საჭირო თანხები და მასალა.

ლიტერატურა წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად საქ. კ. პ. (ბ) ცკის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ურჩევს საბჭოთა დაწესებულებებს, სამხედრო ნაწილებს და სხვა ორგანიზაციებს იხელმძღვანელონ სახელგამის შემდეგი გამოცემებით.

თავდაცვა

ივანოვსკი—ომი არ გვინდა, თავდაცვისათვის მზათ ვართ. **ბარათოვი**—მზათ ვიყოთ. რა სთქვა საკავშირო საბჭოთა მე-4 ყრილობამ წითელი არმიის და ქვეყნის თავდაცვის შესახებ. **გუროვი**—ქვეითი ჯარის თავდაცვა ლაშქრობისას. **ზარზარი**—ს. ს. რ. კ. თავდაცვა. **კამენევი**—მუშავ და გლეხო, იყავ ფხიზლად; **კურელა**—საერთაშორისო პროლეტარიატი საბჭოთა სადარაჯოზე. **კოლოსოვი**—მოსალოდნელია თუ არა ომი და სად? **კრილენკო**—როგორ ანგრევენ ლორდები ჩვენს მიწა-წყალს და რა სწადიათ მათ. **ჩუბარინი**—ჩვენი პასუხი ჩემბერლენს. **ფელიქს კონი**—ახალი ომის საფრთხე. **შიშოვი**—რისთვის გვჭირდება ჩვენ წითელი არმია. როგორ უნდა ვემზადოთ თავდაცვისათვის.

თანამედროვე ომი

ბარათოვი— მომავალი ომები. **ლესევიცკი**—ეხლანდელი ომები. **მილბახი**—როგორ გამოვიყენოთ ბრძოლაში ადგილობრივი საგნები. **მაურერ**—ქვეითი ჯარი და მისი საბრძოლო მუშაობა. **ბუისკი**—რა არის მანევრები, რისთვის სწარმოებს ის. **იაზიკოვი**—ქალები სამხედრო სამსახურში. **პოპოვი**—ცხენოსან ჯარის რეიდები. **ივანოვი**—ხელოვნური დაბრკოლებები, მათი მოწყობა და ძლევა. **ლატინინი**—რა არის ჯაშუშობა და როგორ ვებრძვით მას. **ნიკიფოროვი**—ავადმყოფი შაშხანა. **მიტროპოლსკი**—რისთვის ესაჭიროება მუშებსა და გლეხებს ავიაცია და ქიმია. **ბაში**—როგორ მოქმედობდენ სხვადასხვაგვარი ჯარები, საშიშია თუ არა ჩვენთვის სამხედრო ტეხნიკა.

ტეხნიკა თანამედროვე ომში

ბოკაშიანი—რა არის საარტილერიო მომზადება. **ლიზიუკოვი**—საუბარი ტანკებზე და მათ ბრძოლის შესახებ. **ალექსანდროვი**—რა არის ხელის გრანატი. **ხუხოვლინი**—როგორ მოქმედობენ ჯავშნიანი მატარებლები. **ცეიტლინი**—რადიო ომში. **მილბახი**—რა უნდა იცოდეს წითელ არმიელმა საინჟინერო ჯარების შესახებ. **სერებროვსკი და ლებედევი**—დაზგიანი ტყვიისმფრქვეველები და მისი მუშაობა ბრძოლაში. **ლაგოვსკი**—არტილერია, ქვემეხები და ყუმბარები. **სიროვიატნიკოვი**—ქიმიური ომი. **პოპოვი**—ცხენოსანი ჯარის რეიდები.

წითელი არმიის აგებულება

ნიკიტინ-ზუბროვსკი—მილიციური არმია. **ზორინი**—რაშია წითელი არმიის ძალა. რა უნდა ცოდეს ყველა მშრომელმა წვევამდე მზადების შესახებ.

როგორ იბრძოდა წითელი არმია ს. ს. რ. კ-ს მტრებთან

ბუისკი—წითელი არმია შინაურ ფრონტზე. ბრძოლა თეთრგვარდიელთა აჯანყების, მეამბოხეობისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

წითელი არმია და მოსახლეობა

თარჩევსკი—ადგილობრივ მოსახლეობის დახმარება წითელი არმიისათვის საბრძოლ გარემოებაში.

მხატვრული ლიტერატურა

ფურმანოვი—წითელი დესანტი. კრებული—წითელი არმია, ლექსები, მოთხრობები, პიესები წითელი არმიის შესახებ.

საქ. შრომის შემნახველი სალაროები

(მათი არსებობის 5 წლის თავის გამო)

მტრულ კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულმა საბჭოთა კავშირმა საშუალებები იმ უდიდეს სამეურნეო-კულტურულ მშენებლობისათვის, რომელსაც ის აწარმოებს, უნდა გამონახოს ქვეყნის შიგნით. მოსახლეობის თანხების მოზიდვას აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ შრომითი შემნახველი სალაროები თვალსაჩინო როლს ასრულებენ.

იმ მცირე თანხებიდან, რასაც თვითეული მოქალაქე შეიტანს შემნახველ სალაროში, იქმნება დიდძალი საშუალებები, რომლებსაც სახელმწიფო სათანადოთ გამოიყენებს თვით მოსახლეობის საკეთილდღეოთ.

მიმდინარე ა. წ. თებერვალში სრულდება ხუთი წელიწადი, რაც საბჭოთა კავშირში არსებობს შემნახველი სალაროები. შედარებით ასეთ მცირე ხანში შემნახველი სალაროები იმდენათ განვითარდენ, რომ 1927 წლის 1 იანვრისათვის ანაბარების ჯამი მთელ კავშირში უდრიდა 208 მილიონს.

ჩვენ ამ მიღწევით, რასაკვირველია, არ უნდა დავკმაყოფილდეთ. კიდევ ბევრი უმოქმედოთ მყოფი თავისუფალი თანხებია გაბნეული მოსახლეობაში: სასურველია მათი მოზიდვა. ამას კი სხვათა შორის, ხელს უშლის ის გარემოება, რომ მოსახლეობა კიდევ ვერ იცნობს შემნახველ სალაროების სარგებლობას.

სახლში შენახული ფული შეიძლება დაიკარგოს გაძარცვის ან ხანძრის შემთხვევაში, ხოლო შემნახველ სალაროში შეტანილი უზრუნველყოფილია ამგვარ შემთხვევებისაგან. შემნახველ სალაროში შეტანილ ფულზე ირიცხება პროცენტები: წლიურად 9 პროც. ვადიან ანაბარზე და 8 პროც. უბრალო ანუ უვადო ანაბარზე. შემნახველი სალარო საიდუმლოდ იცავს მეანაბარის ვინაობასა და ანაბარის რაოდენობას. მეანაბარეს შეუძლია ყოველ დროს, საჭიროების და მიხედვით, გამოიტანოს თავისი ანაბარი ყოველგვარ „ვოლოკიტის“ გარეშე. შემნახველ სალაროში შეიძლება შეტანა ყოველნაირი თანხისა სურვილისამებრ, ფულის ან და საფოსტო მარკების სახით. (არა ნაკლებ ერთი მანეთის რაოდენობით) ხოლო პირველადი ანაბარი უნდა იყოს არა ნაკლებ 25 კაპ.

შემნახველ სალაროში ფულის შეტანით ყველა ეჩვევა ფულის ზომიერ ხარჯვას, მაშინ როდესაც ხელში შერჩენილი ხშირად უნიადაგოდ და ფუჭათ იხარჯება.

შემნახველ სალაროების ქსელი სასწრაფოდ იზრდება, რაც მოწმობს, რომ მოსახლეობა თანდათან იგებს მათ მნიშვნელობას. დღეს შემნახველი სალაროები არის ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინის გზის სადგურებზე; ფოსტებში, ბანკებში, ფინგანყოფილებებთან და სხვა დაწესებულებებსა და წამოწყებებში.

საჭიროა შემნახველ სალაროების მუშაობის უფრო გაფართოება. ამით მასებიც ნახავენ სარგებლობას და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსაც მეტი შესაძლებლობა მიეცემა სოციალისტურ მშენებლობისათვის.

ვ. მამაცაშვილი.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ, დღის 1 საათზე შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილი და გარჩეული იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე:

კონკურსი თბილისის საბჭოს საუკეთესო სექციაზე

თბილისის საბჭოს საუკეთესო სექციაზე კონკურსის ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. აკოფოვმა. მომხსენებელმა მოკლეთ აღნიშნა კონკურსის მნიშვნელობა და შემდეგ სხდომას წარუდგინა დასამტკიცებლად კონკურსის ჩატარების გეგმა.

სხდომამ დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა და დაადგინა კონკურსის ჩატარება დაიწყოს 19 თებერვლიდან და დამთავრდეს საანგარიშო კამპანიის დაწყებამდე — მარტის პირველ რიცხვებში. კონკურსის ჩასატარებლად მოსამზადებელი მუშაობა დაიწყება ამ დღეებში. პირველ რიგში მოწვეული იქნება სექციების ბიუროების კონფერენციები, რომლებზედაც გაშუქებული იქნება კონკურსის მნიშვნელობა და მისი ჩატარების გეგმა.

სექციების საანგარიშო კრებები ჩატარებული იქნება ქალაქის მსხვილ წარმოებებში და ამასთან ერთად იწარმოებს სექციების მუშაობის გამოკვლევა მათ მიღწევათა და ნაკლულოვანებათა ნათელსაყოფად.

სექციები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს ჩააბარებენ აგრეთვე თბილისის მუშკორთა კრებებს.

19 თებერვლიდან ადგილობრივ გაზეთებში იწარმოებს ამა თუ იმ სექციის მუშაობის გაშუქება მუშკორების საშუალებით.

ის მუშკორები, რომლებიც საუკეთესოთ გააშუქებენ სექციების მუშაობას დაჯილდოვებული იქნებიან.

საუკეთესო სექციების დასაჯილდოვებლად დაარსებული იქნა კომისია 11 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეა ამხ. ვ. გოლქვაძე.

პრეზიდიუმის სხდომამ სექციების დასაჯილდოვებლად გამოჰყო ორი პრემია: საუკეთესოთ მომუშავე სექციას პირველი პრემიის სახით მიეცემა ქების სიგელი და მისი 2 აქტიური წევრის გაგზავნა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში იქაურ სათანადო სექციის მუშაობის გასაცნობათ.

მეორე პრემიით დაჯილდოვებულ სექციას საშუალება მიეცემა გაგზავნოს 1 წევრი იმავე მიზნით.

ამასთან ერთად დაჯილდოვებულ სექციებს ჯილდოს სახით მიეცემა თანხები თავიანთი მუშაობის გასაძლიერებლად.

სპეციალური თანხები აგრეთვე გადაეცემა რედაქციებს იმ მუშკორთა დასაჯილდოვებლად, რომლებიც საუკეთესოდ გააშუქებენ თბილისის საბჭოს სექციების მუშაობას.

მასწავლებელთა ხელფასის გადიდება

შემდეგ მასწავლებელთა ხელფასის გადიდებისა და მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ივანოვ-კავკასიელმა.

მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომამ დაამტკიცა თბილისის მაზრის და ქალაქის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის გადიდების ცხრილი.

ცხრილის მიხედვით ქალაქის სკოლის მასწავლებლებს ხელფასი გაუდიდდა შემდეგი რაოდენობით: სასოფლო - სამეურნეო სკოლის მასწავლებლებს 50 მანეთიდან 60 მანეთამდე; პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც იღებდენ 42 მანეთიდან 47 მანეთამდე ხელფასი გაუდიდდა 49 მანეთამდე; მეორე საფეხურის სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც იღებდენ 45—50 მანეთამდე, ხელფასი გაუდიდდა 60 მანეთამდე; ადმინისტრატიული განაკვეთი, რომელიც განსაზღვრული იყო 50—55 მანეთამდე, გადიდებული იქნა 60 მანეთამდე, ხოლო იმ სკოლებში, რომლებშიაც განაკვეთი განსაზღვრული იყო 55—60 მანეთამდე — 65 მანეთამდე.

საბავშო ბაღის გამგეებს ხელფასი გაუდიდდა 85 მანეთიდან 90 მანეთამდე; ამავე ბაღების ხელმძღვანელებს, რომლებიც იღებდენ 56— 62 მანეთამდე, ხელფასი გაუდიდდა 65 მანეთამდე.

ბავშთა კერის გამგეებს ხელფასი გაუდიდდა 111 მ. 50 კაპიკამდე; კერის ხელმძღვანელ პერსონალს, რომლებიც იღებდენ 70—77 მან. და 50 კაპიკამდე, ხელფასი გაუდიდდა 81 მ. 25 კაპ.

საბავშო მოედნების გამგეებს ხელფასი გაუდიდდა 85 მანეთიდან 90 მანეთამდე, ხელმძღვანელებს 62 — 65 მანეთამდე.

ხელფასი მოემატება აგრეთვე მაზრის სკოლების მასწავლებლებსაც, მაგ. მაზრაში არსებულ 1-ლ საფეხურის სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც იღებდენ 40—42 მანეთამდე, ხელფასი გაუდიდდა 44 მანეთამდე და სხვ.

მიმდინარე საბიუჯეტო წელს მასწავლებლების ხელფასის გადიდებისათვის სულ დაიხარჯება 179.588 მანეთი.

სხდომამ დაადგინა აღნიშნულ ცხრილის მიხედვით მასწავლებლებს ხელფასი გაუდიდოს 1 იანვრიდან.

მშენებლობის გაიაფების კამპანია

მიღწეული იქნება 500.000 მან. ეკონომია.

ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის გაიაფების პერსპექტივების შესახებ ახალმშენებათა კომიტეტის უფროსმა ინჟინერმა ა. კანდელაკმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის გაიაფება უნდა მოხდეს მექანიზაციის შემოღებით, სტანდარტიზაციის პრინციპის გატარებით და სამუშაოთა რაციონალიზაციით. ყოველთვის და ყოველგან მექანიზაციის შემოღება არ არის სასარგებლო. მცირე სამუშაოების მექანიზაცია გაიაფების მაგიერ გამოიწვევს საწინააღმდეგო შედეგს, ვინაიდან მექანიზაციისათვის ზოგჯერ საჭიროა სპეციალურ მანქანების დადგმა,—რასაც დიდი თანხები უნდა, ხოლო პატარა მშენებლობა ამ ხარჯებს ვერ აიტანს. სამაგიეროდ ფართო კაპიტალური მშენებლობის დროს მექანიზაცია დიდ გავლენას მოახდენს მშენებლობის გაიაფებაზე. ჩვენ განზრახვა გვაქვს გამოვსცადოთ მექანიზაცია პირველად ცემენტის ქარხნის ასაგებ სამუშაოზე. ქარხნის ასაგები სამუშაოები მექანიკური წესით იწარმოებს. სადგურ კასპიდან ქარხნის ასაგებ ადგილამდე გაყვანილი იქნება საჰაერო რკინის გზა, რომლის საშუალებითაც იწარმოებს საამშენებლო მასალების გადატანა და მუშების გადაყვანა.

საამშენებლო ნაგებობათა სტანდარტების შემოსაღებად უკვე გადადგმულია ნაბიჯები. ახალმშენებათა კომიტეტის სატეხნიკო განყოფილება ამ ჟამად უკვე აწარმოებს საქართველოს კლიმატიურ პირობებისათვის შესაფერ სტანდარტების დამუშავებას. გადაწყვეტილი გვაქვს დავამზადოთ ახალ წარმოებათა ყველა ნაგებობის სტანდარტები და შემდეგ ეს სტანდარტები გამოვიყენოთ ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგების დროს. სტანდარტების შემოღება მშენებლობაში დააჩქარებს მშენებლობის პროცესს და გაიაფებს შენობების აგებას. ეხლა მარტო ფანჯრის მინების ჩადგმაზე ტყუილ-უბრალოდ იკარგება მასალა—ჩამონაჭრების სახით. სტანდარტული ფორმების შემოღების შემდეგ მინებს არ დასჭირდება დაჭრა.

მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მშენებლობის გაიაფებისათვის აგრეთვე საამშენებლო მასალების და სამუშაო იარაღების მომარაგებას. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს თბილისში მოვაწყოთ ცენტრალური საწყობი, სადაც ასეთ ხელსაწყოებს და საამშენებლო მასალებს წინდაწინვე მოვიმარაგებთ. მუშა ხელით უზრუნველყოფის მიზნით ჩვენ განზრახული გვაქვს ახალმშენებათა კომიტეტთან მივამაგროთ კვალიფიციურ აღმშენებელ მუშათა არტელები.

გარდა ამისა მომავალი საამშენებლო სეზონიდან ფართოდ იქნება შემოღებული ერთი საამშენებლო მასალის შეცვლა მეორეთი. ეს მოგვცემს დაახლოებით 10—15 პროც.-ს ეკონომიას. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, რომ წელს ახალ მშენებლობაზე სულ დახარჯული იქნება 6 მილიონი მანეთი, მაშინ ახალი მშენებლობის გასაიაფებლად ჩატარებული ზომების წყალობით უნდა მივიღოთ სულ ცოტა 500.000 მანეთის ეკონომია.

საამშენებლო სეზონის წინ

საქართველოს საბინაო კავშირმა შეიმუშავა გეგმა მიმდინარე წლის მუშათა საბინაო მშენებლობის სეზონისათვის.

გეგმის მიხედვით წელს საბინაო კოოპერატიულ მშენებლობაზე საბინაო კავშირი დახარჯავს სულ 600.000 მანეთს. აქედან ადგილობრივ ფონდებიდან დაიხარჯება ნახევარ მილიონზე მეტი, საბინაო-საამშენებლო ამხანაგობათა საშუალებებიდან 30—40 ათასი მანეთი, რესპუბლიკანური ფონდიდან—65.000 მანეთი.

ამას გარდა საბინაო მშენებლობისათვის საბინაო კავშირი კომუნალურ ბანკიდან სესხად აიღებს 300.000 მანეთს.

საბინაო კავშირის ცნობით საბინაო საამშენებლო ამხანაგობათა რიცხვი შეუჩერებლივ იზრდება.

მიმდინარე საოპერაციო წლის დასაწყისიდან დღემდე მარტო თბილისში დაარსდა 16 ახალი საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა. სულ საქართველოში ამჟამად ითვლება—45 ამხანაგობა, მათ შორის: 32 თბილისში, 13 რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში. ყველა ამხანაგობებში გაერთიანებულია 1.300 კაცი.

ადგილობრივი საამშენებლო ფონდი უმთავრესად მოხმარდება დაწყებულ შენობების დამთავრებას, კომუნალურ ბანკიდან აღებული სესხი—ახალ საბინაო მშენებლობას.

საბინაო კოოპერაცია წელს დაამთავრებს—105 ახალ ბინას და დაიწყებს 50 ახალ ბინის აგებას.

საბინაო კავშირმა მიიღო ზომები საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად და საამშენებლო მასალის გასაიაფებლად. ამ მიზნით დიდუბეში ეწყობა სტანდარტულ ტიპის კარ-ფანჯრების დამამზადებელი ქარხანა. ამას გარდა გამომუშავებულია მუშათა ტიპიური სახლის გეგმა, რომლის მიხედვით იწარმოებს მუშათა ახალი სახლების აგება.

განზრახულია წვრილ საბინაო-საამშენებლო და საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა გაერთიანება, რაც გააძლიერებს საბინაო მშენებლობის საქმეს.

მზადება საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის

სას.-სამეურნეო მანქანები და შაბიამანი

„ზაქსელმაშ“-მა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სას.-სამ. მანქანების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან დასდო ხელშეკრულებები, რომელთა ძალით „ზაქსელმაშ“-ი ვალდებულია აქ ორგანიზაციებს მიაწოდოს სას.-სამ. მანქანები, ინვენტარი, საწამლი მასალა, შაბიამანი და სხვ. საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის.

ხელშეკრულების ძალით „სოფლის კავშირმა“ გაზაფხულისათვის უნდა მიიღოს—1.800.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ინვენტარი, აჭარის „წარმოკავშირმა“—102.832 მანეთის, აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატ. კავშირმა—62 ათასი, „აქბირლიგმა“ — 1.000.343 მანეთის, აზერბეიჯ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობმა—196.150 მანეთის, სომხეთის „აიგიუხ-კოოპ“-მა „257.822 მანეთის.

დადებულ ხელშეკრულებების მიხედვით „ზაქსელმაშ“-ი უკვე შეუდგა შეკვეთების შესრულებას. შეკვეთების დიდი ნაწილი განაწილებულია საბჭოთა კავშირის ფაბრიკა-ქარხნებს შორის. მაგ. შაბიამანის დამზადება დაკისრებული აქვს „ქიმტრესტ“-ს, ნიადაგის დასამუშავებელ და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადება შეკვეთილი აქვთ უკრაინის მანქანების საამშენებლო ტრესტს—„უკრსელმაშ“-ს და „სევკავმეტალტრესტს“.

შეკვეთების პირველი პარტია მიღებული იქნება მიმდინარე თვის დამლევს.

ქრონიკა

მისალმება საქართველოს ცაკს

საქართველოს ცაკმა ოზურგეთიდან მიიღო შემდეგი მისალმებითი დეპეშა:

ოზურგეთის გლეხკომების მეხუთე ყრილობა მიესალმება თქვენი სახით მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთ. გლეხკომები დაპირებას იძლევიან, რომ ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ ადგილობრივ კოლექტიურ მეურნეობას, კოოპერაციის გაძლიერებას და გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების ამოცანების გატარებას სოფლად.

მოქალაქეთა საყურადღებოთ

თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტის სამმართველო აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 15, 17 და 18 თებერვალს კუკიის მიდამოებში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე იწარმოებს სასწავლო საარტილერიო სროლა.

შვიდი საათის სამუშაო დღე

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაჩქარებით დაამუშაონ საკითხი, თუ რომელ წარმოებაში შეიძლება შემოღებული იქნეს 7 საათის სამუშაო დღე. შეგროვილი მასალები განსახილველად უნდა წარუდგინონ პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებას.

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ 7 საათის სამუშაო დღის გამტარებელ კომისიაში თავის წარმომადგენლად მიავლინა პრეზიდიუმის წევრი სერგო ხვედელიძე.

ქიმიკოსთა ყრილობა

ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალური გამგეობა 23 თებერვალს იწვევს სრულიად საქართველოს ქიმიკოსთა კავშირის ყრილობას. კავშირის თვითეული 50 წევრი აირჩევს 1 დელეგატს ყრილობისათვის.

დაჯილდოვება ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით ჩატარებისათვის

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა დააჯილდოვოს ის ადგილკომები და ჯგუფკომები, რომლებმაც ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები ყველაზე მეტი გაავრცელეს.

წინასწარი გამოკვლევის მიხედვით, საქართველოში ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები ყველაზე მეტი გაასაღეს შემდეგი წარმოებების ადგილკომებმა: კავკასიის წითელდროშოვან არმიის სტამბის ადგილკომმა, სურსათ-გემოვნების და ამიერ-კავკ. რკინისგზის სამმოსამსახურო განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომმა.

მათი დაჯილდოვება მოხდება თბილისის ყველა ფაბკარხადგილკომთა საქალაქო კონფერენციაზე.

ამიერ-კავკ. პროფკავშირების ყრილობა

აპრილის შუა რიცხვებში შესდგება ამიერ-კავკასიის პროფკავშირების მე-4 ყრილობა. წარმომადგენლობის ნორმად დაწესებულია 1.500 კაცზე—ერთი დელეგატი. წარმოებები და კავშირთა სამაზრო განყოფილებები, რომლებსაც არა ჰყავთ 1.500 წევრი, მაგრამ ჰყავთ არა ნაკლებ 1.000 წევრისა—აირჩევენ ერთ დელეგატს. მაზრები, სადაც კავშირის წევრთა საერთო რიცხვი 1.000 კაცზე ნაკლებია, აგზავნის აგრეთვე ერთ დელეგატს.

ბამბის მეურნეობა

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა შეადგინა ბამბის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით წელს საქართველოში დათესილი იქნება 6.400 დესეტინა ბამბა, აქედან—ბორჩალოს მაზრაში—3.000 დესეტინა, ყარაიაზის რაიონში—1.500 დესეტინა, კახეთში—400 დესეტინა, დასავლეთ საქართველოში—1.500 დესეტინა.

ბამბის თესვის კამპანიის ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. შესაფერი ხელშეკრულება უკვე დადებულია „სოფლის კავშირთან“.

მებამბეობის რაიონებში აგრონომიულ დახმარების გასაძლიერებლად მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს გადაეცა 15.000 მანეთი.

ბრძოლა კატასტროფებთან

ავტომობილების, ტრამვაისა და ეტლების კატასტროფების თავიდან ასაცილებლად და ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად დაარსდა სპეციალური კომისია 27 კაცის შემადგენლობით.

კომისიაში შედიან: აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ს. ხმალაძე, ქალაქის კომენდანტი ლ. აბაშიძე, ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ვ. სტეფანოვი, ვატმანების, შოფერების, პროკურატურის, ადგილობრივ ტრანსპორტის ამიერ-კავკ. სამმართველოს და დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამ დღეებში კომისია კატასტროფის თავიდან ასაცილებლად გამოიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ქალაქის აღმასკომს.

პროფსაბჭოში

◆ **სამაზრო კონფერენცია.** პროფსაბჭოს ცნობით გორის სამაზრო საკავშირთაშორისო კონფერენცია შესდგება 15 მარტს.

◆ **დახმარება.** ოზურგეთის ფეიქართა კავშირის სამაზრო განყოფილებას საკავშირო ფეიქართა კავშირმა დახმარების სახით გადმოუგზავნა 30.000 მანეთი.

◆ **დასასვენებელი სახლი.** პროფსაბჭომ გადასწყვიტა შუა-მთაში (კახეთში) მოაწყოს მუშათა დასასვენებელი ახალი სახლი.

◆ **ახალი სანატორიუმი.** პროფსაბჭომ მუშა-მოსამსახურეთათვის გორში გახსნა ახალი სანატორიუმი.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„კარმენი“ ოპ. ბიზესი

ა.-წ. თებერვლის 11 ოპერა „კარმენში“ მონაწილეობა მიიღო სანდრო დოლიძემ. მოსალოდნელი იყო, რომ ამ გამოსვლასთან დაკავშირებული იქნებოდა ოპერის მთელი ანსამბლის (მომღერალთა შემადგენლობის) სცენიური და ვოკალური შერჩევა და მომზადება,—მაგრამ ამას არ ჰქონია ადგილი. წარმოდგენა იყო დამზადებული „საყველ-პუროდ“, მიზანსცენები ჩვეულებრივ ტრაფარეტის გარდა შეიცავდენ სამწუხარო კურიოზებს. ბევრ ადგილებში არ სჩანდა წინასწარი შეთანხმება ორკესტრის რითმისა მომღერალთან და სხვ. კონტრაბანდისტების რემენდადოს და დანკაიროს მშვენიერმა ტიპიურმა სურათმა გამოსვლებით დაჰკარგა თავისი გამომეტყველება ვოკალობის მხრივ. ცუნიგას დამაკავებელი სასროლო იარაღი პეგნიმ სრული დაბნევის გამო უბეში შეინახა, მოლჩანოვმა კი გადააგდო ძირს, შეიარაღებული ცუნიგა კი (დემიანენკო) იძულებული გახდა მოეკადნა, რომ აზრ-აბნეული კონტრაბანდისტები გონზე მოსულიყვნენ და მოემარჯვათ მის წინააღმდეგ იარაღი. ოპერის მთავარ რეჟისორს რეალობისაკენ მისწრაფებამ დაავიწყა, რომ შუშის დამტვრევა სცენაზე, მატარებელია იმ არა რითმულ ტკაცა-ტკუცის, რომელიც სრულებით არ არის გათვალისწინებული ბიზეს მიერ თავის ოპერაში და რომელიც მესამე მოქმედებაში ამახინჯებს დრამატიულ განვითარების მუსიკალურ და რითმიულ მხარეს.

სანდრო დოლიძე იზიდავს ფართო მასას. მას აქვს მძლავრი და ფართო დიაპაზონის ვოკალური მასალა, ცეცხლოვანი ტემპერამენტი და სტიქიური გატაცება, რომელშიაც მაყურებელი სრულ ბუნებრივობას გრძნობს და ამის გამო მზად აპატიოს მომღერალს ყველა მისი დეფექტები. დოლიძის მიერ ესკამილიოს როლის შესრულებაში სცენიური მხარე მაყურებლისათვის აჩრდილდება ტექნიკურ ხმოვანებით, ამ ხმოვანებაში გამოიხატება ტორეადორის ვაჟკაცობა და სიმძლავრე. დოლიძის სიმღერის დროს ლოტბარს სჭირდება დიდი სიფრთხილე, ვინაიდან ყოველ გადახვევას მომღერლის მიერ აღებულ რითმისაგან, გამოჰყავს მომღერალი სასიმღერო ტრანსიდან, ვოკალურ ფრაზას ეკარგება სიმრგვალე და ზღვრათა ელფერის სიმდიდრე. დოლიძე ფრიად იზოლირდება სცენაზე. ამიტომ საჭიროა წინასწარი შეთანხმება ორკესტრისა მომღერალის თავისუფლებასთან. ზემოაღნიშნულ დეფექტებს ეკუთვნის ჩვენი აზრით მომღერლის მიერ ზემო და ქვემო ზღვრათა გადაბმის (პორტამენტოს) ხასიათი ვოკალურ ფრაზის დამთავრების დროს.

რაც შეეხება კარმენის ამსრულებელს, უნდა ითქვას, რომ რებეზოვას, კარმენის როლის შესრულების დროს იტაცებს როლის სცენიური მხარე, გამომეტყველების ინტონაცია, ე. ი. საკუთარი შემოქმედება, ბიზეს შემოქმედება კი მიაჩნია მხოლოდ ხელშემწყობ რესურსად. ბალანჩივაძემ მიკაელას როლი უნაკლოდ. კულაგინის მიერ შექმნილი ხოზეს სურათი გადაჭარბებულათ „კეთილშობილურია“. მასში არ სჩანს ისპანიის მთებში გაზრდილი გლეხის შვილი. ვოკალური მხარე როლისა ტეხნიკურად უნაკლოა.

ოპერის ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ჟურნ. „მნათობი“-ს სარედაქციო კოლეგია.** შესდგა ჟურნ. „მნათობი“-ს ახალი სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედიან: ამხ. მიხა კახიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ს. მამულია, გ. მუშიშვილი (პ.-მ. რედაქტორის მოადგილე) და ს. ეული.

◆ **საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლის თავზე** პლეხანოვის პროსპექტზე გაიხსნება რკინისგზელთა ახალი კინო-თეატრი, რომელიც დაიტევს 600 კაცს.

◆ **„რღვევა“.** დღეს რუსთაველის თეატრში მესამედ წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

◆ **ახალი კლუბი.** მიწა-ტყის კავშირმა წინანდალის მამულში მუშათა კლუბის მოსაწყობათ გადასდო 500 მანეთი.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება: „სილვა“.

◆ **ახალი პიესები.** პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებამ ყველა მუშათა კლუბების წარმოსადგენად დაუგზავნა ახალი პიესები: „ელემენტი“ და „სტატისტიკა“.

◆ **ახალი თეატრი.** ლენინის უბანში საძირკველი ჩაეყარა რკინისგზელთა ახალ თეატრს. თეატრი დაიტევს 3.000 კაცს.

სასამართლო

კულაკების გასამართლება ყარაიაზში

(საუბარი თბილისის სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარესთან ამხ. ს. ბერიშვილთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში თბილისის სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ბერიშვილი, რომელმაც გაარჩია კულაკების —აჯი და გამიდ ხოფიევების საქმე, შეეხო პროცესის დამახასიათებელ მხარეებს.

— ამ პროცესმა, ამბობს ამხ. ბერიშვილი, ცხადჰყო, რომ ყარაიაზის რაიონში კულაკობა ძლიერია. ღარიბი გლეხობა დიდ დამოკიდებულებას განიცდის კულაკებისაგან.

ავიღოთ თუნდაც ასეთი ფაქტი. როდესაც გამოვუდექით მოწმეების დაკითხვას, ღარიბმა გლეხებმა, ცხადია, კულაკების ზეგავლენით გადამალეს წინასწარ გამოძიების დროს მიცემული ჩვენება. მოწმეები ყოველმხრივ ცდილობდენ ჩვენების მიცემას ბრალდებულის შესამსუბუქებლად. როდესაც ჩვენ ისინი დავარწმუნეთ, რომ მათ არავითარი საფრთხე არ მოელის, რომ ხელისუფლება არ დაერიდება არავითარ ზომას გათავხედებულ კულაკების ასალაგმავათ, უკვე დაკითხულ მოწმეებისაგან შემოვიდა კოლექტიური განცხადება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მათ, შიშის გამო, არასწორი ჩვენება მისცეს სასამართლოს და მოითხოვეს ხელახლა დაკითხვა.

ხელმეორედ დაკითხულმა მოწმეებმა დაწვრილებით და აღშფოთებით მოუთხრეს სასამართლოს ამ საზიზღარი მკვლელობის ამბავი.

პროცესმა ოთხი დღე გასტანა. განაჩენმა დიდი გავლენა იქონია გლეხებზე და მისი წაკითხვის შემდეგ კლუბის ვეებერთელა დარბაზში ტაშმა იგრიალა. ბრალდებულს მიესაჯა დახვრეტა.

როდესაც საქმის გარჩევა დავასრულეთ, გავემართეთ ღარიბ გლეხების კრებაზე, რომელზედაც ამხ. ალაკპერ მუტუჯ ოღლიმ მოხსენება გააკეთა კულაკებთან ბრძოლის შესახებ. კრებაზე ილაპარაკა აგრეთვე პროკურორმა ამხ. ზახიძემ.

გლეხობა ძალიან კმაყოფილი დარჩა მოხსენებით.

კრების დასასრულს გლეხებმა გამოგვიგზავნეს დელეგაცია, რომელმაც გადმოგვცა, რომ გლეხების სურვილია ხშირ-ხშირად ჩამოდიოდენ ცენტრიდან მომზადებული ამხანაგები და განუმარტავდენ მათ საჭირბოროტო საკითხებს.

საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ყარაიაზის რაიონში მოისუსტებს მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხების შორის. საჭიროა მუშაობის გაცხოველება ღარიბ და საშუალო გლეხობის დასარაზმავად.

„სინდის-ნამუსის კაცი“

მოქ. ბოგდან აპრესოვს არც პროფკავშირი, არც დამზღვევი სალარო, არც კოლექტიური ხელშეკრულება არ სწამს.

მის გასტრონომიულ მაღაზიაში მუშაობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც კავშირის სახელს არ ახსენებს, ვინც კრინტსაც არ დასძრავს დაზღვევაზე.

— იმუშავე გეთაყვა! პატივს გცემ ისე, როგორც შვილს. გასამრჯელო ჩემს სინდისზე და ნამუსზე იყოს. ოღონდ არ გაბედო, კავშირში ჩაწერა, თორემ მეორე დღესვე ქუჩაში გამოგაგდებ.

—კარგი, თქვენს სინდისზე იყოს!

არუთინ დავითიანცმა დაიწყო მუშაობა აპრესოვის მაღაზიაში. მუშაობდა სახედარივით და უყურებდა აპრესოვის სინდისს.

გავიდა ერთი წელიწადი. „სინდის-ნამუსის“ კაცმა გამოისტუმრა დავითიანცი ისე, რომ არც შვებულების, არც სალიკვიდაციო, არც სპეცტანსაცმლის ფული არ მიუღია.

როცა „ნამუსმა“ არაფერი ხეირი მისცა დავითიანცს, უკანასკნელმა აღძრა საჩივარი სასამართლოში.

აპრესოვს გაუგზავნეს სასამართლოში „მისა პატიუებელი“ უწყება.

— არაფერი საქმე არ მაქვს სასამართლოსთან. ვინც გამოგატანათ—ეს უწყება, მას მოახსენეთ, რომ სასამართლოში სარბენად მე არ მცალია.

აპრესოვს ეგონა, რომ თუ ის საქმის გარჩევას არ დაესწრებოდა, სასამართლო ვერ გაბედავდა გადაწყვეტილების გამოტანას.

სასამართლომ დაადგინა გადახდეს აპრესოვს 100 მანეთი დავითიანცის სასარგებლოთ.

ზერ.

შემთხვევები

ავტომობილის დაჯახება.

კვირას, 12 თებერვალს, ავტომობილი № 236, რომელსაც მართავდა შოფერი სტანისლავ სიმონის ძე მურადოვი პლეხანოვის პროსპექტზე (სახლი № 43 პირდაპირ) დაეჯახა სოფ. წყნეთიდან ჩამოსულ გლეხს ნახუდა ალექსის-ძე კახელაშვილს და მსუბუქად დააშავა.

შოფერმა ჩააქრო სინათლე და მიიმალა.

გუშინ დილით შოფერი მურადოვი დააპატიმრეს.

ხანძარი.

გუშინ წინ ღამით ცეცხლი გაუჩნდა პ. გარჩენკოს სახარატო სახელოსნოს (რუსთაველის პროსპექტი № 12). სასწრაფოთ გამოწვეულმა მეხანძრეთა რაზმმა ცეცხლი ჩააქრო.

თავის მოწამვლა.

გუშინ, დილით მორფით თავი მოიწამლა ზინაიდა ალექსანდრეს ასულმა მაღულარიამ (არდაგანის ქ. № 4) მაღულარიას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

გამფლანგველის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ თბილისში დააპატიმრა როსტოვის მუშკოოპის ყოფილი ექსპედიტორი პავლე მიხეილის-ძე კოლმიჩენკო.

ამ 4 თვის წინად კოლმიჩენკომ მუშკოოპიდან გაიტაცა რამოდენიმე ათასი მანეთი და მიიმალა.

გამოირკვა, რომ კოლმიჩენკო იმალებოდა თბილისში.

ს. ს. მილიციაში კოლმიჩენკო გამოტყდა 4.000 მანეთის მითვისებასა და გაფლანგვაში.

ქურდობა.

გუშინ, ღამით კარების შემტვრევის საშუალებით გაქურდეს ნიკოლოზ ტერ-მარტიროსოვის მაღაზია (რუსთაველის პროსპექტი № 12). წაიღეს 1000 მანეთის საქონელი.

ამავე დღის გაქურდეს არტემ ფინტიკოვის სავაჭრო მაღაზია (რუსთავ. პრ. 3.) წაიღეს 450 მანეთის საქონელი.

რკინის გზებზე

90.000 ფუთიან მატარებლების შემოღება.

როგორც ვწერდით, ა. კ. რკინის გზებზე მეორედ შეუდგენ ცდებს 90.000 ფუთის სიმძიმის მატარებლით. ცდები ბაქო-ხაშურს შუა უკვე დამთავრდა და დადებითი შედეგები გამოიღო.

10 თებერვლიდან ბაქო-ხაშურს შუა უკვე შემოღებულია 90.000 ფუთის სიმძიმის მატარებლების მოძრაობა.

ყოველდღიურად ბაქოდან იგზავნება ერთი ასეთი მატარებელი.

გზათა კომისარიატის კომისია

გზათა კომისარიატის კომისიამ, კომისარიატის უფროსი ინსპექტორის იაგუბოვის თავმჯდომარეობით, რომელიც თბილისში ჩამოვიდა ამ რამოდენიმე ხნის წინად, უკვე დაამთავრა ამ კავკ. რკ. გზების აღმოსავლეთ და დასავლეთ უბნების გამოკვლევა.

გუშინ კომისია გაემგზავრა გზის სამხრეთ უბანზე.

ახალი კოლხელშეკრულება

როგორც თბილისში მიღებულ ცნობიდან სჩანს, გზათა კომისარიატის და რკინის გზელთა ცეკას შორის ახალი კოლექტიურ ხელშეკრულების დადება მოხდება ამ თვის ბოლოს. კოლხელშეკრულება ძალაში შევა ა. წ. 1 მარტიდან.

სატვირთო ვაგონების შეკეთება

მიმდინარე წელს ა. კ. რკ. გზ. თბილისის მთავარ სახელოსნოებში შეკეთდება თერთმეტი სატვირთო ვაგონი, მათ შორის—რიგ—კაპიტალურად.

ზვავი.

11 თებერვალს, ღამით ხრესილ-გელათის შუა (ტყიბულის შტოზე) ჩამოწვა ზვავი, რომელშიც მოჰყვა საბარგო მატარებელი.

ხაზი გასწმინდეს და მოძრაობა აღადგინეს ოთხ საათში.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

სად. ნავთლუღში მომხდარ დაჯახების გარშემო

კომისიამ, რომელიც არჩეულ იქნა 10 თებერვალს ღამით სადგ. ნავთლუღში მომხდარ დაჯახების გამოსაძიებლად, ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა.

ირკვევა, რომ იმ ღამეს სადგურზე მორიგეობდა უფროსი მესამე ბურკაძე. წესის თანახმად, მას თვალყური უნდა ედევნებინა ისრებისათვის. ის კი ამ დროს თავის „ბუდკა“-ში იჯდა.

აღსანიშნავია, რომ ბურკაძის ცხოვრებაში ასეთ შემთხვევას პირველად როდი აქვს ადგილი. ის 1925 წელში სამსახურებრივი დანაშაულის ჩადენისათვის მოხსნილიც იყო სამსახურიდან. შემდეგ ისევ აღადგინეს. 1926 წელში მან ამავე მიზეზის გამო ოთხჯერ მიიღო გაფრთხილება.

ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაშიაც ბურკაძის დაუდევრობა ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო დაჯახებისა.

დამნაშავეების გასამართლება.

კომისიის მიერ დაჯახების დამნაშავეთა აღმოჩენის შემდეგ, რკინის გზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტს, რკინის გზელებში შრომის დისციპლინის აწევის მიზნით გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს დამნაშავეთა საჩვენებელი გასამართლება.

დაშავებულთა მდგომარეობა

დაჯახების დროს დაშავებულთაგან რკინის გზის საავადმყოფოში მოათავსეს: ა. კ. რკ. გზ. სალიანსკოგო განყოფილების მე-11 უბნის უფროსის თანაშემწე კარპე დოლგანოვი, მისი მეუღლე ანტონინა, ქალიშვილი ლიუდმილა და კოოპ. ამხ-ბა „კონკორდიას“ ცხენების გამყოლი ვილჰელმ ტუში.

კარპე დოლგანოვი ყველაზე უფრო სერიოზულად არის დაშავებული. მას ძალზე აქვს დაზიანებული მუცლის მიდამო. ნაწლავები დაზეული აღმოჩნდა. სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია. ოპერაციის შემდეგ მის მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო.

ანტონინა დოლგანოვისას და ვილჰელმ ტუშს გადატეხილი აქვთ გვერდის ნეკნები და დაჟეჟილი აქვთ მთელი ტანი. მათი მდგომარეობა საშიში არ არის.

ლიუდმილა დოლგანოვა მსუბუქად არის დაშავებული. მისი მდგომარეობაც არ არის საშიში.

მეარტელეს გაძარცვა

ამ.-კავკ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებამ დაამთავრა საქმე, გასული წლის 15 სექტემბერს სადგ. სალოგლიში ა.-კ. რკ. გზ. მეარტელე ხიდირბეგიშვილის გაძარცვის შესახებ. ხიდირბეგიშვილს წაართვეს 46.183 მანეთი.

კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ მეარტელე თბილისიდან გავიდა 14 სექტემბერს; მას თან ჰქონდა 62.757 მანეთი, თბილისიდანვე ის გზადაგზა აწარმოებდა ხაზზე მომუშავე რკინისგზელებისათვის ჯამაგირის დარიგებას. სალოგლიში ხიდირბეგიშვილი ჩავიდა 15 სექტემბერს საღამოს 5 ნახევარ საათზე. აქ ის 8 საათამდე არიგებდა ჯამაგირებს, ხოლო შემდეგ შეწყვიტა ჯამაგირების გაცემა და ვაგონი ჩაკეტა.

საათ-ნახევრის შემდეგ (9-ნახევარ საათზე) ვაგონის კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— ვინ ხარ, — შეკითხა ვაგონში მყოფი დამცველი რაზმის თანამშრომელი ქაირამიძე.

— მე ვარ სადგურის უფროსი, მინდა ჯამაგირი მივიღო.

კარების გაღებისთანავე ვაგონში შესცვივდა სამი შეიარაღებული პირი, რომელთაც განაიარაღეს ვაგონში მყოფი და შეუდგენ ძარცვას. ერთმა მათგანმა გაისროლა თოფიდან.

სროლის ხმა გაიგონა, მეზობლად მდგომ ვაგონში მყოფმა რევიზორმა ძოროტინმა, რომელიც გამოვიდა გარეთ სანადირო თოფით. დამცველი რაზმელების ყურადღების მისაპყრობად მან რამოდენიმეჯერ გაისროლა სანადირო თოფიდან.

ბანდიტებმა დაინახეს რა ეს, აუტეხეს მას სროლა და იქვე მოჰკლეს.

ა.-კ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებამ ყველა ბანდიტები დააპატიმრა და სათანადოთ დასაჯა.

წაღებულ ფულის უმეტესი ნაწილი აღმოჩენილია.

ლუდი ზაფხულისათვის

ალმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ლუდის ქარხნის საწარმოო პროგრამა 1928 წლისათვის. ამ პროგრამის მიხედვით წელს ლუდის ქარხ. მიერ დამზადებული იქნება 105 ათ. ვედრო ლუდი, თვითეულ ვედრო ლუდის თვითღირებულება იქნება 4 მანეთი 90 კაპ., ერთი ბოთლისა, 24 ნახ. კაპიკი. ლუდი გასაყიდათ მიეცემა როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს. კოოპერატიულ ორგანიზაციებს ლუდი დაეთმობა 5 მანეთად ვედრო, კერძო პირებს 5 მან. 60 კაპ.

ლუდის და ნედლეულის ნარჩენების რეალიზაციიდან ნავარაუდევია 545.280 მანეთი შემოსავალი, საექსპლოატაციო ხარჯები ნავარაუდევია 490.193 მანეთის რაოდენობით. ამგვარად გათვალისწინებულია 55.087 მანეთის წმინდა მოგება. მთელი პროდუქციის 95 პროც. გასაღებული იქნება თბილისში, დანარჩენი 5 პროც. პროვინციაში. მოთხოვნილება ლუდზე მომავალ სეზონში დაკმაყოფილებული იქნება 50—60 პროც-ით. პრეზიდიუმის დადგენილებით ლუდის ქარხნის გასული წლის მოგება—42 ათასი მანეთის რაოდენობით უპროცენტო სესხად მიეცა იმავე ლუდის ქარხანას—გარდა ამისა ქარხნის საბრუნავი თანხა გადიდებულია 101 000 მან., ხოლო ქარხნის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის გადადებულია 32 ათასი მანეთი. ამაში არ შედის თანხა, რომელიც ქარხანას მიეცა საჭირო ინვენტარის შესაძენად.

ბიბლიოგრაფია

ფ. მახარაძე—„საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში“.

სახელგამი 1927 წ.

ამხ. ფ. მახარაძის შრომაში სისტემატიურადაა დალაგებული ყველა ის მდიდარი მასალები, რომელიც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში. მარქსისტული მეთოდი სოციალურ მოვლენათა კვლევისა, ამ შრომაში მეტად ნაყოფიერად არის გამოყენებული. ავტორს, თავის შრომისათვის წარუმძღვანებია ფართო შესავალი, რომელშიაც არკვევს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობას, რომლითაც „დაიწყო სრულიად ახალი, ეპოქა კაცობრიობის ცხოვრებაში“.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოაფხიზლა და ისტორიის ასპარეზზე გამოიყვანა ის ერები, რომლებიც წინათ გადაგვარების გზას ადგნენ, მან განავითარა პოლიტიკური თვითშეგნება მშრომელი ხალხის ყველა ფენებში. ამის შემდეგ ავტორი გვიხატავს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ვრცელ სურათს საქართველოში. წიგნის პირველ ნაწილში ამხ. ფ. მახარაძე არკვევს საკითხს საბჭოების, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალი ფორმის წარმოშობის შესახებ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის სახით ჩამოყალიბდა. „საბჭოები, როგორც რევოლუციონური ორგანოები აჯანყებული ხალხისა ეს მხოლოდ უახლოესი ისტორიის მოვლენაა“. მართალია, ამბობს, ამხ. ფილიპე—საბჭოები მენშევიკების ბატონობის დროსაც არსებობდენ საქართველოში, მაგრამ მთავარი და არსებითი აქ ის არის, რომ ეს საბჭოები, ეხმარებოდენ და ხელს უწყობდენ ბურჟუაზიას და მემამულეებს რევოლუციის ჩასაქრობათ. აქედან ცხადია, რომ მენშევიკების საბჭოები, როგორც თვით მენშევიკები და ესერები, გაჟღენთილი იყვნენ ბურჟუაზიული სულით, ბურჟუაზიული აზროვნებით და ბურჟუაზიული შეხედულებით სახელმწიფოზე და სახელმწიფო ძალა-უფლებაზე. აი ის ცენტრალური დებულება, რომელიც ურყევი ფაქტებით აქვს ცხადყოფილი ავტორს წიგნის მეორე თავში.

მესამე თავში ამხ. მახარაძე აგვიწერს იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა ბოლშევიკური პარტია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის თებერვლის რევოლუციის დროს. ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ დროს მეტად სუსტ ძალას წარმოადგენდენ. საქართველოს მენშევიკები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რომ ძირშივე ჩაეკლათ ბოლშევიკური მოძრაობა. ამ პერიოდში ბოლშევიკურმა პრესამ, უდიდესი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის მშრომელთა რევოლუციონური თვითშეგნების გაღრმავების საქმეში. მიუხედავათ იმისა, რომ მასები მოწამლული იყვნენ მენშევიზმით, ბოლშევიკური იდეები და ლოზუნგები მაინც უდიდეს რევოლუციონურ გავლენას ახდენდენ მათზე.

ამხ. მახარაძეს მოჰყავს ფილოსოფ ჰეგელის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მეორდებიან ისტორიული ფაქტები: „პირველად თავისი ორიგინალური სახით, ხოლო მეორეთ—როგორც წაბაძვა და მაშინ ის იღებს კარიკატურის სახეს“.

სწორედ ასეთივე კარიკატურულ ინსტრუმენტს წარმოადგენდა დამფუძნებელი კრება მენშევიკების ხელში, რომლებიც „ხედავდენ ყოველგვარი რევოლუციის დაგვირგვინებას“.

როგორც სავსებით სწორათ განსაზღვრავს ამხ. მახარაძე, მენშევიკების დამფუძნებელი კრება ნამდვილი კარიკატურა, ნამდვილი მახინჯი არსება იყო. ეს მოსაზრება ნათელყოფილია უამრავი მაგალითებით მენშევიკების ბატონობის ეპოქიდან საქართველოში.

განსაკუთრებულის ინტერესით იკითხება მეხუთე თავი. ამხ. მახარაძე აგვიწერს გლეხურ აჯანყებებს, რომელიც მიმართული იყო მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. აქ ამხ. მახარაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წ. უმთავრესად სტიქიური ხასიათის იყო, წინააღმდეგ 1919 წლის გამოსვლებისა. ეს უკანასკნელი წინასწარ გამომუშავებული გეგმის მიხედვით დაიწყო. მაგრამ როგორც 1918 წ.; ისე 1919 წლის აჯანყებები ერთსა და იმავე ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებული. ეს იყო უკმაყოფილება მენშევიკური ხელისუფლებისადმი და შეიარაღებული ბრძოლა ამ ხელისუფლების დასანგრევად“. მენშევიკებმაც სასტიკი რეპრესიული ზომები მიიღეს, რათა ეს მასიური გლეხური აჯანყება ძირშივე ჩაექროთ. ამხ. მახარაძე აგვიწერს ამ ბრძოლის ტრაგიკულ ეპიზოდებს. ჩვენ ვიცით, თუ რა იმედებს ამყარებდნენ და როგორ ეხმარებოდენ თეთრ-გვარდიელებს მენშევიკური ხელისუფალნი. მენშევიკებმა უშუალო კავშირი დაიჭირეს დენიკინთან და სხვებთან. მაგრამ, მენშევიკებს არც ამ მხრივ გაუმართლდათ იმედები. რევოლუციის ძლევამოსილმა მსვლელობამ მოსპო ყოველგვარი ჯურის კონტრ-რევოლუცია. რამდენად რევოლუცია ღრმავდებოდა, იმდენად ეცლებოდა ნიადაგი მენშევიკების ბატონობას საქართველოში, იმდენად ამიერ-კავკასიის მშრომელთა პროტესტი უფრო და უფრო ძლიერდება და ხშირად იგი იღებდა შეიარაღებულ აჯანყების სახეს. ეს საკითხი ამხ. ფილიპეს მთელი სიგრძე-სიგანით გარკვეული აქვს მეექვსე თავში.

უკანასკნელი თავი შეეხება მენშევიკური ხელისუფლების დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში.

„ისტორიამ უკვე გაამართლა ისინი, ვინც მთელი წლების განმავლობაში შეუწყვეტლად იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ჩვენში. ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება ყოველმხრივ შეუჩერებლად მიდის წინ სწორედ მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. თითქმის ისინიც კი, ვინც წინად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგნი იყვნენ, დღეს იძულებული ხდებიან საჯაროთ განაცხადონ, რომ ისეთი ნაყოფიერი მუშაობა მთელ სახალხო მეურნეობის და კულტურის დარგში, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ხდება, არასოდეს ჩვენში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამნაირად, დავა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის უკვე გადაჭრილია თვით ცხოვრების მიერ. „ვინც მიუხედავათ ამისა, მაინც გაჯიუტდება და ცხოვრების გაკვეთილს ვერ შეითვისებს, იგი ცხოვრებისათვის სრულიად დაკარგულია“. ამ სიტყვებით ამთავრებს ამხ. მახარაძე თავის შესანიშნავ წიგნს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ საქართველოში. წიგნი უდიდეს სამსახურს გაუწევს ყოველ მშრომელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიის საკითხების გარკვევაში.

მკითხველი.

ავიაქიმში

თადარიგის მეთაურთა კურსები

16 თებერვალს საღამოს 6 საათზე საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ბინაზე შესდგება თათბირი თბილისა და სამაზრო ქალაქებში თავდაცვის მეთაურთა მოსამზადებელ კურსების მოწყობის შესახებ.

შეჯიბრი სროლაში.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება აწყობს ქალების შეჯიბრს სროლაში. გამარჯვებულებს მიეცემათ საჩუქრები.

თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბის ზრდა.

ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრთა რიცხვი უდრის 140.000 კაცს. პირველი ადგილი უკავია საქართველოს (60.000 წევრი), მეორე ადგილი—აზერბეიჯანს (50.000 წევრი), მესამე სომხეთს—(30.000 წევრი).

ავიაქიმის უჯრედების რიცხვი აღწევს 2.200-მდე.

მზადება ყრილობისათვის.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება აწარმოებს მზადებას საზოგადოების სრულიად საქართველოს პირველი ყრილობისათვის, რომელიც შესდგება მარტის შუა რიცხვებში თბილისში.

მეცნიერება და ტექნიკა

საათები და სინოტივე

ამერიკის გეოფიზიკურმა ინსტიტუტმა გამოარკვია, რომ საათების მუშაობის სისწორეზე ზეგავლენას ახდენს ჰაერის სინოტივე. რამდენიმე ათას ხრონომეტრის და ყველაზე უფრო ზუსტ საათების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სინოტივე საგრძნობ გავლენას ახდენს საათების მუშაობაზე: „ზაფხულობით საათები წინ გარბიან, ზამთრობით კი—უკან რჩებიან“. ეს მოვლენა განსაკუთრებით ადვილი შესამჩნევია ზღვის სანაპიროებზე და საერთოდ ნოტიო ადგილებში.

ელექტრონის საბარგო ავტომობილი

შვეციის სააქციო საზოგადოება „აესა“ უშვებს ახალ 2 ნახ. ტონიან საბარგო ავტომობილებს. ავტომობილის ელექტრომოტორები ავითარებენ 11 ცხენის ძალას და მუშაობენ აკუმულატორებით.

ექსპედიცია სამხრეთ-პოლიუსისაკენ

არგენტინის მთავრობა აწყობს ექსპედიციას სამხრეთ-პოლიუსისაკენ. ექსპედიცია გრეჰემის მიწამდე მივა გემებით, გრეჰემის მიწიდან კი—აეროპლანებით გაფრინდება სამხრეთ-პოლიუსისაკენ. ექსპედიციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს დაღუპულ კაპიტან სკოტტის დოკუმენტების აღმოჩენა.

სამალარიო კონგრესი

საერთაშორისო სამალარიო კონგრესი შესდგება ალჟირში 1930 წ. ამ ავადმყოფობის გამომწვევის აღმოჩენის 50 წლის თავზე.

შალი ძაღლის ბალნიდან

ინგლისში შეუდგენ საკმაოდ კარგი ხარისხის მატყლის დამზადებას ძაღლის ბალნიდან.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 14 თებერვალი

დღეს, 14 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

აბრეშუმის თესლის დამზადების წესები—ქართულ ენაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი—რუსულ ენაზე.

კოოპერაციის როლი საგლეხო მეურნეობის განზოგადოების საქმეში — რუსულ ენაზე.

როგორ ცხოვრობს და მუშაობს ქართული წითელი არმია—ქართულ ენაზე.

წითელი არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება: საკავშირო კომპარტია (ბ)—წითელი არმიის ბელადი—თურქულ ენაზე.

რა სთქვა საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ—თურქულ ენაზე.

წითელარმიელთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.

გაზეთი „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.

ტექნიკური კონსულტაცია.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტრანსლიაცია მოსკოვიდან—9 საათიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, სამშაბათს, 14 თებერვალს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ბეიან ტურგენიანცი, ზანაიდა მიმანდიაო, ელისაბედ რომანოვსკაია, ნადეჟდა საბლინა და ელენე პანოვა. გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ეკატერინე ტროიცკაია, მარია რობინა და ალექსანდრე ბალიშვილი. მშენებელ მუშაკთა 3 სექციიდან: ვალიკო მუხურაძის ვლადიმერ პირადაშვილი, ალექსანდრე რაზმაძე, მიხაილ დოკუჩინი და მიხეილ ასლამაზოვი.

კონკურსი მედპერსონალზე.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს კონკურსს საექიმო პერსონალზე.

სულ საჭიროა სხვადასხვა სპეციალობის შვიდი ექიმი.

საკონკურსო კომისიის სხდომა შესდგება შაბათს, 18 თებერვალს, დღის პირველ საათზე.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ კონკურსში მონაწილეობის მიღება ჯანმრთელობის განყოფილებაში (ბაზრის ქ. № 4) უნდა წარადგინონ განცხადება, რომელსაც დართული ექნება კავშირის წევრობის, სოფლად მუშაობის სტაჟი და უმუშევრობის საბუთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-18-ე კომუჯრედში საქ. კომპარტიის (ბ) კანდიდატად მიღებაზე შემოტანილი აქვს განცხადება ამხ. გურია ალექსანდრეს ძე გუგუშელს (ამხ. ელიავას სახელობის ქარხნის მუშა) მცხოვრებს ქალ. ფოთში. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს კომპარტიის რიგებში ხსენებულ ამხანაგის კანდიდატად მიღების, ვთხოვთ აცნობოს ზემო აღნიშნულ კომუჯრედს ბიუროს 20 დღის განმავლობაში.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 14 თებერვალს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

—:—

სამშაბათს, 14 თებერვალს დღის 2 საათზე სახელმწიფო უნივერსიტ. ახ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იწვევს პ.-ტექნიკური ფაკულტეტის ა. ლ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომას. პოლიტექ. ფაკულტეტის ბიუროს წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ხვალ, 15 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე საქპროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის საზ-ბის თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი აღნიშნულ კავშირის უჯრედების ბიუროსა და რაიონულ საბჭოს წევრების მონაწილეობით.

დღის წესრიგში: 1) ქალაქისა და სოფლის კავშირის მორიგი ამოცანები საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. 2) უჯრედების ბიუროების ხელახალი გადარჩევის შესახებ.

—:—

საქ. უნ. სოც. ეკონ. ფაკ. მე-3 და მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. მოწვეულია დღეს, 14 თებერვალს საღამოს 7 საათზე.

წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა დაესწრონ ის ამხანაგები, რომელთაც განცხადებები აქვთ შემოტანილი კომპარტიაში მისაღებად.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ჩემი შემდეგი განცხადება: ჩემში მომხდარ გარდატეხის თანახმად რელიგიის საკითხში, სრულიად შეგნებულად და ყოველგვარ ძალდატანების გარეშე, 21 წლის მღვდლად სამსახურის შემდეგ ზუგდიდ-ჯუმის ეკლესიაში, ამიერიდან თავს ვანებებ მღვდლობას ანაფორის გახდით და უერთდები საბჭოთა პლატფორმას, რათა შეძლებისდაგვარად ვემსახურო მშრომელი ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

ამასთან ერთად, მოვუწოდებ სხვებსაც მიბაძონ ჩემს მაგალითს და მათაც თავი დაანებონ წყლის ნაყვას.

დიმიტრი შანტურია.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ილარიონ ივანესძე კალანდარიშვილი, შვილები: მატრონე, ეპიფანე, დიმიტრი, ივლიტე (ტატკი), ისაკი და მარიამი, რძლები: მარო, ნიურა, ელენე და მანი შვილებით, სიძე სოლომონ ტარიელისძე მენაბდე შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა | წ. 11 თებერვალს სოფ. მაკვანეთში (ოზურგ. მაზრა) ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

მინადორა (საშა) მაქსიმეს ასული კალანდარიშვილისა

დაკრძალვა ხუთშაბათს, 16 თებერვალს, ს. მაკვანეთში. 1427.

მწუხარებაში მყოფნი ქირისუფალნი: მიფადორე ივანეს ასული სოხაძისა, ისიდორე იოსებისძე სოხაძე ცოლშვილით, დიმიტრი დიანოსისძე ასათიანი ცოლშვილით, დისწულები და ძმისწულები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა | წ. 4 იანვარს ქალ. სოხუმში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე, მეორესი ძმა, მესამესი ნათლია და უკანასკნელთა ბიძა

ტრიფონ იოსების-ძე სოხაძე

რომლის ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 14 თებერვალს, დღით სამშაბათს, 12 საათზე. ქალ. სოხუმში, საკუთარ სახლში (ჩერნოვის გორა) 1428

სამუდამოთ გულმოკლულნი: მეუღლე კონია საყვარელის ასული, შვილები: ლადო, ონისიმე, თამარა, დები: ოლღა და ელპიტე, სიძეები: სიმონ ბენდიანიშვილი და ნოშრევან კობახიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა | წ. 12 თებერვალს დილის 9 საათზე ყოფ. არამიანცის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილ ბიჭიას ძე ჩლაიძე

გამოსვენება მოხდება საავადმყოფოდან 15 თებერვალს 2 საათზე, დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1436

ღრმა მწუხარებაში მყოფნი სახ. უნივერ. სტუდენტები: აპოლონ და დავით გოგოლაძეები, მიხეილ და ვასილ სიხარულიძეები, ბენია და ვანო დოლიძეები, გალაქტიონ და ავთანდილ ცინცაძეები, გაბრიელ მეგრელიშვილი, ხარიტონ ანთიძე, ელიაზარ როინიშვილი, გრიშა ჩხიკვაძე, კორნელი რამიშვილი, ალექსანდრე ბერიძე, გალაქტიონ მინდაძე, ამხანაგები: გედევან ყაჯიშვილი, ვასო და ტიტიკო ბერძენიშვილები, ერმალო და ნესტორ სიხარულიძეები, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს სტუდენტ

გრიშა გიორგის ძე სიხარულიძის

მოულოდნელ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება დაბა ჩოხატაურში 16 თებერვალს.

ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული და მეცნიერულ-პუბლიცისტური ჟურნალი

მნათობი

გრძელდება ხელისმოწერა

პირობები: 1 წლით—12 მან., 6 თვით—6 მან., 3 თვით—3 მან., 50 კაპ. ცალკე ნომერი—1 მან. 50 კაპ.

ხელის მოწერა სწარმოებს სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიასა და აგენტებთან

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 12—3 საათამდე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვოლოდარსკის ქ. № 11.

ნ. 607

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი

ახალი სოფელი

მიიღება ხელისმოწერა 1928 წ-თვის

პირობები

წლიურად—1 მანეთი, ნახ. წლით—60 კაპ. 3 თვით—40 კაპ.

ხელისმოწერას ღებულობენ ქოხ-სამკითხველოს გამგეები, მასწავლებლები, გლეხკომები, კოოპერატივები და გლეხკორები.

რედაქცია უშვებს აგრეთვე გლეხურ ლიტერატურას და ყოველთვიურ სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულიარულ ჟურნალს

„ახალი სოფელი“

მისამართი: თბილისი, ვოლოდარსკის ქ. № 11.



წითელი არმიის ათი წლისთავისათვის სახელგამის ყველა მაღაზიებში

სამხედრო ბიბლიოთეკის

წიგნები იყიდება

50% ფასდაკლებით

ნ. 429
25—7

აპოლო სოლეი პროლეტარი (ამლაბარში) არფასტო ოდეონ დარბაზი	საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი „ქალი ბაზრობიდან“ რეჟისორი—ზ. მაკაროვი, ოპერატორი—ვ. ენგელსი. მთავარ როლებში: ზ. ბელეცკაია, ვახაძე, მურუსიძე, ინაევი, ლამბაშიძე
	პრემიერა უცხოეთის სურათი **მოჯადოებული კუნძული**
	საუკეთესო დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან „შეიხ“ რუდოლფ ვალენტინოს მონაწილეობით
	საუკეთესო ამერიკული ტრიუკებიანი ფილმი „სპიდ“ 1 და 2 სერია

სახკინმრეწვის თეატრები

ანონსი მხატვრული შედევრი „დრამა ცირკში“ 0—11

ცირკი „კოლოს“
ტელეფ. № 8—
ნ. 599

სამშაბათს, 14-ს, ოთხშაბათს 15 თებერვალს საინტერესო სანახაობანი შერჩეული პროგრამა, გრძელდება საქვეყნოდ სახელგანთქმულ ცხოველების მწვრთნელის

ა. ა. დუროვის

და მისი იშვიათი ცხოველების და მხეცების გასტროლები. კენგურუს ბოქსის უკანასკნელი დღეები, ზღვის ლომების გამოსვლა და სხვ.

კვირას 19 თებერვალს, დღისით სანახაობანი დუროვის მონაწ.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნ. კ. გროდზნიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში

(გაგრძელება № 39)

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი თანხა	საწ. სარეწ. მოწმ.
1029	15 დეკ. 1927 წ.	კილინკაროვი ილია	ბორჩალოს მაზრა ს. ოპრეტი	სასადილო	386 მ. 30 კ.	მე-4
1030	„	მატეოსოვი აბედნაგი	„ „ ს. ბაშკიჩეტი	„	1000 მ.	„
1031	„	აშმეტერი პეტრე პეტრეს-ძე	„ „ ს. ბუსუკალა	ზეთ. სახდ. ქარხ.	35000 „	„
1032	„	აშმეტერი ქრისტეფორე	სოფ. კარაბულაგი	„ „ „	20000 „	„
1033	„	პეტროსოვი ბაბალე	სად. სადახლო	რკ. გზ. ბუფეტი	350 „	„
1034	„	კულიანცი არმენაკ ადრ.	ქ. შაუმიანი	სასადილო	—	„
1035	„	ჩილინგაროვი ლაზარე	სადგური სადახლო	„	300 „	„
1036	„	კარაგეზოვი გარეგინი	ქ. შაუმიანი	სავაჭრო	—	„
1037	„	ზარგაროვი მიხაკო	„	„	—	„
1038	„	ავეტისოვი გორქა	„	„	400 „	„
1039	„	გულკანოვი გიორგი	სოფელი მორიეული	სასადილო	200 „	„
1040	„	ანთაძე სერაფიონი	სადგური შულავერი	სადგურის ბუფეტი	400 „	„
1041	23 ნოემბ.	საქ. აბრეშუმის განყოფილ. ქუთაისში	ქ. ქუთაისი მე-3 ინტერნაციონალის ქ., № 45	აბრეშუმის პარკის დამზადება	—	„
1042	14 „	ლექთაძე, ივანე ნიკოს-ძე	ქუთაისის მაზრა, ს. წყალტუბო	სხ. დ სხ. ნივთებით ვაჭრობა	23793 „	„
1043	„	საგანელიძე, გრიგოლ გიორგის-ძე	ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 5	საკანდიტრო	2000 „	„
1044	„	კილატოვი, ალექსანდრე საკულ.	„ რიყის ქ. № 70	ღვინის სარდაფი	3000 „	„
1045	„	ენიკოლოპოვი, ნიკოლოზი და ისაევი გრიგოლი	„ ტიქვერის შეს. № 11	„	4500 „	„
1046	„	ბარსონიძე, ბიქტორი ნიკოლ. და ქევანიშვილი რუბენ ალექსის-ძე	„ საბჭოს ქ., № 6	სასადილო	750 „	„
1047	„	საინოვები, გოგიჩა და სერგო და იაშაგაშვილი ბეგონ	„ სოლოლაკის ქ. № 9	ღვინის სარდაფი	3000 „	„
1048	23 იანვ. 1928	ასლანოვი დავითი ივანეს-ძე	„ მეტეხის ქ., № 16	ღვინით ვაჭრობა	800 „	„
1049	25 „	გოგობერიძე სევერიანე პლატონ.	„ ტოლსტოვის ქ., № 2	სასტუმრო	1500 „	„
1050	26 „	სტეფანოვები პეტრე სერგოს-ძე, სერგო და გიორგი პეტრეს-ძე	„ საბჭოს ქ., № 59	ღვინის სარდაფი	300 „	„
1051	30 „	სარქისოვი სარქის სარქისის-ძე	„ 19 თებერვლ. ქ. № 85	ღვინის საწყობი	500 „	„
1052	31 „	კაჭიანი სპირიდონ ერმილეს-ძე და ავსადჟანიშვილი ალექსი ივან.	„ ახალი ბაზარი	ხილეულობით ვაჭრობა	500 „	„
1053	1 თებერვალი	ოთარაშვილი ვასილ ივანეს-ძე	„ დიდი ვანქის ქ. № 5	სასადილო	200 „	„
1054	„	სარქისოვი ივანე გლახუას-ძე	„ თივის მოედანი № 2	ღვინის საწყობი	800 „	„
1055	2 „	სახმედვაჭრობა	„ რუსთაველის გამზ. № 38	სააფთიაქო მაღაზია № 2	—	„
1056	3 „	შრომის საწარმოო ამხ-ბა „ელექტრონიტი“	„ რკინის რიგი № 6	საშენებელი მასალებით ვაჭ.	—	„
1057	4 „	პარლაგაშვილი იუდა და გორელაშვილი დავითი	„ სიონის ქ. № 13	ფართლეულობით სავაჭრო	1800 „	„
1058	„	ბენდიანიშვილი ზაქარია ივანეს-ძე და დიანოზი იასონის-ძე კალმახელიძე	„ რუსთაველის გამზ. № 38	სასადილო	—	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **ბახტაძე.**

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ნ. 605

სახელგამი

ამით აცხადებს, რომ ჟურნალ

„ნაკადულის“ მაგივრად

1928 წლის იანვრიდან გამოდის

„ოქტომბრელი“

ყოველთვიური საბავშო ჟურნალი, საქართველოს კომკავშირის ც. კ. და განათლების სახ. კომისარიატის

ორგანო

ხელის მოწერის პირობები

წლიურად .... 3 მან.
6 თვით .... 2 „
3 თვით .... 1 „

ხელისმოწერა მიიღება სახელგამის მმართველობაში და ყველა მაღაზიაში

ნ. 606 სახელგამი

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენა და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 25. მიღება 9—12 2—6 ს. 1415 3—1

ექიმი ს. ი. ანდრეევა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78

იყიდება იაფათ საბეჭდი მანქანა

რუსული შრიფტით

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროპ. № 34. 4—1

ექიმი

ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საშოსნიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთაცის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—16

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—

კბილის ექიმი

დავით სავვატის ძე რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედანის კუთხე.

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი **მეგრაბიანცი**

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25—18

დაიკარგა სამხედრო ვალდებულის წიგნაკი და მეზღვაურთა კავშირის წიგნაკი სერგო ალექსანდრეს-ძე ცურინოვის სახელზე, ჩ. გ. 1435

დაიკარგა ქ. თბილისში ფოთის ქუჩაზე № 30 მდებარე სახლის ნასყიდობის ქაღალდი, გაცემული ნოტარიუსის მიერ ფილიპემალხაზის-ძე კაცაძის სახელზე, ჩ. გ. 1426

დაიკარგა: „ზაკტპის“ საწევრო წიგნაკი № 20513 ნიკო მალხაზის-ძე გელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1424

დაიკარგა საბჭ. სავაჭ. მუშაკთა წიგნაკი № 12972 ვარლამ გრიგოლის-ძე გალდავას სახელზე ჩ. გ. 1425

დაიკარგა: მატრიკული № 1056, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, მარიამ ბესარიონის ასული ბერიძეს სახელზე, ჩ. გ. 1432

დაიკარგა განათლების მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი თამარა ალექსანდრეს ასული ზალდასტანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1430

დაიკარგა პირადობის მოწმობა ს. ქედების გორის მაზრა მოცემული აღმასკომიდან. მარიამ თინიკაშვილის, სახელზე, ჩ. გ. 1436

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 17278 ლიუბა მარკოზის ასული კაციტაძეს სახელზე, ჩ. გ. 1433

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ ბაბალოვის სახელზე, ჩ. გ. 1431

დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 58713, ჩ. გ. 1429

დაიკარგა: აღრიცხვის წიგნაკი და პირადობის მოწმობა—ვიქტორ ივანეს-ძე ჩახავას სახელზე ჩ. გ. 1434

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64